# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 30 მაისი 1998 №80 (615) ფასი 50 თეთრი



ბადრი ქეთილაძის ფოტო

## საქართველოს 1997-98 წლების საუკეთესო ფეხბურთელი შოთა არველაძე

*აიაქსი*

სარბიელის ტრადიციული გამოკითხვის შედეგები და ინტერვიუები ლაურეატებთან

იხილეთ მეორე გვერდი



## საქართველოს IX ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი დავით მუჯირი

*დინამო*

## დღეს დიდი მატჩია

**საქართველო — რუსეთი**

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 30 მაისი. 18 საათი

## ეს მხოლოდ ამხანაგური მატჩი არაა, ჩვენი დაპირისპირება გაცილებით მეტია!

ამბობს რუსთა კაპიტანი ვიქტორ ონოპკო



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გუშინ ეროვნულზე: საქართველოს ნაკრების ბოლო ვარჯიში რუსებთან მატჩამდე

დღეს, დიდი ფეხბურთია: 18 საათზე, ეროვნულ სტადიონზე, საქართველო — რუსეთი. მატჩი ყოფილ მოკავშირეთა, მატჩი ყოფილ თანაგუნდელთა, მატჩი ნაცნობ-მეგობართა, მაგრამ არა მეგობრული, უბრალოდ, ამხანაგური, მოსამზადებელი და... ქართველთათვის მოსაგები.

დიახ, მოსაგები, რადგანაც საქართველოს ნაკრებს შვიდი მატჩია, არ წაუგია.

ეროვნული გუნდი სამიოდ დღის წინ პირველად შეიკრიბა სრული შემადგენლობით და ასევე პირველი ვარჯიშები ჩაატარა დღეისათვის ოპტიმალური 21 კაცით. უნაკლო ფეხბურთს, ახლანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენებურთ, რალა თქმა უნდა, ვერ მოვთხოვთ, ვერც იმას დავიჩემებთ, მეტოქეს, გინდა თუ არა, მოუგეთო. ერთი კი ყველა ქართველის გულშია — ვითამაშოთ თანამედროვე ფეხბურთი.

გუშინ ეროვნულ სტადიონზე ეროვნულმა ნაკრებმა ბოლო ვარჯიში-მოთელვა ჩაატარა რუსებთან შეხვედრის წინ. ვლადიმერ გუცაევს არაერთხელ უთქვამს, ჩვენ ჩვენს სტუმრებთან შედარებით უკეთეს გარემოში უნდა ვიყოთო.

რუსების გუშინდელი ვარჯიში ხუთ საათზე იყო დაგეგმილი ეროვნულზე. ცოტა გვიან დაიწყეს და დროსაც გადააჭარბეს. შინდისფერთ ექვსზე უნდა დაეწყოთ, რუსებმა კი სტანდარტული მდგომარეობების დამუშავებას საკმარისზე მეტი დრო მოანდომეს. ჰოდა, ნურც ეს გაგაკვირვებთ, ქართველებმა ვარჯიში ზუსტად ექვსზე დაიწყეს მოედნის მეორე ნახევარზე. ასეც უნდა, ჯერ თავო და თავოო, ხომ გაგიგიათ. ჩვენებმა ერთი საათი ნებაყოფლობით ივარჯიშეს, ირბინეს, ტოგონიძე და გვარამაძე „დაცხრილეს“, მერე კი გასახდელს მიაშურეს.

გუშინ საღამოს ყველაზე საინტერესო საქართველოს ნაკრების ექიმის დიმიტრი ზაალიშვილის ნათქვამი იყო: „ყველა ფეხბურთელი ჯანზეა, არავის არაფერი აწუხებს, უმნიშვნელო ტრავმებს კი მატჩამდე განვკურნავთ“ — დაგვამშვიდა მან.

ჰოგა ინასარიძე

### ამხანაგური მაჩები

**იუგოსლავია 3:0 ნიგერია**

იუგოსლავია: კრალი (ლეკოვიჩი 84), მირკოვიჩი (კომლიენოვიჩი 26), პეტროვიჩი (დრულოვიჩი 74), იოკანოვიჩი, საველიჩი, ბრნოვიჩი, იუგოვიჩი, მილოშევიჩი (კოვაჩევიჩი 46), მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი (ოგნიენოვიჩი 78), მიხაილოვიჩი

ნიგერია: ბარუვა, ოპარაკუ, უჩე ოკეჩოკვუ, ვესტი, ლავალი, ოლისე, ოკპარა, ჯორჯი, ორუმა (ბაბანგიდა 68), ადეპოჟუ (ამოკაჩი 46), იკპება (იეკინი 68)

1:0 მილოშევიჩი (45), მიატოვიჩი (61), კოვაჩევიჩი (72)

### ჰასან მეორის თასი

**ბელგია 0:0 ინგლისი (4:3 პენ)**

ბელგია: ვან დე ვალე, დეფლანდრე, ვან მეიერი, ვერსტრაეტენი, ბიორკელმანსი, ვერპეიენი (სტალენსი 62), დე ბეკი, შიფო, ბოფინი, გუსენსი (მ. მპენზა), ე. მპენზა

ინგლისი: მარტინი, კემპბელი (დაბლინი 76), კიოუნი, ნევილი (რ. ფერდინანდი 46), ფ. ნევილი (ოუენი 46), ბატი, ლე სო, ლი, გასკოლინი (ბექემი 50), ლ. ფერდინანდი, მერსიონი

**მაროკო 2:2 საფრანგეთი (6:5 პენ)**

მაროკო: ელ ბრაზი, აბრამი, როსი, ტრიკი, ჰადრიუი, აზუზი, ამზინე, ჩიპო (საბერი 67), ჩიბა, ბასირი (ელ ხატაბი 77), ჰადა

საფრანგეთი: ლამა, კანდელა, ბლანი, ლებეფი, დეშამპი (ვიეირა 46), ზიდანი (ჯორკაეფი 63), ბოღოსიანი, კარემბუ, დიუგარი (ტრეზეგე 68), ანრი, დიომედი (პირესი 76)

1:0 ბასირი (9), 1:1 ბლანი (24), 2:1 ბასირი (64), 2:2 ჯორკაეფი (74)

## პაველ ბურე: „ჩემს ძარღვებში ქართული სისხლიც ჩქეფს“

როგორი საქმეა, ბურე — თბილისში! ბუნებრივია, ამ შემთხვევას ხელიდან ვერ გავუშვებდი და მაშინვე დავიწყე ზრუნვა „რუსულ რაკეტასთან“ შესახვედრად. ბედად, საერთო ნაცნობ-მეგობრები მოვიძიე და NHL-ის ერთ-ერთი უძლიერესი ჰოკეისტი საუბარზე დავითანხმე. თუმცა აქვე დავძენ, რომ ბურემ თავიდანვე გამაფრთხილა, ჰოკეიზე რაც შეიძლება ნაკლები გველაპარაკა. „ძლივს რამდენიმე დღე გამოვნახე დასასვენებლად და ვცდილობ, სპორტის გარდა ყველაფერზე ვიფიქრო“ — მითხრა მან.

**— მართალია სტუმარს ამას არსად, მით უმეტეს საქართველოში, არ ეკითხებიან, მაგრამ ცნობისმოყვარეობას ვერ ვიოკებ — რას უნდა მივაწეროთ თქვენი ვიზიტი?**

— მე და ქართველი მომღერალი სოსო პავლიაშვილი უახლოესი მეგობრები ვართ. ალბათ იცით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის სოსო ყოველ წელს ჩამოდის თბილისში. ამჯერად რაკი იცოდა, რომ მოსკოვში ვიქნებოდი, სოსომ მეც დამპატიჟა. გადავდე საქმეები და სიამოვნებით გამოვეშურე აქეთ. საქართველოში ჩამოსვლა ჩემი დიდი ხნის სურვილი იყო. მით უმეტეს, რომ ჩემს ძარღვებში ქართული სისხლიც ჩქეფს და წინაპართა სამშობლო ნანახიც კი არ მქონდა. ბებიაჩემი ხომ ქართველი იყო.

**— ?**

— დიახ, დიახ. ნუ გიკვირთ. ბებიაჩემი დედითაც და მამითაც ქართველი იყო, ნამდვილი ქართველი.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



ბადრი ქეთილაძის ფოტო

დიდი სპორტსმენების სამი თაობა: პაველ ბურე ეროვნულ სტადიონზე კახი ასათიანისა და დავით ყიფიანის გარემოცვაში

# სარბიელის ტრადიციული გამოკითხვა: მეექვსედ და პირველად

ქართული სპორტული პრესის ამქარს ყოველწლიურად ემატებიან ახალი ავტორები. ამიტომაცაა, რომ წლეულს უკვე 47-მა ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა „სარბიელის“ გამოკითხვაში.

შარშანდელი გამოცდილებით, თუმც კი ნაჩქარევად, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ, საქართველოს და ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელთა გამოკითხვა გაგვემიჯნა. სხვაგვარად, ვინც ჩვენებური პირველობის პატრიოტობას დაიჩემებდა, მას ობიექტურობის გრძნობა, ნებსით თუ უნებლიედ, მოდუნებული უნდა ჰქონოდა.

საერთო რეფერენდუმში, ეროვნული ჩემპიონატიდანაც რომ შეიძლებოდა ნომინანტის დასახელება, დიდი უპიტარესობით გაიმარჯვა „აიაქსის“ თავდამსხმელმა შოთა არველაძემ.

შოთა, „სარბიელის“ პრიზს მეორედ რომ დაეუფლა, 47-დან 41-მა (!) გამოკითხულმა საუკეთესოდ ცნო, დანარჩენმა ექვსმა კი მეორეობა „შეჰკადრა“.

„სარბიელის“ გამოკითხვის შარშანდელი ლაურეატი ნიუკასლელი თემურ ქეცბაია წლეულს ოდენ მეორეა, ექსმეოთხე, გრასჰოპერელი გიორგი ნემსაძე კი ერთი საფეხურით ამაღლდა.

მართალია, დიდად არა, მაგრამ მაინც საგრძნობლად აჯობა მდევართ საქართველოს მეცხრე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა დავით მუჯირმაც. მეორე და მესამე ადგილები კი ბათუმელებს გელა შეყილაძესა და ნიკა ტოგონიძეს ერგოთ.

შინაურ სარბიელზე მოთამაშეთა შორის, აღსანიშნი ჩემპიონატს მეორე წრეში შემატებული მიხეილ აშვეთიას და 36 წლის ნუგზარ მიქაბერიძის გამორჩევაა.

წლეულს დავით მუჯირი სამახსოვრო პრიზით დაჯილდოვდება, საგაისოდ კი გამარჯვებულს ორიგინალური პრიზი გადაეცემა.

ქულათა დარიცხვის სისტემა ძველებურია: პირველი ადგილისთვის 5 ქულა, მეორისთვის 3, მესამისთვის 1

## სარბიელის გამოკითხვის შედეგები

### საქართველოს 1997-98 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

| | გუნდი | ქულა | I (5) | II (3) | III (1) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შოთა არველაძე | აიაქსი | 223 | 41 | 6 | |
| 2. თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | 74 | 1 | 20 | 9 |
| 3. გიორგი ნემსაძე | გრასჰოპერი | 41 | 2 | 7 | 10 |
| 4. ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | 30 | 1 | 6 | 7 |
| 5. ნიკოლოზ ტოგონიძე | ბათუმი | 15 | 1 | 1 | 7 |
| 6. არჩილ არველაძე | ბრედა | 12 | | 3 | 3 |
| 7. გიორგი ქინქლაძე | მანჩესტერ სიტი | 10 | 1 | 1 | 2 |
| 8. გიორგი გახოკიძე | ალანია | 3 | | 1 | |
| 9. გოჩა ჯამარაული | ტრაბზონსფორი | 2 | | | 2 |
| 10-14. მიხეილ აშვეთია | ალანია, დინამო | 1 | | | 1 |
| 10-14. გიორგი დარასელია | ჰაპოელი თელ ავივი | 1 | | | 1 |
| 10-14. კახა კალაძე | დინამო, დინამო კიევი | 1 | | | 1 |
| 10-14. დავით მუჯირი | დინამო | 1 | | | 1 |
| 10-14. გელა შეყილაძე | ბათუმი | 1 | | | 1 |

### საქართველოს IX ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

| | გუნდი | ქულა | I (5) | II (3) | III (1) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დავით მუჯირი | დინამო | 104 | 15 | 8 | 5 |
| 2. გელა შეყილაძე | ბათუმი | 74 | 9 | 8 | 5 |
| 3. ნიკოლოზ ტოგონიძე | ბათუმი | 66 | 10 | 4 | 4 |
| 4. მიხეილ აშვეთია | დინამო | 47 | 5 | 6 | 4 |
| 5. ნუგზარ მიქაბერიძე | კოლხეთი | 30 | 4 | 2 | 4 |
| 6. ლევან ცქიტიშვილი | დინამო | 23 | 2 | 3 | 4 |
| 7. შალვა ხუჯაძე | ტორპედო | 13 | 1 | 2 | 2 |
| 8. კახა კვეტენაძე | ტორპედო | 10 | | 3 | 1 |
| 9-11. გიორგი მეგრელაძე | ტორპედო | 6 | | 2 | |
| 9-11. მიხეილ ქობულაძე | კოლხეთი | 6 | | 2 | |
| 9-11. ლევან ხომერიკი | დინამო | 6 | | 2 | |
| 12-13. გივი დიდავა | დინამო | 4 | | 1 | 1 |
| 12-13. გიორგი კიკნაძე | დინამო | 4 | | 1 | 1 |
| 14-16. ივანე მახარაძე | ბათუმი | 3 | | 1 | |
| 14-16. გიორგი ბალაშვილი | დილა | 3 | | | 3 |
| 14-16. პაატა მაჭუტაძე | ბათუმი | 3 | | | 3 |
| 17. რატი ალექსიძე | დინამო | 2 | | | 2 |
| 18-22. თენგიზ კობიაშვილი | თსუ | 1 | | | 1 |
| 18-22. მიხეილ მაზიაშვილი | თსუ | 1 | | | 1 |
| 18-22. ზურაბ მინდაძე | ბათუმი | 1 | | | 1 |
| 18-22. გოჩა ტრაპაიძე | სიონი | 1 | | | 1 |
| 18-22. ზაველ ღაღანიძე | კოლხეთი | 1 | | | 1 |

### შოთა არველაძე

**თბილისის „იბერია“**

1991 — ჩემპიონი
7 მატჩი, 3 გოლი

1991-92 — ჩემპიონი, თასის მფლობელი
30 მატჩი, 22 გოლი

1992-93 — ჩემპიონი, თასის მფლობელი
23 მატჩი, 18 გოლი

1993-94 — ჩემპიონი
7 მატჩი, 8 გოლი

1994-95 — ჩემპიონი
8 მატჩი, 11 გოლი

**„ტრაბზონსფორი“**
თურქეთი

1993-94 — მესამე ადგილი
18 მატჩი, 15 გოლი

1994-95 — მეორე ადგილი, თასის მფლობელი, ბომბარდირი
17 მატჩი, 12 გოლი

1995-96 — მეორე ადგილი
34 მატჩი, 25 გოლი

1996-97 — მეოთხე ადგილი, თასის ფინალისტი
22 მატჩი, 10 გოლი

**„აიაქსი“**
ჰოლანდია

1997-98 — ჩემპიონი, თასის მფლობელი
33 მატჩი, 25 გოლი

### სარბიელის გამოკითხვის წინა ხუთი გამარჯვებული

1992-93 გიორგი ქინქლაძე
1993-94 შოთა არველაძე
1994-95 აკაკი დევაძე
1995-96 გიორგი ქინქლაძე
1996-97 თემურ ქეცბაია

| | საქართველოს 1997-98 წლების საუკეთესო ფეხბურთელი | | | საქართველოს IX ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიხეილ აბაიშვილი (კაპიტალ ნიუსი) | შ. არველაძე | ქეცბაია | ტოგონიძე | ტოგონიძე | აშვეთია | შეყილაძე |
| გიორგი ახვლედიანი (სარბიელი) | შ. არველაძე | ქეცბაია | ნემსაძე | აშვეთია | მუჯირი | — |
| ილია ბაბუნაშვილი (სარბიელი) | შ. არველაძე | ქეცბაია | ა. არველაძე | — | — | — |
| დათო ბაკურაძე (ალია) | შ. არველაძე | ქეცბაია | ტოგონიძე | შეყილაძე | ცქიტიშვილი | მუჯირი |
| ბიძინა ბარათაშვილი (საქართველოს სპორტი) | შ. არველაძე | ა. არველაძე | ჯანაშია | მუჯირი | შეყილაძე | ტოგონიძე |
| დავით ბერიაშვილი (ნაკრების პრეს-ატაშე) | შ. არველაძე | ქეცბაია | ჯამარაული | აშვეთია | შეყილაძე | მუჯირი |
| ვახტანგ ბზიკაძე (სარბიელი) | შ. არველაძე | ტოგონიძე | ჯანაშია | მუჯირი | ხუჯაძე | ღაღანიძე |
| პაატა გელაშვილი (საქართველოს სპორტი) | ტოგონიძე | შ. არველაძე | შეყილაძე | მუჯირი | მიქაბერიძე | ტრაპაიძე |
| აკაკი გვიმრაძე (რეზონანსი) | ქეცბაია | შ. არველაძე | ნემსაძე | შეყილაძე | დიდავა | ტოგონიძე |
| სოლომონ გულისაშვილი (ალია) | შ. არველაძე | ქეცბაია | ტოგონიძე | შეყილაძე | მუჯირი | ცქიტიშვილი |
| ალექსანდრე გურამიშვილი (ახალი თაობა) | შ. არველაძე | ჯანაშია | ქეცბაია | აშვეთია | შეყილაძე | ხუჯაძე |
| ბიძინა დარჩია (TV ფაზისი, ფოთი) | ნემსაძე | შ. არველაძე | ქინქლაძე | მიქაბერიძე | ქობულაძე | კვეტენაძე |
| ლაშა დვალიშვილი (ტელევიზია, I არხი) | შ. არველაძე | ა. არველაძე | ნემსაძე | მუჯირი | ხომერიკი | აშვეთია |
| დავით ერაძე (საქართველოს სპორტი) | შ. არველაძე | ნემსაძე | ქეცბაია | მუჯირი | ტოგონიძე | ცქიტიშვილი |
| გია ეჯიბია (TV ფაზისი, ფოთი) | შ. არველაძე | ნემსაძე | ქეცბაია | მიქაბერიძე | კვეტენაძე | მაჭუტაძე |
| დათო თავართქილაძე (ლელო) | შ. არველაძე | ქეცბაია | ნემსაძე | მუჯირი | აშვეთია | მაჭუტაძე |
| კობა ინასარიძე (სარბიელი) | შ. არველაძე | ქეცბაია | ნემსაძე | ტოგონიძე | შეყილაძე | დიდავა |
| იუზა კაციტაძე (სარბიელი, ქუთაისი) | შ. არველაძე | ჯანაშია | ქეცბაია | ტოგონიძე | კიკნაძე | მიქაბერიძე |
| ფრიდონ კერვალიშვილი (რეზონანსი, ქუთაისი) | შ. არველაძე | ქეცბაია | ნემსაძე | მუჯირი | კვეტენაძე | მიქაბერიძე |
| მამუკა კვანტალიანი (სარბიელი) | ნემსაძე | შ. არველაძე | ქეცბაია | მუჯირი | აშვეთია | შეყილაძე |
| მამუკა კვარაცხელია (რეზონანსი) | შ. არველაძე | — | — | მუჯირი | ხომერიკი | ალექსიძე |
| მერაბ მამულაშვილი (ალია) | შ. არველაძე | ქეცბაია | ტოგონიძე | შეყილაძე | მუჯირი | მინდაძე |
| არმაზ მეტრეველი (ტელევიზია, I არხი) | შ. არველაძე | ა. არველაძე | ნემსაძე | მუჯირი | მიქაბერიძე | ალექსიძე |
| დათო მინაშვილი (რადიო, I არხი) | შ. არველაძე | ჯანაშია | ა. არველაძე | ხუჯაძე | ტოგონიძე | მიქაბერიძე |
| გივი მომცემლიძე (11x11) | შ. არველაძე | გახოკიძე | ტოგონიძე | შეყილაძე | ცქიტიშვილი | ბალაშვილი |
| ნიკა მჟავანაძე (11x11) | შ. არველაძე | ჯანაშია | კალაძე | შეყილაძე | მუჯირი | კობიაშვილი |
| გოგი მურვანიძე (აჭარის ტელევიზია) | შ. არველაძე | ქეცბაია | ჯანაშია | ტოგონიძე | მახარაძე | მუჯირი |
| დიმა ობოლაძე (რუსთავი 2) | შ. არველაძე | ქეცბაია | ჯანაშია | მუჯირი | აშვეთია | შეყილაძე |
| თენგიზ პაჭკორია (აფხაზეთის ტელევიზია) | ჯანაშია | შ. არველაძე | ქეცბაია | ტოგონიძე | მუჯირი | მიქაბერიძე |
| გია პლატონიშვილი (საქართველოს რესპუბლიკა) | შ. არველაძე | ნემსაძე | ჯამარაული | მუჯირი | ქობულაძე | მაჭუტაძე |
| მიხეილ საბახტარაშვილი (ქართული ფეხბურთი) | შ. არველაძე | ქეცბაია | ქინქლაძე | აშვეთია | კვეტენაძე | ბალაშვილი |
| ზვიად სეხნიაშვილი (შანსი) | შ. არველაძე | ქეცბაია | ნემსაძე | ტოგონიძე | მუჯირი | აშვეთია |
| ვალერი ტორონჯაძე (რადიო, I არხი) | შ. არველაძე | ნემსაძე | ჯანაშია | მიქაბერიძე | ხუჯაძე | შეყილაძე |
| გია ტუხაშვილი (ალია) | შ. არველაძე | ნემსაძე | ა. არველაძე | ტოგონიძე | შეყილაძე | ცქიტიშვილი |
| ვასილ უდუმაშვილი (ახალი თაობა) | შ. არველაძე | ნემსაძე | ჯანაშია | შეყილაძე | აშვეთია | ტოგონიძე |
| ზურაბ უსუფაშვილი (რუსთავი 2) | შ. არველაძე | ქეცბაია | ნემსაძე | მუჯირი | შეყილაძე | ტოგონიძე |
| პაატა ყურაშვილი (ფუტბოლი, რუსეთი) | შ. არველაძე | ჯანაშია | ქეცბაია | ტოგონიძე | აშვეთია | მუჯირი |
| რევაზ შენგელია (სფფ-ს პრეს-სამსახური) | შ. არველაძე | ქეცბაია | ჯანაშია | მუჯირი | ცქიტიშვილი | კიკნაძე |
| რამაზ ჩხიკვაძე (რადიო, I არხი) | შ. არველაძე | ქეცბაია | დარასელია | ტოგონიძე | მეგრელაძე | ხუჯაძე |
| დავით ცაბაძე (11x11) | შ. არველაძე | ქინქლაძე | ქეცბაია | შეყილაძე | მუჯირი | აშვეთია |
| ჯემალ ჭიპაშვილი (ლელო) | შ. არველაძე | ქეცბაია | აშვეთია | აშვეთია | მუჯირი | შეყილაძე |
| ბესიკ ჯანგავაძე (სარბიელი, ზესტაფონი) | შ. არველაძე | ქეცბაია | ტოგონიძე | ტოგონიძე | შეყილაძე | მუჯირი |
| თემურ ჯაფარიძე (ტელევიზია, I არხი) | შ. არველაძე | — | — | ცქიტიშვილი | — | — |
| მიხეილ ჯაში (11x11) | შ. არველაძე | ნემსაძე | ტოგონიძე | ცქიტიშვილი | შეყილაძე | ბალაშვილი |
| ალექსანდრე ჯიბლაძე (რადიო, I არხი) | შ. არველაძე | ჯანაშია | ნემსაძე | მიქაბერიძე | მეგრელაძე | მაზიაშვილი |
| თამუნა ჯიშკარიანი (ტელევიზია, II არხი) | შ. არველაძე | ქეცბაია | მუჯირი | მუჯირი | ტოგონიძე | აშვეთია |
| ნუგზარ ჯულელი (ტელევიზია, I არხი) | ქინქლაძე | შ. არველაძე | ქეცბაია | შეყილაძე | ტოგონიძე | ცქიტიშვილი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტიტები მეკარე არველაძისთვის

უეფას თასის საასუხო მეოთხედფინალური მატჩების დღე იდგა. ერთ-ერთი უცხოური არხი „უდინეზე“ — „აიაქსის“ ჩანაწერს გადაცემდა რამდენიმე წუთის დაგვიანებით. სარბიელელები, ჩვეულებრივ, „აიაქსს“ ვქომაგობდით, მაგრამ რად გინდა, ჰოლანდიელები ორბურთიანი სხვაობით მარცხდებოდნენ და შემდეგ ეტაპზე იტალიელები გადიოდნენ. გადაცემის დამთავრებამდე ნახევარ საათზე მეტი იყო დარჩენილი. ერთი თანამშრომელი განერვიულდა და ოთახიდან გავიდა. ორიოდე წუთის შემდეგ კი ერთიან უდარდელი სახით დაბრუნდა. ძალიან გაგვიკვირდა, მაგრამ მისთვის ვის სცხელოდა. აი, სიცილი რომ დაგვაყარა, მაშინ კი ავფეთქდით. თურმე, ნუ იტყვით, სააგენტო როიტერის ცნობა წაეკითხა... თავს რას იკლავთ, „აიაქსი“ გავიდაო. უმალ წამოვცვივდით და საკუთარი თვალით ვნახეთ — სააგენტო როიტერი გვაუწყებდა: „უდინეზე“ — „აიაქსი“ 2:1. 82-ე წუთზე გოლი „აიაქსის“ ქართველმა ფორვარდმა შოთა არველაძემ გაიტანა და გუნდი შემდეგ ეტაპზე გაიყვანა: სატელეფონო ზარები მთელ ღამეს არ შეწყვეტილა. „აიაქსმა“ როგორ ითამაშა? — პირმეტყველებით კითხულობდნენ. შოთას გოლით გამოწვეული რეაქცია „სარბიელის“ შემთხვევით კარგად ემსახურება, რადგანაც მაშინ ძალიან, ძალიან ბევრმა დარეკა. ახლა ჩვენი რეაქცია — მარტო ამ გოლისთვის ეკუთვნის შოთას საქართველოს პირველი ფეხბურთელის ტიტული — წამოიძახა ერთმა, მეორემ კვერი დაუკრა. გავიდა ხანი, მოახლოვდა მისის ბოლო და... პირველ გვერდს უკვე წაიკითხავდით.

შოთა არველაძე საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელია! უეჭველია, შოთამ დაიმსახურა ეს ჯილდო. ჯილდო ქართველებმა, ფეხბურთის ქომაგებმა, ყველა სპორტის მოყვარულმა. აფიჟე შოთას, კლუბის ახალგაზრდა და... სამშობლოს.

ახლა წუთით დავიჭერით, გაიხსენეთ შოთას „აიაქსში“ გადასვლის წინა პერიოდი, იმასაც ნუ დავივიწყებთ, ხალხის ნალაპარაკევს ეჭვნარევი ტონი რომ დაჰკრავდა — გაქანავს კი „აიაქსს“? პასუხი როგორია? ყველანი, ერთადერთი — გაქანა, თანაც როგორ. ისიც გაიხსენეთ, ჩვენი ლაურეატის პირველი ჰოლანდიური სამიჯიხი, ამხანაგური მატჩები, გოლის ავტორთა შორის მუდამ შოთა რომ ეწერა. მერე ჰოლანდიური ჩემპიონატიც მოყოლეთ, უეფას თასის გათამაშების შედ გოლიანი მატჩებიც და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრები. ახლა ყველაფერი ერთმანეთში შეაზავეთ. რა გამოვიდა? რა და... დღეს, „სარბიელის“ პრიზს რუსეთთან მატჩის დაწყებამდე ხელთ იპყრობს შოთა არველაძე. მანამდე კი ეს ინტერვიუ გიჩვენოთ. პირველი ორი კითხვა ტრადიციულია:

**— შოთა, პირველობა მოულოდნელი ხომ არ იქნებოდა.**

— რა ვიცი. კი, ველოდი, მაგრამ ბევრი არ მიფიქრია. თუმცა მეგობრების წრეში ამ თემაზე ვსაუბრობდით. სხვანაირად ნუ გამიგებთ, მართლაც კარგი სეზონი მქონდა.

**— შენივე რომ გკითხოთ, საუკეთესოდ ვის დაასახელებდი?**

— ყველაფრის გათვალისწინებით, ყველაფრიდან გამომდინარე, მძიმე ტრავმებისა და ხანგრძლივი ავადმყოფობის მიუხედავად კახა კალაძეს. მართლაც შესანიშნავად თამაშობდა „დინამოში“ და საქართველოს ნაკრებში. მე პირადად დავაფასებ ასეთ მონდომებას.

**— სიმართლეს გეტყვი, „ტრაბზონიდან“ „აიაქსში“ შენი გადასვლა ცოტა მოულოდნელიც კი იყო. თუმცა „აიაქსში“ პირველობა უმალ დაიმკვიდრე. ეტყობა, იქაურობას კარგად შეეგუე. „ტრაბზონშიც“ ასე იყო.**

— თურქეთში ფეხბურთს ნაკლებად თამაშობენ, უფრო ძალისმიერად ორთაბრძოლობენ. მწვრთნელი მოითხოვდა, ხალხი, ალალა, ძალა, ცოტა კორუფციაც, კლანური გუნდები სტამბოლიდან. მოკლედ, თურქეთის მერე ჰოლანდიელებთან შეგუება არ იყო პრობლემა. მთავარი ფსიქოლოგიური მომენტის გადალახვაა, უნდა იცოდე, რომ არავისზე ნაკლები არ ხარ. პირიქით, გამიადვილდა „აიაქსში“ თამაში, რადგან ყველა სწორ ფეხბურთს თამაშობს, თავის საქმე იცის. შანსი არა, ტექნიკურად, თუ გაიხსნები, პასიც არ დაიხარჯება. მაქსიმალურად ცდილობენ შენს გამოყენებას. თანაც სხვანაირი პროფესიონალები არიან, წამით არ გაგრძნობინებენ, მეწყრ მაგარი ვარო.

**— თურქეთიდან წამოსვლის შემდეგ იქ აღარ ჩასულხარ? ტრაბზონში მეტად პოპულარული იყავი. შენთან განშორებას ალბათ ახლაც განიცდიან.**

— თითქმის ყოველ ტურის მერე ვურეკავდი ხოლმე ერთმანეთს. კავშირი სულ მაქვს. შეგლიი კი ჯერ არ შემოვლია. ისე ჯამაგირით მეუბნებიან, ყველა წაგებული მატჩის მერე შოთა, შოთას ყვირიან. ასეთ ხარ, შოთაო. სულიერებით ვარ.

**— „აიაქსში“ ყველამ თავის საქმე იცისო, თქვი. მცველებმაც? ყველაზე სუსტი გუნდში დაცვის რგოლია. არადა, მორტენ ოლსენი თავის დროზე მაღალი კლასის მცველი იყო.**

— შეცდომებს მართლაც უშვებენ, მაგრამ უკლებლივ ყველა მცველი წინ იწევს. კარგად თამაშობს, რომ ნაკლს ანაზღაურებენ. ყველა წინ მირბის, მცველი არაა, ორ გოლზე ნაკლებს გაუშვებს. ჰოდა, ასეთ დროს, ერთი ორმოცმეტრიანი პასი უკვე ბევრს ნიშნავს, მეტოქეს რიცხობრივი უპირატესობა აქვს და სარგებლობს. ახალი სეზონიდან, ალბათ, ეს ვაკანსია შევსებული იქნება, რადგან ახალი მცველის ტრანსფერი უკვე ახლოსაა, ტრავმირებულიც ბრუნდება, რომელიც ბრაზილიელ მცველსაც შეცვლის. მოკლედ, საქმე გამოსწორდება. თანაც უფრო შეთანხმებული ვიქნებით. ახლა მარტო ერთი ახალბედა იყო. მწვრთნელიც ახალი.

**— ოლსენი რა ტიპია?**

— ყველანაირი. კარგი კაცია. მაგრამ ხანდახან უცნაურიც. თამაშს დიდი ანგარიშით მოვიგებთ, გასახდელში ცხვირჩამოშვებული შემოდის, უკმაყოფილოა, ხან კი წაგების მერე იცინის. აქეთ ვეუბნებით, რა ცხვირი ჩამოუშვით, ქვეყანა არ დაქცეულა.

**— გავიგეთ, განსაკუთრებით ბაბანგიდასთან მეგობრობ.**

— ერთმანეთზე უკეთესი ფეხბურთელები და პიროვნებები არიან. ნიდერლანდელები არ არიან გამორჩეულნი. ალალად და უწყინარად აკეთებენ ყველაფერს, ეხმარებიან, გეხუმრებიან. ძალიან მეგობრობენ გუნდში. ლაუდრუპი აიღეთ, კაცი ამხელა ფეხბურთელია, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესოც კი. ჰოდა, ვერ ნახავ ვინმეს ზემოდან დასცქეროდეს. ყურადღება, დახმარება არასდროს მოშლია.

**— დანი?**

— ისიც ცდილობს, კარგი ბიჭი იყოს. ავს ვერც მასზე ვიტყვი. ყველანაირად გვერდში ამოგვდგება, რაც შეუძლია, გვაკეთებს. ერთი მარსიო სანტოსი ... სხვანაირი საურთიერთო კავშია, ეს არ იცის ... და ვერ უგებენ.

**— ახლა „უდინეზესთან“ შეგდებული გოლი გაიხსენე.**

— ოქროს ფასობდა ის გოლი. 2:0-ზე ხომ მეოთხედფინალიდან ვვარდებოდით. იმ დროს მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი, როგორმე მცველებს არ დავეხლებოდე, ორივეს გვერდი აუარე და სხვათავის შევძვერი. კარგა ხანია, ასე არაფერი გამხარებია, როგორც მაშინ. თუმცა, „აიაქსში“ გატანილი პირველი გოლიც მეტად მესიამოვნა.

**— მცველთან ბრძოლისას სტილის ფინტი რომ გაქვს, თითქმის ყოველთვის უნაკლოდ გამოგდის. ვარჯიშებში შეგნებულად მუშაობ ასეთი ფინტის შესრულებაზე?**

— არა. უბრალოდ, ისე ხშირად ვაკეთებ, უკვე უნებურად გამოდის.

**— შენი კოზირი რა არის? რის ხარჯზე გაგაქვს გოლები? იქნებ ინტუიცია გაქვს?**

— ინტუიციით ყველა ფეხბურთელი გამოირჩევა. მე მგონი, საჭირო დროს გიხსნები, საჭირო ადგილზე ვიმყოფები. პოზიციას ვირჩევ.

**— ყველაზე უხეშულ მცველად ვინ მიგაჩნია?**

— თამაშს გააჩნია. შეიძლება, სულ უცნობმა მცველმა ბევრი თავსატეხი გაგიჩინოს. კონკრეტულად ვერავის დავასახელებ. ისე იაპ სტამის გვარი გაგიგია ეხუმრები? „მანჩესტერმა“ მცველში 25 მილიონი გადაიხადა.

**— გორლუკოვიჩთანაც მოგიხდა ურთიერთობის გარკვევა.**

— დასაფასებელია მისი მონდომება. ამხელა კაცია და თანაგუნდელებს არაფრით ჩამოუვარდება. სიტყვამ მოიტანა, „სპარტაკზეც“ გეტყვი. იმ ორი დღის განმავლობაში, რაც მოსკოვში ვიყავით, გაოგნებული დავრჩი რუსების სითბოთი. ყველა მეხვეოდა, მკოცნიდა, დიდი ყურადღება ვიგრძენი. ყველაფერი მოულოდნელი იყო.

**— „სპარტაკთან“ მოგება არ შეგეძლოთ?**

— მოსკოვში სამი ბურთის გატანა ერთობ ძნელია. ზამთარს ვერაფერს დააბრალებ. კარგი მინდორი არენაზე გვქონდა და იქ ვერ გავიმარჯვეთ. რომ მოგვენდომებინა ამსტერდამშიც ზამთარში ვითამაშებდით, სტადიონს გადახურავდნენ, ისეთ მიკრო კლიმატს შექმნიდნენ, მოსკოველებსაც გაუკვირდებოდათ. მინდორსაც თოვლით დაფარავდნენ, მაგრამ კარგი მინდორი გვერჩივნა. სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. მოსკოვში უკვე სხვა ვითარება იყო. ერთი ფიქრი გვქონდა. აი, ახლა თუ გოლი შევაგდეთ, ბურთი სწრაფად ცენტრში უნდა დავდოთ და მეორე გავიტანოთო. ასეთ დროს კი ვერაფერს მიაღწევ.

**— ფაქტობრივად ერთი წელია, თბილისში არ ყოფილხარ. სულ მოგზაურობ. აქაურობა არ გენატრება?**

— ეეჰ, ძალიანაც მენატრება, მაგრამ რა ვქნა. როცა შინ წამოსვლის დრო ახლოვდება, სულ ვგიჟდები, ერთი დღე ერთ თვესავით გრძელდება. ახლაც გამიჭირდა, თანაც აჩი უკვე თბილისში იყო, მე „აიაქსს“ ვახლდი ჰონკონგში კომერციულ მატჩზე. მგზავრობაც დამღლელია, დროში სხვაობა საერთოდ აუტანელია. მერე სამი დღე სულ მძინავს, აკლიმატიზაციის პრობლემა ხომ სულ კოშმარია.

**— როდესმე არ გიფიქრია, ფეხბურთს თავს დავანებებო?**

— არა, დანებებაზე არასდროს მიფიქრია. ერთი ეგაა, ვიღლები-ხოლმე. ამასწინათ დამესიზმრა, თითქოს შვებულება ერთ დღეში გავიდა, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე.

**— გასულ სეზონში ყველაზე მეტად რამ დაგწყვიტა გული და რამ გაგახარა?**

— ღმერთმა ახლობელი ნუ დაგვაკარგვინოს. ამაზე საშინელება არაფერია. მე კი უეფას თასიდან გამოვარდნა მეწყინა, ერთი სული მქონდა, რონალდოს შევხვედროდი. „აიაქსი“ — „ინტერი“ კარგი თამაში იქნებოდა. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს დღემდე არსად შევხვედრივარ. ახლა იყო შანსი, მაგრამ „სპარტაკმა“ გვაჯობა. გახარებით კი, რაღა თქმა უნდა, უცხო ქვეყნის ჩემპი-



ბადრი კეთილაძის ფოტო

მოსკოვის სუსხიანი მარტი — შოთა „სპარტაკთან“ მატჩისწინა ვარჯიშზე

ონობა და თასის აღება მესიამოვნა.

**— თბილისში იშვიათად ხარ. ალბათ შენი პირველი მწვრთნელები ამაყობენ, ჩემი ყოფილი შეგირდი ახლა აიაქსელიაო.**

— ცხონებული ოთარ გიგოლაშვილი, ვილი გოგეჩიძე, ნიკო დოლიძე, დათო ჩახავა, ოთარ შენგელია, მათ გამზარდეს, ფეხბურთელად მაქციეს. არ იქნება, ისინი არ მოვინახულო. ძველ ამბებს ვიხსენებთ, ბავშვობაში ჩვენი თავი რომ ებარათ და სხვადასხვა ტურნირებზე დავყავდით. მაშინდელი ჩხუბები, სასიამოვნო ისტორიები, ცელქი ბავშვობა ახლა ძალიან კარგად მაგონდება.

**— ჰოლანდიიდან ტიტები თუ ჩამოგაქვს?**

— იქაურ ყვავილებს სურნელი აკლია. თან არასდროს მომაქვს. აი, ჩვენთან ყველა ყვავილს ბუნებრივი სუნი აქვს. იქაური უფრო ვიზუალურადაა ეფექტური, სხვადასხვა ფერია. ჩვენს სურნელოვან ყვავილებს ვერ შევადარებ...

— რა ვიცი. როგორც თვითონ გადაწყვეტს. ისე, ჩვენი ოჯახის შვილისგან გასაკვირი არ იქნება. ფეხბურთელობა გენში ექნება.

**— შენი ფეხბურთელობა მამის დამსახურებაა?**

— მამაჩემსაც უძევს დიდი წვლილი, მაგრამ მე რომ არ მომენდომებინა, ისიც ვერაფერს გახდებოდა. აბა, 15-16 წლის ბიჭს ხელში აყვანილს ხომ ვერ ატარებ ვარჯიშებზე. თუ კაცს უნდა და მოწადინებულია, არავინაც არ სჭირდება, გახდება ფეხბურთელი.

**— შენ და აჩიკო ბავშვობაში შინ ფანჯრებს ამსხვრევდით...**

— ეგრე იყო. რომელი ძმები არიან, შინ ბურთს არ თამაშობდნენ. ყველა ასეა, ბურთი სულ გვქონდა, ჰოდა, ვთამაშობდით, შუშებსაც ვამტვრევდით.

**— ბავშვობაში აჩი შოთაზე მაგარი იყოო...**

იხილეთ მეოთხე გვერდზე

**— ამსტერდამში მაცხოვრებელს ბულვარზეც უნდა ჰკითხო.**

— ქუჩა-მუზეუმია. არალეგალური არაფერია. ყველა ჯიშისა და გაგების კაცს შეხვდები. თუ ქვეყნად რაიმე კარგი ან ცუდი არსებობს, ყველაფერი იქაა. მთელი ქუჩა მოსტაფილოსფრო-მოწითალოდაა განათებული.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებ?**

— ოჯახში ვარ. ჩემს მეუღლე თამუნა მელაძესთან საუბარს და პატარა, 10 თვის გიორგისთან თამაშს არაფერი მირჩევნია. ხშირად ერთად ვსეირნობთ.

**— ისიც ფეხბურთელი უნდა გამოვიდეს?**


ბადრი კეთილაძის ფოტო

შოთას ირმის ნახტომი მოლდოვასთან ბათუმურ მატჩში



ბადრი კეთილაძის ფოტო

შოთას და „აიაქსის“ ლაშქრობა უეფას თასზე სპარტაკელებმა შეწყვიტეს

# ტიტები მეკარე არველაძისთვის

დასაწყისი მესამე გვერდზე

— მე მეკარე ვიყავი, აჩი თავდასხმაში თამაშობდა. ტყუპისცალი ახლაც ძლიერია, მისი დარი დრიბლინგით ბევრი ვერ დაიტრაბახებს. განსაკუთრებით საჯარიმოშია საშიში, პატარა მონაკვეთში სასწაულებს აკეთებს.

**— შენი შედეგიანობა წარსულმა მეკარეობამაც ხომ არ განაპირობა?**

— არა, ეგ ძალიან ადრე იყო. ხტუნაობა მიყვარდა, ვმეკარეობდი კიდეც. ძლიერი გუნდი გვყავდა და ბურთი იშვიათად აღწევდა კარამდე.



საქართველო — იტალია. შოთა არველაძე და კანავარო ბურთის მოლოდინში

**— ტუნისის ნაკრებთან თამაშის მერე ბევრი ამბობდა, შოთამ არ მოინდომაო...**

— რა არის მონდომება? მაინცდამაინც თავით „პადკატი“ უნდა გავაკეთო. მე მონდომება არასდროს მაკლდა. ტუნისთან სულ ხუთჯერ მივილე ბურთი და რა მექნა? არ მოინდომო, ესე იგი ხალხს ვიგდებ. ეს არასდროს გამიკეთებია, არც არასდროს გავაკეთებ. კი, ბატონო, ხმას არ ამოვიღებ, რომ თქვან ცუდად ითამაშაო. შეიძლება დღეს ვერ ითამაშო, ეს ბუნებრივია, მაგრამ არ მოინდომაო, ამ აზრს ვერასდროს შევეგუები. მე რომ ეროვნულ გუნდში ამხანაგური თამაშისას ვნერვიულობ, ისე „აიაქსში“ თასის ფინალისას არ მინერვიულია. ჩადით აბა ტუნისში, დღის ორ საათზე ითამაშეთ გაგანია პაპანაქებაში, კაციჭამიებთან, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რომ ემზადებიან ისეთ გუნდთან და თავად მიხვდებით როგორია, მერე მოუნდომებლობას რომ დაგაბრალებენ.

**— იგივე ტუნისში შენი ჩასვლის ამბავი ბოლო მომენტში გაირკვა. ადრე მოლდოვაშიც არ ყოფილხარ. ოლსენი არ გიშვებს?**

— ოლსენი რა შუაშია. მოლდოვაში ყველაფერი გარკვეული იყო. იქ რომ მეთამაშა, ახლა, ალბათ, „აიაქსის“ ძირითადში აღარ ვიქნებოდი. ეროვნულ გუნდს ყოველთვის პირველ რიგში ვაყენებ, მუდამ ასე იქნება, მაგრამ როცა ნაკრების მატჩს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, განა არ ჯობს „აიაქსიდან“ გავახარო ქართველები. ტუნისთან თამაშის მერე კინაღამ სკამს დამაწებეს, ჩემს ნაცვლად აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი, 21 წლის ბენი ათამაშეს, „აიაქსმა“ 8:1 მოიგო, სამი ბურთი ჩემმა კონკურენტმა გაიტანა. მოლდოვაში წასვლის შემთხვევაშიც შეიძლებოდა ასე მომხდარიყო, შეაგდებდა ბენი ხუთ გოლს და მორჩებოდა, არველაძე სათადარიგოებში დაჯდებოდა. რა ვიცი, მგონი, „აიაქსში“ ჩემი გარჯით ხალხს ვახარებ. ქართველებს აღაფრთოვანებს მისი გორის ფეხბურთელი „აიაქსის“ ბომბარდირი რომ არის, მეც მიხარია კარგ გუნდში თამაში. ნუ იფიქრებთ, თითქოს ფეხბურთელები არაფერს განვიცდით, ჩვენც ბევრს ვფიქრობთ, ვნერვიულობთ, გთხოვთ, გულს ნუ გვატკენთ.

**— ახლა რუსებთან თამაშიც გველის.**

— ამ თამაშს პოლიტიკასთან გაიგივება არ ეგების. რაც ოდითგან მოგვდევდა, მოდით, ის თვისებები გამოვამჟღავნოთ, ტაში დავუკრათ, მივესალმოთ. ახალი არაფერი გამოვიგონოთ, ჩვენი სტუმართმოყვარეობა ახლაც დავამტკიცოთ. რუსეთში პატივს გვცემენ, თუნდაც ჩემი მაგალითი აიღეთ, უდიდესი სითბო მაგრძნობინეს. მოდით, სამაგიეროდ გადავუხადოთ.



ტურჩი განრთხმულა, ბურთი ბადეშია — შოთამ „უდინეზე“ დააშამათა

**— საუკეთესო რომ ხარ, რუსებთანაც მოგიწევს ამის დამტკიცება, ტვირთი გაგიორმაგდება.**

— არაფერიც არ გამიორმაგდება. კარგად გამიგეთ, პირველ ყოვლისა ჩემს თავს უნდა დავუმტკიცო, რომ საქართველოში პირველობის ღირსი ვარ. მე მუდამ შოთა არველაძედ უნდა დავრჩე. ისეთი ვიქნები, როგორიც ვარ. ბუნებრივად რაც შემიძლია, ისე ვითამაშებ. ეს ჩემი ვალდებულებაა, ქართველები მუდამ უნდა გავახარო. საამისოდ საკუთარ თავს ათასჯერ მეტს მოვთხოვ.

**კობა ინასარიძე**



მუმუ „ბათუმთან“ სათასო ოვერტაიმის წინ

მუმუ, დაარტყი! — აგუგუნდება ტრიბუნები. დინამოელიც ძლიერად მოიქნევს ფეხს და წამის შემდეგ გაწბილებულ მეკარეს ბადიდან გამოაქვს ბურთი. რამდენჯერ გვინახავს მსგავსი მომენტი, რამდენჯერ წამომხტარან ქომაგები ფეხზე. ყოფილა სიხარული. ქართველი გულშემატკივარი ძლიერ მომთხოვნია — ყოველ მატჩში გამარჯვება სწყურია. სულ ერთია, მოწინააღმდეგე ვინ იქნება. გოლს ითხოვს ტრიბუნები. მუმუსაც ზოგჯერ გამოსდის, ზოგჯერ არა. დათომ ეროვნულ ჩემპიონატში რჩეულობა თასის მარცხიანი ფინალის შემდეგ შეიტყო. დაღონებულს თვალებში სიხარული ჩაუდგა. მერე ისევ ნაღველმა იძალა. თავი დამიქნია და წავიდა. ინტერვიუზე მომდევნო დღეს შევთანხმდით.

დავით მუჯირი, ახლობლებისთვის, უბრალოდ, მუმუ, ერთი ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭია, რომელსაც ბურთი შეჰყვარებია. თამაშობს გატაცებით და ცდილობს, გულშემატკივარიც გაახაროს.

თავისუფალ დროს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ყოფნა ურჩევნია. უსმენს „სოულს“, კერძებიდან მწვადს და შემწვარ კარტოფილს შეექცევა. სიგარეტი არასოდეს გაუსინჯავს. არც არასდროს გასჩენია ამის სურვილი. ღვინოს ერთხელ მიჰპარვია და გვარიანადაც შემთვრალა, მაგრამ მეორე დღეს ისე ცუდად გამხდარა, ალკოჰოლური სასმელები საერთოდ შეზიზღებია. იცის ინგლისური და საკმაოდ გამართულადაც. აი, ასეთია მუმუ. დანარჩენზე თავად მოგითხრობთ, მით უმეტეს, რომ სასიამოვნოდ მოსაუბრე ყოფილა...

# უყვარს სოული და კარტოფილი

—სიმართლე გითხრათ, „სარბიელის“ გამოკითხვაში გამარჯვება მოულოდნელი გახლდათ. ამაზე არც ვფიქრობდი. ვთამაშობდი ეროვნულ ჩემპიონატში, ჩემპიონიც გავხდი, მაგრამ ასეთმა აღიარებამ ორმაგად გამახარა. საუკეთესოდ დასახელებამ დიდი სტიმული მომცა. მომავალში ვისურვებდი, სხვა ქვეყნის პირველობაზეც გამომეჩინოს თავი და იქაც მსგავსი წარმატებისთვის მიმეღწიოს...

...მაშინ კარგად ვერ გავათვითცნობიერე, რას მილოცავდით. ნურც გამამტყუნებთ. პირველ ფინალში მივიღე მონაწილეობა და მინდორი დამარცხებულმა დავტოვე. ფსიქოლოგიურდა წაშლილი გახლდით. როცა ყველაფერი გავიაზრე, აღმაფრენა ვიგრძენი. აწი სულ სხვა მუმუ ვიქნები და ვეცდები, ჩემზე გაცემული ავანსები გავამართლო.

**— შენს ჯანმრთელობაზე, მაღალ წნევასა და ტრავმებზე არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება. იქნებ ბოლო-ბოლო აგვიხსნა, რა გჭირს ასეთი უსაშველო?**

— საშიში არაფერია. ერთხელ სამედიცინო შემოწმებისას დადგინდა, რომ მაღალი წნევა მაქვს. ასე ჩამომიყალიბდა ორგანიზმი და ეს ჩემთვის ჩვეულ ნორმად იქცა. ნამდვილად ვერ ვიტყვი, ეს ხელს მიშლის-მეთქი. ზოგჯერ ღამეები ცუდად მძინავს და მაშინ ვხვდები, რომ დილით მაღალი წნევა მექნება. ექიმებმა მითხრეს, ასაკის ბრალიაო. მათი თქმით, ყველაფერმა ერთ წელიწადში უნდა გაიაროს. ვნახოთ, მე არსად მეჩქარება.

**— მავანთა აზრით, მუმუს მხოლოდ შორეული დარტყმები ეხერხება. ნიჭიერი კია, მაგრამ სისწრაფე არ გააჩნია. ასე თანამედროვე ფეხბურთში დამკვიდრება გაუჭირდება.**

— საკუთარი თავის ავ-კარგი ჩემზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს. არც ის მინდა, ვინმეს ვათქმევინო, პერსპექტიულ მოთამაშედ დარჩაო. გულშემატკივრებს იმედს ვერ გავუცრუებ, მაგრამ მსურს, ყველამ ერთი რამ იცოდეს. საერთოდ, ბავშვობიდან ფიზიკურად სუსტი ვიყავი. ვარჯიშებზე თანატოლები მუდამ ორი წრით ჩამომიტოვებდნენ ხოლმე. ერთი ხანობა იმასაც კი ვფიქრობდი, ფეხბურთს ჩამოვშორებოდი, მაგრამ ბურთის სიყვარულმა ყველაფერი გადამატანინა. ამჟამინდელ დონესაც უდიდესი გარჯის ფასად მივაღწიე.

ბევრი ფეხბურთელია, რომელსაც სისწრაფე და ფიზიკური კონდიციები დაბადებიდანვე დაჰყვება. მე ეს ბედნიერება დამაკლდა, მაგრამ „დინამოში“ სხვა დადებითი თვისებების გამო ამიყვანეს. რაც შეეხება სისწრაფეს და მაღალ ფიზიკურ კონდიციას, მჯერა, რომ მუხლჩაუხრელი შრომით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. მუშაობა არასდროს დამზარებია და ამ თვისებებსაც მალე შევიძენ.

**— რაიმე განსხვავებას თუ ხედავ ადრინდელ და ამჟამინდელ მუჯირს შორის?**

— ახლა ოცი წლის ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, როგორც ფეხბურთელი, თავს თვრამეტწლიანად ვთვლი, რადგანაც ორი წელი, ფაქტობრივად, არ მითამაშია. ტრავმებმა გამაწამა. ეს ნამდვილი კოშმარი იყო. შეიძლება, ბევრმა არც იცოდეს, მაგრამ ტრავმებმა დიდი კვალი დამაჩნია. ის წლები რომ არ დამკარგვოდა, „დინამოს“ ძირითადში თამაშზე პრეტენზიას ადრევე განვაცხადებდი.

ყველაფერი გადავლახე, შარშან ზაფხულში გუნდის ძირითადში ჩავეწერე. ოცნება ამიხდა. მერე აღმოჩნდა, რომ „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გავხდი. სწორედ ეს არის განსხვავება, სათადარიგოთა სკამიდან უშუალოდ მინდორზე გადავინაცვლე.

**— „დინამოს“ ახლანდელ თაობას, რა თქმა უნდა, ჩვენს პირობებში ფუფუნება არ აკლია. ბინა, უცხოური მანქანები, მობილური ტელეფონი და მაღალი ხელფასები. საქართველოში მსგავსი რამ თითქმის ყველა გუნდისთვის სანატრელია. მავანთა აზრით, საუკეთესო პირობებმა ახალგაზრდებზე ცუდი ზეგავლენა მოახდინა, ახლა ესენი ფეხბურთზე ნაკლებად ფიქრობენო. შენ რას იტყვი, ყოველივე კარგია თუ ცუდი?**

— მე ასე მგონია — ამქვეყნად არ არსებობს ბედნიერება, რომელიც შეიძლება კაცმა იკმაროს. ადამიანმა უფრო დიდი მიზნის მისაღწევად და უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად უნდა იბრძოლოს. მანქანა, ტელეფონი, ეს ყველაფერი ცივილიზაციამ მოიტანა. არავინ იფიქროს, დინამოელები მართლაც ფუფუნებაში ვცხოვრობდეთ. დამიჯერეთ, მიუხედავად იმისა, რომ კლუბის ხელმძღვანელები მონდომებას არ აკლებენ, რათა ნორმალური პირობები შეგვიქმნან, იმის ნახევარსაც ვერ ვღებულობთ, რაც გვეკუთვნის.

„დინამო“ საქართველოს ჩემპიონია, მაგრამ ნებისმიერი ქვეყნის აუტსაიდერ გუნდს გაცილებით უკეთესი პირობები გააჩნია. ამიტომაც არ წყდება ფეხბურთელთა მიგრაცია. გავა წელბი, ფეხბურთს თავს დავანებებთ და ოჯახის შენახვა გაჭირდება. სწორედ ეს არის ყველაფრის მიზეზი — მოვინდომებ, თავს მოვიკლავ, რათა მერე ღვთის ანაბარა არ დავრჩე. ჯერ რა გამიკეთებია და ამიღია, ფეხუბრთზე გული ავიცრუო. სახელს მოხვეჭა უნდა, ნდობას — გამართლება. ასე ფიქრობენ ბიჭები „დინამოში“.

**— რაც „დინამოს“ ძირითადში მოხვდა, მას შემდეგ მუმუ სხვანაირი გახდა, ცხვირაწეული დაიარებაო...**

— ვინც მაგას ამბობს, ეტყობა, კარგად არ მიცნობს. არასდროს გამივლია გულში, ვინმესთვის ზემოდან მეცქირა. უბრალოდ, ასაკი მომემატა და პროფესიონალი გავხდი. დავსერიოზულდი. ცხოვრებას სხვა თვალით შევხედე. ახლა თავს იმის უფლებას ვერ მივცემ, რასაც ოთხი წლის წინ ვაძლევდი. ბავშვობა უკან მოვიტოვე და ღლაბუცს შევეშვი. რა არის აქ გასაკვირი. ადამიანებთან ურთიერთობაში კი, ვფიქრობ, არ შევმცდარვარ. არც მიწყენინებია არავისთვის.

**— შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი მამაშენია. უფროს და უმცროს მუჯირებს ხშირად გნახულობენ მოკამათეთ.**

— ის ურჩევნია მამულსო, ცნობილი გამონათქვამია. რა თქმა უნდა, როგორც მამაჩემს და მის თაობას უთამაშია, ამ დონეზე ჯერ მარტო ოცნება შემიძლია, მაგრამ მასთან კამათი ძლიერ საინტერესოა. ის მუდამ მიმანიშნებს შეცდომებზე. რაც უნდა კარგად გავისარჯო, ნაკლს გამომიძებნის და მეც უკეთესი დამრიგებელი არ მეგულება. ჩემი სიკეთე მამაჩემზე ძლიერ ვის გაუხარდება. თამაშის გარჩევას და მასთან დავას ჩემთვის სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია.

**— პროფესიონალი ფეხბურთელი გავხდიო, ამბობ. აქედან გამომდინარე, თავისუფალი დრო ნაკლებად გექნება და მაინც, როცა ამის საშუალება გეძლევა, რას აკეთებ?**

— თავისუფალ დროს მშობლებთან, დებთან და მეგობრებთან ყოფნა მირჩევნია ყველაფერს. ამათ გარემოცვაში სრულად განტვირთული და დადებითი ემოციებით აღსავსე ვუბრუნდები ბაზას. მერე გაორკეცებული ენერგიით ვვარჯიშობ. არა, ესენი ძალიან მეხმარებიან. რაც მთავარია, ყოველთვის ერთმანეთის იმედი გვაქვს.

**— დაოჯახებაზე არ გიფიქრია?**

— ჯერ არა, ვფიქრობ, ადრეა.

**— ისე, თაყვანისმცემლები არ გაკლია.**

— კი, მაგრამ, უკვე მყავს გულის რჩეული. აჩქარება რა საჭიროა, არჩევანიც გაკეთებულია.

**— „დინამოდან“, ალბათ, კვლავ წავლენ ფეხბურთელები. შენი მომავალი როგორ წარმოგიდგენია?**

— ეროვნულ გუნდში მოხვედრა მსურს. საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობით კი ეს პერსპექტივა საძნელო საქმედ მიმაჩნია. ფეხბურთელი უნდა იზრდებოდეს, კლასს უნდა იმაღლებდეს და ამიტომ ძლიერი საფეხბურთო ქვეყნის ჩემპიონატში თამაში აუცილებელია. მომავალში მეც წავალ, მაგრამ ახლა „დინამოს“ მიტოვება არ იქნება. გუნდის წინაშე ჩემი ვალი არ მომიხდია. იმედი მაქვს, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაც ერთად ვიბრძოლებთ და ჩემპიონობასაც კიდევ ერთხელ მოვიპოვებთ. მერე კი ვნახოთ.

**— თასის ამასწინანდელი ფინალი გავიხსენოთ. თქვენმა თაობამ „დინამოს“ თასი ვერ მოაგებინა.**

— ძალიან დამწყდა გული. პირველ ფინალს ვთამაშობდი და თასის დაუფლების სურვილი მკლავდა. კაცის გაგდებამ ცუდად იმოქმედა ჩვენზე. კიდევ ერთი წუთი დაგვაკლდა, თორემ ვინ იცის, რა მოხდებოდა.

ერთიც არის, ხუთი წელია, „ბათუმი“ „დინამოს“ ერთი და იგივე შემადგენლობით ეპაექრებოდა. „დინამო“ კი ამ ხუთი წლის განმავლობაში რამდენჯერ გადახალისდა. ბოლოს და ბოლოს, იმ თავგანწირულმა ხალხმა საწადელს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მეტად მოვინდომეთ, ალბათ, თასი კანონიერ მფლობელს ჩაბარდა.

**— შაბათს გორში შენს თაობას მაღალი მიზნისთვის ბრძოლა მოუწევს. რუსებთან თამაში იოლი არ იქნება. შეძლებთ მოგებას?**

— როგორი შეჯიბრიც უნდა იყოს, რუსებთან დაპირისპირებას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ისე ვემზადებით, თითქოს ამხანაგური მატჩი კი არა, უპრინციპულესი თამაში იყოს. მე ვარწმუნებ ყველა იმ გულშემატკივარს, ვინც გორში ჩამოვა და გვიქომაგებს, რომ გამარჯვებისთვის ყველაფერს გავიღებთ, თავს არ დავზოგავთ და უკან არ დავიხევთ.

**მამუკა კვანტალიანი**

# რუსები ფრეზე ფიქრობენ

— არა, პოლონეთიდან არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს — განგვიცხადა აეროპორტის თანამშრომელმა, როცა რუსთა ნაკრების ამბით დავინტერესდით. საათი 20.30-ს უჩვენებდა, მაგრამ იგნატიევისა და მისი ამალის ნიშანწყალიც არ ჩანდა. საინფორმაციო ტაბლო არაფერს გვამცნობდა. კვლავ ლოდინი.

— ვერაფერს გეტყვით. კვლავ იგივე სიტუაციაა — კიდევ ერთი ცდა, შეგვეტყო რაიმე საქართველოს ნაკრების მეტოქის შესახებ, უშედეგოდ დასრულდა. არანაირი ინფორმაცია გუნდზე. ეს უკვე ერთი საათის შემდეგ ხდებოდა. უკვე ბინდდებოდა კიდეც, მაგრამ თბილისურ ხვატს ძალა ჯერ არ დაეკარგა და სტუმართა ლოდინს უფრო აუტანელს ხდიდა.

ყელის გაგრილება გადავწყვიტეთ. ნაყინმა და „ფანტამ" წყურვილი მოგვიკლა. იქვე, ჩვენს გვერდით იერსახით აშკარად არაქართველი კაცი დავლანდეთ, რომელიც აეროპორტში ვაჟთან ერთად მისულიყო. ხოლო როცა ბიჭუნამ ბურთიც აათამაშა, მივხვდით, რომ რუსეთის ნაკრებს ელოდნენ. მოსაუბრეებიც გამოგვიჩნდნენ — მამა რუსეთის საელჩოს წარმომადგენელი აღმოჩნდა. ანგარიშის თქმა გაუჭირდა, თუმცა ის კი თქვა, თამაში ძალიან საინტერესო, ამავდროულად, ქართველი და რუსი ხალხის ძირძველი ურთიერთობის გათვალისწინებით, მეტად დაძაბული იქნებაო. ისიც დასძინა, ზეგინდელი შეხვედრა (რუსები თბილისში ხუთშაბათ საღამოს ჩამოვიდნენ), სავარაუდოდ, ფრედ დამთავრდებაო. ვნახოთ.

...აეროპორტის თანამშრომელთათვის მეტად აღარ მიგვიკითხავს. არც საინფორმაციო ტაბლოზე იყო ცვლილება. კვლავ ლოდინი. ნელ-ნელა ქართული სპორტული მას მედიის წარმომადგენლებიც იკრიბებოდნენ. დროის მოკვლა ფეხბურთზე საუბრით ხერხდებოდა, ათის ნახევარზე კი, როგორც იქნა, რუსეთის ძირითადი და ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები თვითმფრინავმა საქართველოს დედაქალაქში ჩამოიყვანა.

ცოტაც ვიცადეთ და რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებიც დავლანდეთ. კიდევ რამდენიმე წუთი, საბუთების კონტროლი და ალეინიჩევი, ტიხონოვი, ონოპკო და ძმანი მათნი რესპოდენტებად იქცნენ.

გამოჩნდა თუ არა რუსთა ამალა ქართული მას მედია უმალ სტუმართა მთავარ მწვრთნელს ბორის იგნატიევს შემოეხვია:

— სამწუხაროა, რომ დღესდღეობით ჩვენ ერთად არ ვართ და ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოვადგენთ. საქართველოს ნაკრების თამაშები მხოლოდ ტელევიზორში მაქვს ნანახი და ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ლამაზი და საინტერესო მატჩი იქნება.

**— საქართველოს ნაკრების რომელი მატჩები გინახავთ?**

— შარშანდელები. ორი იტალიასთან და ერთიც პოლონელებთან თბილისში.

**— მოგებას გეგმავთ?**

— ვფიქრობ, რომ ეს მატჩი ფრედ დამთავრდება.

**— პოლონეთის მატჩთან შედარებით რა ცვლილებებია მოსალოდნელი?**

— ცვლილებები აუცილებლად იქნება, მაგრამ როგორი, ამას მატჩის წინ გეტყვით.

**— დაშავებული თუ არის ვინმე?**

— არა, საბედნიეროდ, არავინ. მაგრამ ვერ ითამაშებს გერასიმენკო. იგი კიევში გაემგზავრა. დანარჩენები, ვინც პოლონეთთან ითამაშა, აქ არიან.

**— ტაქტიკური ცვლილებები თუ იქნება?**

— აუცილებლად.

**— ხომ არ დააკონკრეტებდით?**

— არა. ამაზე ახლა ლაპარაკი არ მინდა.

**— ალბათ, მთლიან შემადგენლობას არ შეცვლით. იმათგან, ვინც პოლონეთთან ითამაშა, ზეგინდელი მატჩისთვის ვის შეარჩევთ?**

— ბუნებრივია, ვინც კარგად ითამაშა.

**— შეგიძლიათ დააზუსტოთ?**

— ალეინიჩევი, გერასიმენკო ბესჩასტნიხი და ტიხონოვი. გერასიმენკოზე უკვე მოგახსენეთ, რომ კიევში გაემგზავრა. კიდევ იქნებიან ფეხბურთელები იმ შემადგენლობიდან, მაგრამ ვინ, ამას ხვალინდელი ვარჯიშის შემდეგ გადავწყვეტ.

**— ქართველებთან რომ დამარცხდეთ, მძიმე დარტყმა იქნება თქვენთვის? არ იმოქმედებს ეს თქვენი, როგორც რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის კარიერაზე?**

— არა. არც დარტყმა იქნება და არც კარიერაზე იმოქმედებს. წაგება, ვისთანაც არ უნდა იყოს, საერთოდ გულდასაწყვეტია, მაგრამ ეს ამხანაგური შეხვედრებია და ეს მატჩები ძალიან დაგვეხმარება, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში რაც შეიძლება ცოტა შეცდომა დავუშვათ.

**— როგორ მოხდა, რომ უძლიერესი შემადგენლობა არც პოლონეთშიც გყოლიათ და არც საქართველოში ჩამოიყვანეთ?**

— ზოგიერთმა ლეგიონერმა ობიექტური მიზეზების გამო უარი თქვა თამაშზე. ზოგი გადაღლილია და დასვენება სჭირდება, ზოგიც ტრავმების გამო დიდი ხნის უთამაშებელია და არ არის სათანადო ფორმაში.

**— ამხანაგური მატჩების დროს რომელ რგოლს აქცევთ მეტ ყურადღებას, სად უფრო მეტი ხარვეზებია?**

— ხარვეზები ყველგანაა, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება აღმოფხვრა. გუშინდელ მატჩში დაცვამ დაუშვა ბევრი შეცდომა, თავდასხმაც არ გვქონდა სანაქებო.

**— ქართველთაგან თქვენთვის რომელი ფეხბურთელი წარმოადგენს ყველაზე დიდ საშიშროებას?**

— ნებისმიერი, რადგან თითოეული მათგანი ინდივიდუალურად ჩინებულია. ამიტომ შევეცდებით, არ მივცეთ ბურთის თავისუფლად დამუშავების საშუალება. ყველაზე კარგად ზაზა ჯანაშიას ვიცნობ. მოსკოვში თამაშობს და მისი თითქმის ყველა მატჩი მაქვს ნანახი. ჩემი აზრით, იგი საუკეთესო თავდამსხმელია რუსეთის ჩემპიონატში.

შემდეგ ვიქტორ ონოპკო მოვიხელთეთ, რუსეთის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი, მოთამაშე, რომლის ბოლო წუთებზე გატანილი გოლით მოსკოვის „სპარტაკმა" თანამეგობრობის თასის პირველი გათამაშების ნახევარფინალში თბილისის „დინამო" დაამარცხა. მის გარშემო უამრავი ჟურნალისტი კუსკუსებდა, ამიტომ ტრადიციული მისალმების შემდეგ უმალ საქმეზე გადავედით:



ონოპკომ იცის ხვალინდელი მატჩის ფასი

ბადრი კიკილაშვილის ფოტო

**— როგორ ფიქრობთ, რა ანგარიშით დასრულდება შეხვედრა?**

— ვერაფერს გეტყვით. როგორც წესი, პროგნოზებს ვერიდები ხოლმე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დაძაბული მატჩი იქნება.

**— პოლონელებთან უსახური თამაში რამ გამოიწვია? მობილიზებული არ იყავით თუ ყველაფერი მოუმზადებლობის ბრალია?**

— მარცხში დამნაშავენი თავად ვართ, თორემ მეტოქესაც არ უთამაშია გადასარევად. მეკარემ ორი ისეთი ბურთი გაუშვა, უბრალოდ, საოცარი იყო. რაც უნდა იყოს, მაინც ამხანაგური შეხვედრაა, არაფერს წყვეტდა.

**— ბევრი მოითხოვს, რომ საქართველო-რუსეთის მატჩს პოლიტიკური დატვირთვა არ მიეცეს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— მართალი გითხრათ, მეცინება, როცა ამბობენ, არავითარი პოლიტიკაო. კარგად იცით, რომ ჩვენი და თქვენი გულშემატკივრები ამ შეხვედრას მაინც სხვაგვარად უყურებენ. რა თქმა უნდა, ფეხბურთის თამაში და პოლიტიკა სხვაა, იმასაც ამბობენ, ჩვენს პაექრობას პოლიტიკური ელფერი არ უნდა ჰქონდესო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სტადიონზე სხვა სიტუაცია იქნება. როცა საქართველოს ნაკრები რუსეთს ხვდება, ეს მხოლოდ ამხანაგური შეხვედრა არაა. ჩვენი დაპირისპირება გაცილებით მეტია.

ონოპკოსთან სამიოდ კითხვა ვიკმარეთ. ირგვლივ სხვებიც ტრიალებდნენ, მაგრამ, ერთ, კონკრეტულ მოთამაშესთან მუსაიფის დრო, უბრალოდ არ იყო. იქვე განზე მდგომ დმიტრი ალეინიჩევს დავადგით თვალი, რომელმაც „სან სიროზე" „ინტერს" მეტად ლამაზი გოლი გაუტანა. ისევ ტრადიციული მისალმება და უმალ საქმე:

**— ოთხ დღეში ორი ამხანაგური შეხვედრა, ისიც ახალდასრულებული სეზონის შემდეგ, მომაბეზრებელი ხომ არ არის?**

— არა, რას ამბობთ. ნაკრები მაინც ნაკრებია, რაც არ უნდა იყოს, შენი ქვეყნის ღირსებას იცავ. მოსაბეზრებელი არა, მაგრამ დამღლელი კია. მიუხედავად ამისა, ვინც ქვეყნის პირველ გუნდშია, მას მთელი ძალით თამაში მართებს.

**— პოლონელებთან დამარცხდით. გუნდი არცთუ კარგად თამაშობდა, თქვენ კი ძალიან ემოციური იყავით. რამ განაპირობა ყოველივე ეს?**

— მარცხის მიზეზი ჩვენი ცუდი თამაშია, რაც შეეხება ჩემს ნერვიულობას, ამას ერთი ახსნა აქვს. მასპინძლები უხეშად მექცეოდნენ, მე კი სრულიადაც არ მსურდა, ტრავმა მიმეღო. იმედია, თბილისში გაცილებით უკეთესი სიტუაცია იქნება. ჩვენ ჩვენსას რომ ვეცდებით, ცხადია, აი, თქვენები რას იზამენ, ვნახოთ.

**— გულშემატკივრებს ძალიან აინტერესებთ რუს ფეხბურთელთა პროგნოზი. ონოპკომ ამაზე უარი გვითხრა. შენ როგორ ფიქრობ, ვინ გაიმარჯვებს?**

— გაიმარჯვებს მეგობრობა და ძმობა. ისე კი, დარწმუნებული ვარ, შეხვედრა ძალიან დაძაბული იქნება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქართველო რუსეთს ნაკრებთა დონეზე პირველად ხვდება, ეგეც არ იყოს, თქვენს შემადგენლობაში იმდენი კარგი მოთამაშეა, შეუძლებელია, სუსტი გუნდი გყავდეთ. ამას წინათ რამდენიმე ქართველის თამაში ვნახე — ქეცბაიამ, ნემსაძემ და შოთა არველაძემ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. რაც შეეხება ანგარიშს, 1:1 იყოს.

ალეინიჩევს რომ გავესაუბრეთ, ერთი ფეხბურთელიც ვერ მოვიხელთეთ — ყველა ჟურნალისტთა ალყაში მოქცეულიყო, მერე კი იმიჯშეცვლილმა (თმები გაუკრეჭია) ვლადიმირ ბესჩასტნიხმა ჩაგვიარა და ჩვენც ბევრი აღარ გვიფიქრია:

**— ვლადიმირ, გუშინ პოლონელებთან მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყავით. ალბათ, სასიხარულოა, ფეხბურთელს კარგა ხნის შესვენების შემდეგ ნაკრებში რომ აბრუნებენ.**

— მართალი ბრძანდებით. ფეხბურთელის ოცნება ნაკრებში თამაშია და თქვენ წარმოიდგინეთ, რაოდენ უნდა გამხარებოდა, კვლავ რომ მიხმეს. ვეცდები, თქვენებთან ძლიერად ვითამაშოთ, თუმცა იმასაც გეტყვით, ეს არცთუ ადვილი იქნება.

**— ნაკრებთა დონეზე რუსეთი საქართველოს პირველად უპირისპირდება. მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ამხანაგურია, ბევრი მას სხვანაირად აღიქვამს – თქვენ რას ფიქრობთ?**

— ვხვდები, რისი თქმაც გინდათ. ვიცი, ამბობენ, ჩვენს თამაშს პოლიტიკური დატვირთვა არ უნდა მივცეთო, მაგრამ მეეჭვება, ასე იყოს. მაგალითად, ჩვენი გულშემატკივრები ქართველებთან მატჩს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე პოლონეთთან. მჯერა, ასევე არიან თქვენი ქომაგებიც. ისე კი, ცხადია, რომ პოლიტიკა სპორტთან არ უნდა გავაიგივოთ.

მერე აქეთ მოგვიბრუნდა კითხვით:

— თქვენები მთელი შემადგენლობით არიან? — დასტური რომ მივეცით, ძალიან გაუხარდა:

— ჯერ კიდევ სსრკ-ს პირველობის დროს მახსოვს ქეცბაიას თამაში. ამ ბოლო ხანებში სხვა ქართველი ფეხბურთელებიც ვნახე და მივხვდი, რომ თქვენი სახით ევროპაში კიდევ ერთი ძლიერი ნაკრები ჩამოყალიბდა. ქეცბაია, შელია, არველაძეები, იგივე ქინქლაძე ანაც ნემსაძე, ესენი იმ დონის მოთამაშეები არიან, ყველა გუნდს რომ მოერგებოდნენ. მიხარია, ზეგ მათ წინააღმდეგ რომ ვითამაშებ.

**— ალეინიჩევმა გვითხრა, მატჩი 1:1 დამთავრდებაო. თქვენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს?**

— თქვენ რომ მეტი შანსი გაქვთ, ამას თქმა არ უნდა. ძლიერი გუნდი, გადაჭედილი სტადიონი, მხურვალე მხარდაჭერა, ეს ყველაფერი გარანტიაა იმისა, რომ ქართველებმა იმარჯვონ. თუმცა დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ მთელი ძალით ვითამაშებთ. რაც უნდა იყოს, ზედიზედ ორი მარცხი არავისთვისაა საამო. ანგარიშს რაც შეეხება, დიმას ვეთანხმები — ალბათ, 1:1 იქნება.

მალე რუსთა პირველი გუნდის, მოსკოვის „სპარტაკის" კიდევ ერთი ლიდერი ანდრეი ტიხონოვი გამოჩნდა. თუმცა, ვინაიდან ნაკრების ფეხბურთელები უკვე ავტობუსში ჩასასხდომად ემზადებოდნენ, რუსეთის 1996-97 წლების საუკეთესო მოთამაშე დიდხანს არ შეგვიყოვნებია:

**— ანდრეი, იმედია, ზეგ რუსეთის ნაკრები გაცილებით ძლიერად ითამაშებს, ვიდრე ეს პოლონეთში იყო.**

— რა თქმა უნდა. ქართველებთან პაექრობა მუდამ განსაკუთრებულია. არც შაბათი უნდა იყოს გამონაკლისი. პოლონეთში კი წავაგეთ, მაგრამ იქ გუნდი არ იყო. სულისკვეთება არ ჩანდა, თბილისში კი ეს თავისთავად იქნება. მოსაგებად ვიბრძოლებთ.

იქვე ტელევიზორის შემყურე განცალკევებით მდგარი ვლადისლავ რადიმოვი შევნიშნეთ:

**— რა განწყობით ჩამოხვედით თბილისში?**

— განწყობა მშვენიერი მაქვს. მოსაგებად ჩამოვედი. ჩვენი ფეხბურთელთა უმეტესობა ნამყოფია თბილისში, მე პირველად ვარ. შევეცდები, ხვალ დავათვალიერო ქალაქი. ამბობენ, ძალიან ლამაზიაო.

**— გუშინდელ მატჩზე რას იტყვით?**

— ზოგმა ითამაშა კარგად, მაგრამ საერთო ჯამში გუნდი სუსტად გამოიყურებოდა. ყველამ სუსტად ითამაშა და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ეს იმის ბრალი იყო, რომ ლეგიონერები გადაღლილები არიან, ევროპაში სეზონი ხომ ახლახანს დასრულდა.

**— რა აზრის ხართ საქართველოს ნაკრებზე?**

— არ მაქვს ნანახი თქვენი გუნდის თამაში, ამიტომ ვერ შევაფასებ. ისე, მათი კლუბების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არ უნდა იყოს ცუდი ნაკრები.

**— პროგნოზი?**

— ალბათ ფრე იქნება — 1:1.

მოსკოვის „სპარტაკის" მეკარე ალექსანდრ ფილიმონოვი გაზაფხულზე ორმა ქართველმა დაამწუხრა — რუსთა პირველობაზე ალანიელმა დათო ჩალაძემ, უეფას თასზე კი აიაქსელმა შოთა არველაძემ. ახლა როგორ იქნება ამას დღეს ვნახავთ, მანამდე კი:

**— პოლონელებმა სამი გოლი გაგიტანეს, თქვენ კი ვითომც არაფერიაო.**

— მშვენიერ ხასიათზე ვარ.

**— მიუხედავად გუშინდელი წაგებისა?**

— ყველაფერი ხდება. არ გამოგვივიდა თამაში. დაცვა იყო ძალიან სუსტი. თავდასხმასაც თითქმის არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ეს არაფერი. შაბათს ყველაფერი სხვანაირად იქნება.

**— მგონი, თქვენ კარგად არ გითამაშიათ, ორი ბურთი ახლო კუთხეში გაუშვით...**

— რა თქმა უნდა, ის ბურთები არ უნდა გამეშვა, მაგრამ ახლო მანძილიდან დამირტყეს და ძალიან ძლიერად. ფაქტობრივად, ვერც მოვასწარი რეაგირება.

**— შაბათის მატჩზე რას ფიქრობთ?**

— საინტერესო და დაძაბული მატჩი იქნება. ზედიზედ ორ წაგებას ნამდვილად არ ვაპირებთ. ალბათ, ქართველებიც არ გეგმავენ დამარცხებას. ასე რომ, მატჩი კარგი სანახავი უნდა იყოს.

**— პროგნოზი?**

— მგონი, ფრედ დამთავრდება.

ამბობენ ილია ციმბალარს ფეხი აწუხებს და შესაძლოა ვერ ითამაშოსო. მიუხედავად ამისა მასთან გასაუბრება საჭიროდ ჩავთვალეთ:

**— რა განწყობა გაქვთ გუშინდელი მატჩის შემდეგ?**

— საწყენია, რომ წავაგეთ, მაგრამ რა ვქნათ, ფეხბურთია, ხან მოიგებ, ხან წააგებ. თქვენ თვითონ რას ფიქრობთ ამ მატჩზე?

**— მგონი, ძალიან ცუდად ითამაშეთ.**

— მეც ასე ვფიქრობ.

**— რით იყო ეს გამოწვეული?**

— რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა. ვინც უცხოეთიდან ჩამოვიდა, დაღლილები იყვნენ. ამან ყველაფერმა იმოქმედა.

**— საქართველოს ნაკრების მატჩები თუ გაქვთ ნანახი?**

— მხოლოდ ვიდეოზე, ისიც ინგლისელებთან და იტალიელებთან მატჩები.

**— როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— ნორმალური ნაკრებია, მაგრამ მგონი, ჩვენ უფრო ძლიერები ვართ.

**— შაბათის მატჩის პროგნოზი?**

— ალბათ, ფრედ ვითამაშებთ.

**— თუ უფრო ძლიერები ხართ, რატომ მოგებაზე არ ფიქრობთ?**

— მატჩი თბილისშია, ეს კი ცოტას არ ნიშნავს. აი, მოსკოვში რომ იყოს თამაში, სხვა საქმეა.

მალე რუსეთის რჩეული ფეხბურთელები ავტობუსში გაუჩინარდნენ, თუმცა სტუმრები მაინც ირეოდნენ ახლომახლო. მათ შორის რუსეთი ნაკრების ქართველ ექიმს, ზურაბ ორჯონიკიძესაც მოვკარით თვალი, რომელმაც გვამცნო, რომ ფეხბურთელები ჯანმრთელად არიან, მხოლოდ ილია ციმბალარს სტკივა ფეხის კუნთი, თუმცა იგი ნაკრებში თამაშს შეძლებს. რაც შეეხება ომარ თეთრაძეს, მისი საქმე გაცილებით რთულად ყოფილა — ომარს გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება, საქმისადმი არასერიოზული მიდგომით კი, არაა გამორიცხული, ამ უდავოდ ძლიერი მოთამაშის კარიერა დასრულდეს.

...რუსეთის ნაკრები აეროპორტში ორი საათით გაჩერდა. ბლიც ინტერვიუებისა და საბუთების გაფორმების შემდეგ გუნდმა გეზი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციისაკენ აიღო. ჩვენი პირველი შეხვედრაც რუსებთან აქ დამთავრდა, გუშინ კი რუსეთის ნაკრებმა ეროვნულ სტადიონზე ორი საათით ივარჯიშა.

ლაშა გოდუაძე
ბაატა თოთაძე

## აჰა, დიდგორი!..

### დღევანდელი მატჩისწინა სიტყვა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს

არ მინდა დავემსგავსო ლევან სანიკიძეს, თორემ მეც შევძლებდი ქრონოლოგიურად, თანმიმდევრულად ყველა იმ ტკივილის, სისხლისა და შეურაცხყოფის ჩამოთვლას, რაც საქართველომ უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე რუსეთისგან დაპყრობის გამო იწვნია.

ამიტომ ვიტყვი მოკლედ: დღეს თქვენ წინააღმდეგ ითამაშებს თქვენი სამშობლოს დაუძინებელი, უბოროტესი, უსასტიკესი მტერი — ყველაზე დაუნდობელი და სისხლიანი მტერი, რაც კი საქართველოს ჰყოლია. საქართველოს ისტორია ათასწლეულებს ითვლის და თქვენ სწორედ იმ ჯიშისა ხართ, იმ ათასწლეულებს რომ გაუძლო ყველაფრის მიუხედავად და თქვენ, ძველი იბერიელებისა და კოლხების ჩამომავალთ, უბრალოდ არა გაქვთ დამარცხების უფლება. დღეს თქვენ ისევე უნდა დადგეთ, როგორც ქართველი მორაგბეები ათი დღის წინ და არ დაიჯეროთ, რომ ეს ამხანაგური შეხვედრაა. ტოტლებენიც ამხანაგი ეგონა ერეკლე მეფეს და ჩვენს ხელისუფლებასაც მეგობრები ჰგონია რუსები. რუსებმა კი მეგობრობა არ იციან, იციან როგორ წაგვართვან და გვართმევენ კიდეც...

გვართმევენ ყველაფერს, რისი დაპატრონებაც შეუძლიათ და არავინ იცის, როდის მოგიწევთ ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩში გამოსვლა, რადგან ეგ მოედანიც, სადაც უნდა იბრძოლოთ, როგორც არასდროს, სინამდვილეში თქვენი სამშობლოს მიწაა და არა საფეხბურთო მოედანი. თუ რომელიმე თქვენგანი სხვაგვარად ფიქრობს, მოედანზე არგასვლა ჯობს რუსეთთან მარცხს. რადგან უნდა იცოდეთ, რომ თქვენ ათასობით ქართველის იმედი ხართ, იმ ქართველებისა, ვისაც უჭირს, შია, წყურია და აყრილი პატივისა და დაკარგული სამშობლოს დაბრუნებაზე ოცნებობს. მაინც ოცნებობს და მაინც იმედი აქვს, მაინც სჯერა, რომ ჩვენ მოვიგებთ. საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს. გაიმარჯვებს, რადგან თქვენ ქართველები ხართ!...

გთხოვთ...

დათო ტურაშვილი

# ჩვენები პოლიტიკას გაურბიან

გულშემატკივართა გულისყური ეროვნული სტადიონისკენაა მიპყრობილი. ნეტა, რა იქნება დღეს? ღმერთმა უწყის. ერთი ნაღდია, ცეცხლოვანი და თავგანწირული თამაში გველის. რუსები პოლონელებთან მარცხს არად დაგიდევენ. ხმამაღლა არ ამბობენ, თორემ ქართველებთან წაგებას ძნელად გადაიტანენ...

ვლადიმერ გუცაევი სიტყვის კაცია. საპრესკონფერენციოდ კრწანისს გიწვევთ, სადაც ჩემთან ერთად ფეხბურთელებიც თქვენს განკარგულებაში იქნებიანო, თქვა და დანაპირები შეასრულა.

დანიშნულ დროზე სამთავრობო რეზიდენციას მივუახლოვდით. რკინის ჭიშკარი, საბუთების შემოწმება. წესი და რიგი ერთია ყველასთვის. ჭიშკარს მიღმა სხვა სამყაროა — სიჩუმე, მშვენიერი ბუნება, კომფორტი და სისუფთავე. ჩვენი ფეხბურთელები მყუდროდ მოწყობილან. დასვენების ყველა პირობაა შექმნილი. აქ მათ ვერავინ შეაწუხებს. არავითარი მისვლა-მოსვლა. ბიჭები მხოლოდ დღევანდელ მატჩზე ფიქრობენ.

გუცაევი ფეხბურთელებს თეორიაში წვრთნიდა. ოციოდ წუთში ყველაფერი მორჩა და ეროვნული გუნდის წევრები გარეთ გამოვიდნენ. მისალმება, მოკითხვები, ძველი ამბების გახსენება, ხუმრობა... არა, დიდებული ატმოსფერო სუფევდა. მხოლოდ ის არის ცუდი, ასეთი შეხვედრები იშვიათად რომ იმართება. გუშინ ბევრი რამ გავიგეთ ისეთი, რაც ჩვეულებრივ ინტერვიუებში ვერ ხვდება. ფეხბურთელებმა შინაურ საუბარში თავიანთი განცდა და ფიქრი გაგვიზიარეს.

პრესკონფერენციის დროც დადგა. ვლადიმერ გუცაევის გვერდით ფეხბურთელები დასხდნენ. შოთა არველაძეს, ქინქლაძეს, ჯამარაულს, ცხადაძეს და ნემსაძეს ცოტა მოგვიანებით თემურ ქეცბაიაც შეუერთდა. თემურს დაგვიანების საპატიო მიზეზიც ჰქონდა, კრწანისში მეუღლე და პატარა ქალიშვილი ესტუმრა.

ნაკრების დანარჩენი წევრები იქვე კიბის საფეხურებზე მოკალათებულიყვნენ. მწვრთნელმა თავიდანვე გვითხრა, ერთ საათზე მეტს ვერაფრით დაგითმობთ, თორემ გუნდის რეჟიმი დაგვერღვევაო. მეტიც არ გვჭირდებოდა. დეტალებში გასარკვევად ეს დროც საკმარისი იყო.

თავიდან გუცაევმა საერთო სურათი დაგვიხატა: — თითქმის ყველა ჩამოვიდა, კალაძის გარდა, რომელსაც 31 მაისს თასის ფინალი ელის. ლაბანოვსკიმ კატეგორიული უარი გამოგვიცხადა. ვერც ვერაფერი ვილონეთ, რადგან თასის ფინალი ოფიციალური თამაშია, ჩვენ კი რუსებს უეფას განრიგის გარეშე ვეჯიბრებით. ამიტომ კალაძე გამოგვაკლდა. არ ჩამოვიდა ჯანაშია. ამსტერდამში „ლოკომოტივის" წარმომადგენელსაც შევხვდი. მითხრეს, 24-ში ვერ გამოვუშვებთ, მაგრამ 27-ში თქვენთან იქნებაო. გუშინ ორჯერ მივავლინეთ წარმომადგენელი აეროპორტში. ჯანაშია არ გამოჩენილა. მისი ჩამოუსვლელობის მიზეზს აუცილებლად დავადგენთ (ზაზა ჯანაშია კრწანისის სამთავრობო რეზიდენციას 28 მაისს, პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ ეწვია და საღამოს მცხეთაშიც ივარჯიშა). დანარჩენები აქ არიან, თავს ჯანს არ უჩივიან.

...ჩვენ ყველამ ერთად ვუყურეთ პოლონელების და რუსების პაექრობას. შეიძლება, რუსებმა სათანადოდ ვერ ითამაშეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ 30-ში ისეთივე უსუსურები იქნებიან. ამაოდ ველით, რომ რუსები ხელჩაქნეულები შეგვეგებებიან. მათ გააჩნიათ სათანადო რეზერვი — ონოპკო, ციმბალარი, კოვტუნი, ოვჩინიკოვი. ვფიქრობ, ცვლილებები იქნება. ჩვენ ყოველმხრივ მობილიზებულნი უნდა შევხვდეთ. მოდუნების უფლება არ გვაქვს.

...ნაკრები ახლა ჩამოყალიბების პროცესშია. ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალურად აღმოვფხვრათ პრობლემები. ყოველმხრივ დაბალანსებული გუნდი უნდა შევქმნათ. ეს ნებისმიერს ეხება — მეკარიდან დაწყებული თავდამსხმელით დამთავრებული. ყველანი ვალდებულნი ვართ, საქართველოს ღირსება დავიცვათ. 5 სექტემბერს ყოველმხრივ მომზადებულები უნდა შევხვდეთ.

გვინდოდა, თუ არა, ის კითხვა მაინც დაიბადა, რომელზეც ძალაუნებურად ყველა ფიქრობს. რუსებთან მატჩს ხომ არ ეძლევა პოლიტიკური ელფერი. ამ კითხვას ფაქტობრივად ყველამ უპასუხა.

*ვლადიმერ გუცაევი:* საერთოდ, ახალნდელი სიტუაციაც რომ არ ყოფილიყო, რუსებთან ყოველთვის განსაკუთრებული თამაშები გვქონდა. ცოტა ისტორიაც გავიხსენოთ. მოსკოვური გუნდების ჩამოსვლას სიმძაფრე აკლდა? ამიტომ აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია. უბრალოდ, უნდა დავუმტკიცოთ, რომ მათზე ძლიერები ვართ. ვაჩვენოთ, რომ ჩვენც გვყავს მაღალი კლასის ფეხბურთელები და ჩვენი ლეგიონერები წამყვან ევროპულ კლუბებში შემთხვევით არ გამოდიან.

*შოთა არველაძე:* ამ თამაშში არავითარი პოლიტიკა არ დევს. მე ექვსი წელი არ ჩავსულვარ მოსკოვში, მაგრამ „აიაქსთან" ერთად რუსეთის დედაქალაქში ჩაფრენილს, ქართველს, დიდებული შეხვედრა მომიწყვეს. მეფერნენ და სითბო და ყურადღება არ მომაკლეს. ჩვენ პრეტენზია გვაქვს, რომ მათზე კარგ ფეხბურთს ვთამაშობთ. ეს დავამტკიცოთ და მორჩა.

*კახა ცხადაძე:* არ უნდა შევრცხვეთ. მივილოთ რუსები საკადრისად და ასევე გავისტუმროთ. საქართველოს ჰიმნზე ტუნისში ხალხი ახმაურდა. ჩვენ ეს არ უნდა დაგვემართოს. კარგად მივილოთ და მოვიგოთ.

*თემურ ქეცბაია:* ჩვენ პოლიტიკოსები არ ვართ. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეები არ აკლია. ამ საქმეს ისინი მიხედავენ. ან უბრალო რუსმა რა დააშავა. ეს ფეხბურთია. თუ რამის თავი გვაქვს, უნდა გამოვიდეთ და ბრძოლაში მოვუგოთ. აი, რა გვევალება. თუ ისე განვეწყობით, რომ ვეთამაშებით რუსებს, ჩვენს მტრებს და ამის ფიქრში ღამეებს გავათევთ, მაშინ არაფერი გამოგვივა. განა მარტო რუსებთან, სხვებთანაც მუდამ მოსაგებად უნდა გავიდეთ.

ამით პოლიტიკაზე მოვრჩეთო, თქვა გუცაევმა, შოთამ შემოგვთავაზა, ახლა ეკონომიკაზე ვისაუბროთო. დარბაზს სიცილის ტალღამ გადაურბინა.

მერე აზრი წარმოიშვა, რუსები შეიძლება უხეშად გვეთამაშნონ, ამიტომ არის საშიშროება, ჩვენმა ფეხბურთელებმა ტრავმები მიიღონო.

— არ უნდა შეგვეშინდეს — განმარტა გუცაევმა — ერთხელ შეკრებაზე შოთა ხინჩაგაშვილი საწოლიდან წამოდგა და კუნთი დაეჭიმა. ტრავმისგან ვინ არის დაზღვეული. ახლა თქვენს წინაშე ვეუბნები ფეხბურთელებს, თუ ტრავმის შეეშინდებათ, მინდორზე ნუ გავლენ. მოგარტყამს, შენც ხისტად ეთამაშე. მატჩი ისე ჩავატაროთ, რომ მეტოქე მიხვდეს, მინდორზე კაცი დაუხვდა და არა მშიშარა. მე ამათ კლუბებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ რაკი საქართველოს ნაკრების მოთამაშე გქვია, ფეხიც ნაკრების გულისთვის უნდა მოიტეხო, სისხლიც მისი გულისთვის უნდა დაღვარო. აქ უნდა მოიგო, რომ კლუბში ჩასულს უფრო მოწიწებით შემოგხედონ. უფრო დაგაფასონ.

ეს დროც მალე გაივლის, 5 სექტემბერიც მოვა, ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი ლეგიონერების ნორმალურ ვითარებაში ყოფნა ეროვნულ გუნდს კარგ სამსახურს გაუწევს. ამ მხრივ ქეცბაიას, ცხადაძეს და ჯამარაულს გარკვეული პრობლემები ქონდათ. ქეცბას ღალგლიში არ სწყალობდა, თუმც ჩვენებურმა მწვრთნელს არაერთხელ დაუმტკიცა თავისი სიძლიერე. კახას „მანჩესტერ სიტი" მესამე დივიზიონში გავარდა და იქ თამაში ცხადაძეს არ აწყობს. გოჩას „ტრაბზონსპორთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და ისიც ახალ კლუბს ეძებს. თქვეს კიდეც, ცოტაც გვადროვეთო.

ბოლოს ეროვნული გუნდის კაპიტანს ერთი მოთხოვნა წავუყენეთ — ჯერ ნაკრებში გოლი არ გაგიტანია და იქნებ რუსებთან სანაკრებო გოლებს სათავე დაუდოო. ნემსოს გაეღიმა, ვეცდებიო, გვითხრა.

ამის შემდეგ ნაკრებს წარმატება ვუსურვეთ და წავიდ-წამოვედით. იმედია, მოგუგუნე ტრიბუნების დახმარებით დღეს რუსებს კუდით ქვას ვასროლინებთ.

**მამუკა კვანტალიანი**

| | |
|---|---|
| თბილისი „ისანი" 28 მაისი | |
| **ივერია 3:0 კოლხეთი ხობი** | |
| **გადათამაშება** | |
| **ივერია:** | ხვედელიძე, ნეკერაშვილი, გ. ლურსმანაშვილი, გურამ ლომიძე, ჯიკაევი, მინაძე, უკლება (ხმალაძე 79), მოსიაშვილი (გ. ნოზაძე 70), ტილკავაშვილი (ვარდიაშვილი 79), ქობელაშვილი, ბაბულაიძე |
| **კოლხეთი:** | მიქაია, ონიანი, კაციტაძე, ჯამბურია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, გოჩა კვარაცხელია, ლ. გვაზავა (ქარდავა 60), კუტალია (იზორია 46), ქაშიბაძე, ზაზა აიანადი (დ. დანელია 60) |
| 1:0 | ქობელაშვილი (47), 2:0, 3:0 ტილკავაშვილი (54, 57) |
| **გაფრთხილება:** | ონიანი, ქობელაშვილი |
| **გაძევება:** | ონიანი (83) |
| **მსაჯი:** | ო. გუნთაძე (ლანჩხუთი) |

**გიორგი ვაშაკიძე**

# გამოცდილებამ თავისი გაიტანა

იყო დრო, ხაშურის „ივერია" და ხობის „კოლხეთი" რამდენიმე სეზონის მანძილზე ქართულ საფეხბურთო ელიტაში უმტკიცებდნენ ერთმანეთს თავიანთ სიძლიერეს. ახლა კი...

გუშინწინ ასკ-ს სტადიონზე ის გუნდები შეხვდნენ, რომელთაც დებულების მიხედვით პლეი-ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს. მათ შორის გამარჯვებული კი 2 ივნისს ეროვნულზე, წინა დღით „გურიასთან" დამარცხებულ „სიონს" შეეცილებოდა უმაღლესი ჯგუფის საგზურს. თავიდანვე გეტყვით, რომ ხაშურელებმა დამსახურებულად მოიგეს და მეტად მიუახლოვდნენ სანუკვარ მიზანს, ხოლო რაც შეეხებათ ხობელებს, გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის ყოფნის მიუხედავად, მათ აშკარად აკლდათ შემართება. ხაშურელებმა ყველაფერი გაიღეს და ერთი თავითაც სჯობნენ კოლხებს, მაგრამ ყველაზე გამორჩეული მაინც დაუღალავი გივი ქობელაშვილი იყო. სწორედ ის გახლდათ შეტევების სულისჩამდგმელი და ულამაზესი გოლის ავტორი.

შეხვედრის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. დასაწყისში ახალგაზრდა ხობელები არ შეუშინდნენ გამოცდილ ხაშურელებს და რამდენჯერმე მწვავედაც დაემუქრნენ ხვედელიძეს, მაგრამ ყველაზე რეალური საგოლე მომენტი 37-ე წუთზე შექმნათ — ზაზა აიანადის ფლანგურ ჩაწოდებას კუტალია გამოეხმაურა, მძლავრი თავურით ხვედელიძის კარისკენ გაგზავნა ბურთი და რომ არა მშველელად მოვლენილი ძელი, ანგარიშიც გაიხსნებოდა. ამან ხაშურლები გონს მოიყვანა და ტაიმის ბოლოს მათ ნამდვილი შტურმი მოუწყვეს ხობელებს. ჯერ იყო და ტილკავაშვილი მარტო დარჩა მეკარესთან, კარიდან გამოვარდნილ მიქაიას თავზე კი გადაუგდო, მაგრამ თავდამსხმელს მიზანმა უმტყუნა. შემდეგ მინაძის თავურის ჯერი დადგა, რომელიც ხარიხამ მოიგერია. ამ მომენტიდან წუთიც არ იყო გასული, რომ უკლებამ გაისროლა, მაგრამ მეკარემ აკრობატული ნახტომით კუთხურზე გადააგდო ბურთი. ტაიმის ბოლო წუთზე კი ხობელ კაციტაძეს შეეძლო ეხეირა, რომელმაც ჩინებულად შეასრულა საჯარიმო, მაგრამ არანაკლებ უკეთ გაისარჯა ხაშურელთა მეკარე.

მეორე ნახევარი კი ქობელაშვილისა იყო. შეხვედრის განახლებიდან ორ წუთში მან 35 მეტრიდან ულამაზესი აბრაგანით აღაფრთოვანა სტადიონზე მისული მაყურებელი. ხაშურელებმა ათი წუთის მონაკვეთში სამჯერ გამოატანინეს მიქაიას კარიდან ბურთი და ამან ფსიქოლოგიურად გატეხა „კოლხეთი". 54-ე წუთზე მეორე გოლი ახლო მანძილიდან ტილკავაშვილმა თავურით შეაგდო, მანვე 57-ეზე საჯარიმო დარტყმით მეკარის შეცდომით საკმაოდ კურიოზული გოლიც გაიტანა და საბოლოოდ დაასამარა ხობელთა იმედები.

ამის შემდეგ „ივერია" ზედიზედ ახორციელებდა შეტევებს და ქმნიდა ხიფათს „კოლხეთის" კართან. მაგრამ ამათგან გამოსაყოფი მაინც ხაშურელი გიორგი ჯიკაევის ყუმბარისებური დარტყმულია, როდესაც ბურთი ხარიხამ აისხლიტა. შეხვედრის ბოლოს მარცხსშეგუებული ხობელები უკვე ინერციით უტევდნენ ხაშურელთა კარს, რომელთა შორის აშკარად გამოირჩეოდა მეორე ნახევრის დასაწყისში შეცვლაზე შესული იზორია. ბოლოსკენ თავი როინ ონიანმაც გამოიჩინა, რომელიც გუნთაძემ სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მეორედ გააფრთხილა და გააძევა.

ხაშურელთა დამრიგებელი *თენგიზ ოსაძე* ერთობ გახარებული იყო:

— შესვენების შემდეგ გარდატეხა შევიტანეთ თამაშში. ქობელაშვილის ადრეულმა გოლმა ფსიქოლოგიურად იმოქმედა გუნდზე და ნელ-ნელა ვირწმუნეთ ჩვენი გამარჯვება.

— როგორ აფასებთ „სიონთან" თქვენი გუნდის შანსებს?

— მათ დიდი ხანია ვიცნობ, ბრძოლისუნარიანი გუნდია. ცხადია, ჩვენზე გამოცდილებიც არიან — პირველსა და მეორე ჯგუფს შორის ხომ აშკარა სხვაობაა. თუმც ჩემი ბიჭების იმედი მაქვს. შანსებს ორმოცდაათი ორმოცდაათზეა.



ივერიელი მამუკა უკლებას შეჩერებას როინ ონიანი (მარცხნივ) ცდილობს

# პატარები პატარა გორში

ხუთშაბათს რუსეთის ეროვნულ ნაკრებთან ერთად ამ ქვეყნის ახალგაზრდებიც ეწვივნენ საქართველოს. მათი შეხვედრა ქართველ თანატოლებთან გორში 14 საათზე დაიწყება. გუნდს ვერ ჩამოჰყვა მთავარი მწვრთნელი მიხაილ გერშკოვიჩი, რომელიც ამჟამად რუმინეთშია. დღევანდელ მატჩში რუსებს ლეონიდ პახომოვი უხელმძღვანელებს, რომელიც ჩვენს სტუმრებს პოლონელებთანაც თავკაცობდა. პახომოვის თქმით, პოლონეთში რუსებმა საშუალო დონის ფეხბურთი აჩვენეს, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ისინი იქ თამაშის დღეს ჩაფრინდნენ. „ვფიქრობ, თქვენთან პაექრობაში უპირატესობა გვექნება — გამოგვიცხადა პახომოვმა — გუნდი ხომ რამდენიმე წელია, ყალიბდება და ფეხბურთელებიც ერთმანეთთან შეთამაშებულნი არიან." რუსები პოლონელებს ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდნენ: ვლადიმიროვი, მიშჩუკი, პოვოროვი, დუროვი, ბურჩენკოვი, სედუნოვი, პერვუშინი, მატოლა, კოლოტილკო, სმირნოვი, კირიჩენკო, კულიჩენკო, სემცოვი, ფიშმანი, საველიევი.

რაც შეეხებათ ქართველ ახალგაზრდებს, ისინი დილმის ბაზაზე ვარჯიშობენ. ნაკრების თავკაცის, გიგლა იმნაძის განკარგულებაში 25 ფეხბურთელია: სოლოლაშვილი, ხმელიძე, რევაზიშვილი, ჭანკოტაძე, ლომიძე, კვარაცხელია, გემეზაშვილი, მენთეშაშვილი, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი, იაშვილი, გაბელია, დავითნიძე, მონასელიძე, მეგრელაძე, შენგელია, გიორგაძე, კაიდარაშვილი, ჯოკობია, ჩხეტიანი, ჩიტაია, დარასელია, ზირაქაძე, ნიკურაძე. მათგან თვრამეტს ნაკრების მწვრთნელი დღეს დაასახელებს. ერთი კი შეგვიძლია ახლავე ვთქვათ — ჩიტაია და კაიდარაშვილი ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო გამოტოვებენ დღევანდელ მატჩს.

**პაატა თოთაძე**

გიო ახვლედიანის

## სვეტი

# გაცდენილი ფინალი

საქართველოს თასის ფინალი არასოდეს გამიცდენია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფინალი წმინდა საქმეა. რაც არ უნდა უვარგისი იყოს, ფინალია და მორჩა. დღეც საუცხოო აქვს შერჩეული და ყველაფერი. მერე რა, რომ თამაში მაინცდამაინც არ გამოდის ხოლმე. ფინალი ფინალია და საყურებელი რამეა.

საქართველოს თასის ფინალი არ გამიცდენია-მეთქი. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ წლევანდლამდე არ გამიცდენია. წელს კი იმთავითვე გადავწყვიტე არ წავალ, წყვილი კარგახნის ნაცნობია და შედეგიც, ასე თუ ისე, გამოსაცნობი-მეთქი. კაი დაგემართოთ, საფეხბურთო ფორტუნისა ან კიდევ მოულოდნელობისა რომ არ უნდა დაივიწყო, ხომ დამტკიცდა?

თანაც, 26 მაისს ძმაბიჭის დაბადების დღეა და ყოველთვის ვეუბნები: „შენთან არ მოვდივარ, მივდივარ ფინალზე". ეგებ ეს სიგიჟეც იყოს, მაგრამ ჩვენ კარგი ძმაბიჭობა გვაქვს და ურთიერთწყენას სიცილ-ხარხარით გამოვხატავთ. ახლა კი დავადე თავი და ავედი პურიჭამაში. შუა ამბავში გულმა არ მომცა და ტელევიზორთან გადავჯექი. პირველი ტაიმი ვნახე. ვახ! აქეთ ბათუმელების გოლი, იქეთ რატი ალექსიძის ინგლისურად ნათხლეში. სუფრა-ტელევიზორი, სუფრა-ტელევიზორი და მეხმატკბილეებით მივდივართ დამატებითი დროისკენ. გადავედი „კოკა-კოლას" სმაზე, უერთმნიშვნელოვნად და საბოლოოდ. იქეთ ხალხი ქეიფობს, აქეთ მე და ჩემი ძმაბიჭის პატარა ბიჭი ფეხბურთს ვუყურებთ. შემოვიდა ჩემი ძმაბიჭი და წამოწეულიყავი, რას იწვალებ თავსო. რაღა დროსია? მალე დამატებითი დაიწყება.

მაგრამ ჰოი, უიღბლობავ. საერთოდ ისიც საკვირველია, რომ ფეხბურთი ჩატარდა. მოგეხსენებათ, რაც ხდება. ქვეყნის ერთ კიდეზე სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობს და ამ კონფლიქტში ფეხბურთზე ლაპარაკიც კი უადგილოა. მაგრამ რას იზამ? გაგიწია გულმა ფეხბურთისკენ და მორჩა. ტელევიზია კი სწორედ საგანგებო ტალღაზე მუშაობს. გავიდა ათითხუთმეტი წუთი, ფეხბურთი არ არის, გავიდა კიდევ ხუთი, არ არის. თურმე მეორე დამატებითი ტაიმის ჩვენება განუზრახავთ და მე რა ვიცი?

ავდექი და წამოვედი. წამოვედი რა, ვფიქრობ, ტაქსს დავიჭერ და სტადიონზე წავალ. პენალტებზე ვარ ორიენტირებული. ეს ტაქსი კი უქმე დღის ბრალი იყო თუ სხვა რამ, არ ჩანს. ყოველთვის ბევრია, ახლა კი არ ჩანს, ეტყობა ტაქსისტებიც სტადიონზე წავიდნენ. მოკლედ, ათ წუთს ვიდექი და მივხვდი, რომ საერთოდ ვეღარ ვნახავდი ფეხბურთს. ამიტომ ერთადერთი სწორი ნაბიჯი გადავდგი და შინ წავედი (ჩვენი სახლები არც ისე შორსაა). გზად გიგუშა შემხვდა. გიგუშა არ ცნობს ქართულ ფინალებს, უყვარს „იუვენტუსი", ბევრი ლაპარაკი და არის გულგატეხილი. ასე რომ, შინ რომ მივედი, აღარც ფეხბურთი იყო, აღარც თასი და აღარც ანგარიში. ფეხბურთის შედეგი ცოლს რომ ჰკითხოს კაცმა, სულელი უნდა იყოს. არა, ყოფილა შემთხვევა, დამიბარებია ამა და ამ დროს, ამა და ამ არხის ტელეტექსტზე ეს და ეს დაიწერება და დაიმახსოვრე-მეთქი, მაგრამ სულ ტყუილად. ამიტომ არაფერი მიკითხავს. და განა საკვირველი არ არის, შუა ქალაქში თამაში დამთავრებულიყოს და კაცმა შედეგი ვერსაიდან გაიგოს?

კარგა ერთი საათის შემდეგ მოვისმინე „რუსთავი 2"-ზე, თანაც მხოლოდ შედეგი. რეპორტაჟი არ იყო. გოლი დღემდე არ მინახავს. „ბათუმმა" პირველად მოიგო თასი, „დინამომ" დუბლს ააცდინა. ტირილიც ყოფილა და სიხარულიც. როგორც წესია, ისე.

მე კი რა უნდა ვთქვა?

ფინალს აღარ გავაცდენ. ჯერჯერობით მაინც. ძლივს საფეხბურთო ინტრიგა დავლანდეთ და რაღა მაინცდამაინც ამ დღეს მომექცა ფეხი? თქვენ გგონიათ კიდევ დამემართება ასეთი რამე? აი, ამ საღამოს კი მოწესრიგებული ვხვდები. ჩამოვიდა ერთ დროს ამხანაგური თამაშების მსოფლიო ჩემპიონად წოდებული რუსთა (სსრკ, გუნდი, რომელიც გუნდი ვერ არის და ერთხმად აცხადებს ფრე იქნებაო.

არა მგონია, ასე გამზადებული ფრე იყოს. გაკვეთილად ფინალიც მეყოფა. სულ გგონია, მიეჩვევი და მერე საპირისპირო ხდება. ბურთი, მოგეხსენებათ და, მრგვალია. თანაც, საქართველოსთვის ყოველი ამხანაგური ტესტს ჰგავს. ტესტი კი შესავსებია.

და მაინც, ფინალის გაცდენაზე აღარ მელაპარაკოთ.



სეზონის დასაწყისში ასე იყო. გუშინწინ კი ჰაინკესისა (მარცხნივ) და სანსის გზა გაიყარა

# გარეთ რატომ წაგიგია...

განა ევროპულ საკლუბო ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში გამარჯვებაზე უფრო მნიშვნელოვანი რამ არსებობს? არა, მაგრამ ამქვეყნად თურმე ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამაზე მეტი რა უნდა ექნა ცნობილ გერმანელ მწვრთნელს იუპ ჰეინკესს, როცა გასული სეზონის დასაწყისში მადრიდული კლუბი რკინის კაპელოსაგან გადაიბარა და მწვრთნელად მოსვლიდან ათი თვის თავზე „რეალს“ ჩემპიონთა ლიგაში გაამარჯვებინა. მაგრამ მას შინაურ ასპარეზზე სუსტი გამოსვლა ვერ აპატიეს და ტრიუმფალური გამარჯვების მიუხედავად, გუნდიდან დაითხოვეს. თურმე ესპანელებისთვის პრიმერა დივიზიონში გამარჯვება ევროპის საუკეთესო კლუბის სახელის მოპოვებაზე გაცილებით ძვირად ფასობს...

სამშაბათს „რეალის“ პრეზიდენტ ლორენცო სანსსა და იუპ ჰეინკესს შორის მოკლე საუბარი შედგა, მერე კი ცნობილი გახდა, რომ მადრიდულ კლუბს მომავალი სეზონიდან ახალი მწვრთნელი ეყოლება. ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე სანსმა განაცხადა, რომ გერმანელის გათავისუფლება ჩემპიონთა ლიგის 20 მაისს ფინალურ მატჩამდე კარგა ხნით ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი.

— ჰეინკესთან არანაირი პირადული უთანხმოება არ მქონია და ეს გადაწყვეტილება მხოლოდ სამეფო კლუბის ბედნიერი მომავლისთვის მივიღე. მართალია, მწვრთნელს ჩვენთან კონტრაქტით კიდევ ერთი წელი უნდა ემუშავა, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ფინანსურ საკითხზე ორმხრივი შეთანხმება მიღწეულია და იგი გულნატკენი არ დარჩება — სანსის სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ მას ყველაფერი წინასწარ ჰქონია გათვლილი.

იუპ ჰეინკესი შარშანდელ ზაფხულამდე „ტენერიფეში“ მუშაობდა და სხვაგან წასვლაზე ფიქრით თავს მეტისმეტად არც იტვირთავდა, მაგრამ მოულოდნელად ფაბიო კაპელო გაჩემპიონებულ „რეალს“ გამოემშვიდობა და ახალი კანდიდატურის ძებნაში ხელმძღვანელობამ არჩევანი სწორედ გერმანელ მწვრთნელზე შეაჩერა. ასე აღმოჩნდა მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონი ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდში. აქედან მოყოლებული „რეალს“ უსიამოვნებები თითქოს დაებედაო... გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატში მეტად სუსტი სტარტი აიღო და ვერც თასის თამაშებს ატარებდა მაინცდამაინც ბრწყინვალედ. ამ წარუმატებლობათა გრძელ სერიაში ერთადერთი ნათელი წერტილი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში წარმატება გახლდათ. შინაური სარბიელზე კი მადრიდელთა უპირველესმა და უსასტიკესმა მტერმა, „ბარსელონამ“ თავიდანვე იგდო ლიდერობა და თუმცა ერთი პირობა უკლო, საბოლოო ჯამში მის ჩემპიონობაში ეჭვი არავის შეპარვია. „რეალმა“, რომლისათვისაც მეორე ადგილი უდიდესი კატასტროფაა, ეს არ იკმარა და ეროვნული თასიდან გამოთიშვას ჩემპიონატში მისთვის სასირცხვილო მეოთხე ადგილიც მიუმატა. ამას ისიც დაერთო, რომ სამეფო კლუბი გასვლით თამაშებს საშინლად ატარებდა და ნოემბრიდან დაწყებული მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუდან“ მოშორებით არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი შეხვედრა არ მოუგია. ამის გამო ჰეინკესს მადრიდელი ფანატების საშინელი რისხვა დაატყდა თავს, ხოლო რამდენიმე მოთამაშემ ჰოლანდიელი ნახევარმცველი კლარენს ზეედორფის მეთაურობით სახალხოდ გააკრიტიკა მწვრთნელის ტაქტიკური გადაწყვეტილებები. თუმცა გერმანელს „რეალში“ კეთილმოსურნეებიც ჰყოლია — ფეხბურთელებმა ჰეინკესს ისე არ დაუჭირეს მხარი, როგორც იგი იმსახურებდა — განაცხადა ფერნანდო მორიენტესმა. ხოლო მეორე თავდამსხმელმა, რაულმა გუნდში შექმნილი ვითარება დაგმო:

— 1995 წლის ნოემბრიდან, პრეზიდენტად სანსის მოსვლის შემდეგ, „რეალიდან“ უკვე მეოთხე მწვრთნელი გაუშვეს. ჩვენ ყოველ წელს არ უნდა გვიწევდეს ახალ დამრიგებელთან შეგუება — თქვა ესპანეთის ნაკრების ვარსკვლავმა.

ჰეინკესს მომავალი სეზონიდან სავარაუდოდ „ესპანიოლს“ მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო შეცვლის, რომელიც თავის დროზე სწორედ მადრიდულ კლუბში გამოდიოდა. თუმცა „რეალის“ რეზიდენციიდან სხვა კანდიდატების სახელებმაც გამოჟონა. ესენი არიან „აიაქსის“ დანიელი მწვრთნელი მორტენ ოლსენი და „ლაციოს“ შვედი თავკაცი სვენ გორან ერიქსონი. თავად სანსს სამეფო კლუბში „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელის მარჩელო ლიპის ხილვა სურს, მაგრამ ამ უკანასკნელის განცხადებით, იგი „ბებერი ქალბატონის“ მიტოვებას არ აპირებს.

გათავისუფლებული გერმანელი კი თურმე ახალ წინადადებებს ჯერჯერობით ყურს არ უგდებს და „რეალში“ სიტუაციის საბოლოო გარკვევას ელის. თუმცა, ესპანურ გაზეთებს თუ ვენდობით, ჰეინკესის გადაბირება პრიმერა დივიზიონის რამდენიმე გუნდს მოუსურვებია. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მომგები მწვრთნელი უმუშევარი არ დარჩება.

**ირაკლი ხმელიძე**

*ამბავი, რომელსაც დავიწყება არ უწერია, 20 წლის წინათ მოხდა. ახლა, მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება, მაშინაც მსოფლიოს ჩემპიონატი იყო. არგენტინაში, ქალაქ როსარიოში, მასპინძლებმა პერუს 6:0 მოუგეს. იმ დღიდან მოყოლებული, დედამიწაზე დადის ჭორი დიდი ქრთამის შესახებ. სიმართლე, ალბათ, არასოდეს გაირკვევა, მაგრამ ადამიანებს ვერც მის ძიებას შეაწყვეტინებს ვინმე. ინგლისური ჟურნალი „უორლდ სოკერი“ ბოლო ნომერში, ერიკ უეილის სტატიაში კვლავ დაუსრულებელ თემას უბრუნდება.*

# მე არავის მოვუქრთამივარ

1978 წლის ჩემპიონატზე, პერუსთან არგენტინელთა 6:0 გამარჯვება დღემდე ერთ-ერთ მთავარ სალაპარაკო თემად რჩება. იმ წელიწადს ორ ოთხგუნდიან ჯგუფში უნდა გამოვლენილიყვნენ ფინალისტები. ბოლო ტურში, შუადღისას ბრაზილიამ პოლონეთს 3:1 მოუგო, რაც იმას ნიშნავდა, რომ საღამოს, როსარიოში არგენტინის ნაკრებს დიდი ანგარიშით უნდა მოეგო, რათა ფინალში ადგილი გაენაღდებინა.

ყველა ცდა, ეს ორი შეხვედრა ერთდროულად დაწყებულიყო, წარუმატებლად დამთავრდა. შედეგად არგენტინამ პერუს 6:0 მოუგო, ისე კი 4:0 აძლევდა ხელს.

მაშინ არგენტინაში ხელისუფლება სამხედროებს ეპყრათ ხელთ. ხმები, რომ მათ პერუს გუნდის მოთამაშეებს დიდძალი ფული გადაუხადეს, რათა თავიანთი ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონი გაეხადათ, წლების მანძილზე დადიოდა ხალხში.

გაჩნდა საყოველთაო აზრი, რომ თამაში ჩაწყობილი იყო, თუმცა პერუელთა მეკარე, სწორედ როსარიოში დაბადებული და პერუში შემდეგ გადასახლებული არგენტინელი რამონ კიროგა სხვას ამტკიცებს.

კიროგა — პერუს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე — ახლა 47 წლისაა და ქალაქ კრუსკოში ცხოვრობს (ზღვის დონიდან 3450 მეტრზე). იგი კარგა ხანს პირველი დივიზიონის გუნდს „სიენსიანოს“ წვრთნიდა.

„მე არავის მოვუქრთამივარ“ — დაიფიცა კიროგამ — „ქრთამის ამბავი ბრაზილიურმა პრესამ გამოიგონა და შემდეგ ის მთელს მსოფლიოს მოედო. ის თამაში ჩემთვის და მთელი ნაკრებისთვის უბრალოდ საშინელი იყო, მაგრამ მითხარით, განა არსებობს მოთამაშე ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ საშინელი თამაში რომ არ ჰქონოდა? მაშინ პერუს ნაკრები ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში, თუმცა საკამათო რაა, რომ არგენტინულ და ჩვენს ფეხბურთს შორის კლასში განსხვავება ძალიან დიდია. ის დღე ერთადერთი იყო ჩემს ცხოვრებაში, ერთბაშად ექვსი გოლი რომ გავუშვი“.

კიროგამ კარიერა „როსარიო სენტრალში“ დაიწყო, შემდეგ ეკვადორსა და პერუში თამაშობდა, 1984 წელს კი პროფესიონალის ცხოვრებას გამოეთხოვა.

**თარგმნა ბაბუნა ბედიამ**

დარჩა
FRANCE 98
11 დღე

## ფუტიქსის დროშით

# ფლოები და კომპანია

ნორვეგიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ეგილ ოლსენმა სამშაბათს საფრანგეთში წამსვლელი 22 რჩეულის გვარი დაასახელა. როგორც აღმოჩნდა, სხვა 19 ფეხბურთელთან ერთად მწვრთნელის გული ფლოებსაც მოუგიათ: ესენი ძმები „ჩელსის“ ტორე ანდრე, „სტრომსგოდსეტის“ იოსტეინი და მათი ბიძაშვილი, ბრემენის „ვერდერში“ მოთამაშე ჰავარდი არიან. ვეტერანმა იოსტეინმა, რომელიც ჯერ კიდევ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იცავდა ნორვეგიის ნაკრების ღირსებას, სულ ახლახან მოირჩინა მარჯვენა ფეხის ტრამვა, ხოლო ჰავარდის 22 საუკეთესოს შორის მოხვედრა სულაც საეჭვო იყო. „როდესაც საუკეთესო ფორმაშია, იოსტეინი ჩვენს გუნდში უმლიერესია თავით თამაშში. აქამდე იგი დაშავებული გახლდათ, თუმცა უკვე გამოჯანმრთელდა და ახალგაზრდულ შემართებასაც ავლენს“ — თქვა ოლსენმა.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა სასაფრანგეთო შემადგენლობაში მინი იაკობსენის მოხვედრა იყო. იგი ტრონჰეიმის „რუსენბორგის“ იმ ოთხ ფეხბურთელთაგანია, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებენ. ოლსენის განცხადებით, მას ბოლო შეხვედრებში სწორედ იაკობსენის ყაიდის შემტევი მოთამაშე აკლდა. ტრანჰეიმელის ნაკრებში მიწვევა მოულოდნელობა იმდაა, რომ მას შესარჩევი ტურნირის დროს ქვეყნის პირველ გუნდში იშვიათად ეძახდნენ და მთლიანად მხოლოდ ერთადერთი მატჩი ჩაატარა.

ეგილ ოლსენის აზრით, წლევანდელი გუნდი უფრო შემტევია და მას გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია, ვიდრე ნაკრებმა 1994 წელს აშშ-ში მოახერხა, როცა დაცვაზე ამახვილებდა ყურადღებას.

ოთხშაბათს ამხანაგურ მატჩში საუდეთის 6:0 განადგურების შემდეგ ნაკრების კარი „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელის ოლე გუნარ სოლსკიაერისთვისაც გაიღო, რომლის საფრანგეთში წასვლა მეტად სათუო ყოფილა.

— მან იცოდა, რომ თუ ცუდად ითამაშებდა, შინ დარჩენა მოუწევდა. ამიტომ საუცხოოდ გაისარჯა — ასე ახსნა მწვრთნელმა არაბებთან სოლსკიაერის მართლაც შეუდარებელი თამაში, სადაც ამ ფეხბურთელმა ორი გოლის გატანა მოახერხა.

ოლსენის კიდევ ერთი სიურპრიზი 21 წლის რუსენბორგელი ვეგარდ ჰეგემია. ამ მარჯვენა შემტევმა მცველმა ნაკრებში დებიუტი გასულ თებერვალში ფრანგების წინააღმდეგ 3:3 დამთავრებულ ამხანაგურ მატჩში გატანილი გოლით აღნიშნა. ესეც სათქმელია: „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ მეკარე ესპენ ბაარდსენი, იოსტეინ ფლო და იაკობსენი ისე მოხვდნენ სასაფრანგეთო შემადგენლობაში, რომ მთავარი მწვრთნელის მიერ რამდენიმე კვირის წინ ამხანაგური მატჩებისათვის შეგულებულ 33 რჩეულს შორის დასახელებული არ ყოფილან.

ოლსენის თქმით, მისთვის მეტად ძნელია საუკეთესოების შერჩევა, რადგან 1990 წლიდან მოყოლებული ნორვეგიულმა ფეხბურთმა საოცარი პროგრესი განიცადა და პირველხარისხოვანი ფეხბურთელებიც ერთობ მომრავლდნენ.

— რამდენიმე მოთამაშე ჩემი გადაწყვეტილებით გულნატკენი დარჩა, მაგრამ მათგან სამი განსაკუთრებულად მსურს გამოვყო. ესენი „ლიდსის“ ალფ ინგე ჰაალანდი, „შეფილდ იუნსდეის“ პეტერ რუდი და „პანათინაიკოსის“ ფრანკ სტრანდლი არიან — დანანებით განაცხადა ოლსენმა.

ალბათ, გახსოვთ, მაისის დასაწყისში მწვრთნელი ამბობდა, ჰაალანდისა და ჰალესათვის მხოლოდ ერთი ადგილი მაქვს და, როგორც ჩანს, უპირატესობა ამ უკანასკნელს მიანიჭა. რუდიმ გასულ კვირაში თეძო დაიზიანა და ეს ძვირად დაუჯდა. ხოლო რაც შეეხება სტრანდლის, იგი შესარჩევ ტურნირში გუნდის ნახევარდაცვის ნამდვილი ბურჯი იყო, ხუთი შეხვედრა ჩაატარა და ორი გოლიც შეაგდო. ამიტომ მისი ნაკრების მიღმა დატოვება ასევე ერთგვარ მოულოდნელობათ უნდა მივიჩნიოთ.

გუნდის საბოლოო შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები: ფროდე გროდასი (ტოტენჰემი, ინგლისი), ტომას მირი (ევერტონი, ინგლისი), ესპენ ბაარდსენი (ტოტენჰემი, ინგლისი); მცველები: ჰენინგ ბერგი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), სტივ ინგე ბიორნებიუ (ლივერპული, ინგლისი), დან ეგენი (სელტა, ესპანეთი), გუნარ ჰალე (ლიდსი, ინგლისი), რონი იონსონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ვეგარდ ჰეგემი (რუსენბორგი), ერიკ ჰოფტუნი (რუსენბორგი); ნახევარმცველები: იოსტეინ ფლო (სტრომგოდსეტი), იან ივარ იაკობსენი (რუსენბორგი), სივინდ ლეონარდსენი (ლივერპული, ინგლისი), ერიკ მიკლანდი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ჩეთილ რეკდალი (ჰერტა, გერმანია), სტალე სოლბაკენი (ოლბორგი, დანია); თავდამსხმელები: როარ სტრანდი (რუსენბორგი), ოლე გუნარ სოლსკიაერი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ეგილ ოსტენსტადი (საუთჰემპტონი, ინგლისი), ჰავარდ ფლო (ვერდერი, გერმანია), ტორე ანდრე ფლო (ჩელსი, ინგლისი), ვიდარ რისეტი (ლასკი, ავსტრია).

# ასეც ხდება...

ავსტრიის ნაკრებისა და გრაცის „შტურმის“ ნახევარმცველ გილბერტ პრილასნიგს მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ ოცდაორ კაცს შორის მყარად ჰქონდა ადგილი დაჯავშნული და, ალბათ, ფიქრებში საფრანგეთის მინდვრებზე გოლი გოლზე გაჰქონდა, მაგრამ, ეტყობა, ვერ გაითვალისწინა, რომ ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სამშაბათს ქვეყნის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში პრილასნიგმა თავი არ დაზოგა და, როგორც ჩვევია, ვაჟკაცურად იბრძოლა, თუმცა ის აღარ გახსენებია, რომ მსოფლიოს უდიდესი ასპარეზობა კარსაა მომდგარი. ამით კი ის მოიმკა, რომ ვერც გუნდს დაეხმარა (გრაცელებმა „რიდთან“ 1:3 წააგეს და თასი მეტოქეს გადაულოცეს) და მარცხენა მუხლიც სერიოზულად დაიზიანა. ექიმებმა მუხლის წინა იოგის უმძიმესი ტრავმა დაუდგინეს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატის ყურება ტელევიზორში მოუწევს.

ავსტრიელთა მთავარ მწვრთნელს — ჰერბერტ პროჰაზკას დაშავებული პრილასნიგის შემცვლელის მოძებნა არ გასჭირვებია. გრაცელის ნაცვლად საფრანგეთში „ზალცბურგის“ მარტინ ამერჰაუზერი გაემგზავრება. ამ 23 წლის ფეხბურთელზე მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მას ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ახლახან, მარტში ჰქონდა, როცა ავსტრიელები შინ ამხანაგურად უნგრელებს ეთამაშნენ. ამერჰაუზერმა თავისი პირველი გამოჩენა 21-ე წუთზე გატანილი გოლით კი აღნიშნა, მაგრამ, მწვრთნელების აზრით, მთლიანობაში შეხვედრა სუსტად ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ ავსტრიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორი ამხანაგური მატჩის გამართვას გეგმავს. ისინი 27 მაისს ტუნისელებს, ხოლო 2 ივნისს ლიხტენშტეინელებს გაეჯიბრებიან. დღესდღეობით გუნდი საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება ლინდაბრუნში.

ავსტრიის ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები: მიხაელ კონსელი (რომა, იტალია), ფრანც ვოლფარტი (შტუტგარტი, გერმანია), ვოლფგანგ კნალერი (ავსტრია);

მცველები: ვოლფგანგ ფაირზინგერი (დორტმუნდი, გერმანია), მარტინ ჰიდენი (ლიდსი, ინგლისი), ვალტერ კოგლერი (კანი, საფრანგეთი), ანტონ ჰფეფერი (ავსტრია), პეტერ შოტელი (რაპიდი);

ნახევარმცველები: ანდრეას ჰერაფი (რაპიდი), ანდრეას ჰერცოგი (ვერდერი, გერმანია), დიტმარ კუჰბაუერი (სოსიედადი, ესპანეთი), რომან მაეჰლიხი (შტურმი), მარკუს შოპი (შტურმი), პეტერ შტიოგერი (ლინცერი), არნოლდ ვეტლი (რაპიდი), ჰაიმო პფაიფენბერგერი (ვერდერი, გერმანია), ივიცა ვასტიჩი (შტურმი), ჰანს რაინმაიერი (შტურმი), მარტინ ამერჰაუზერი (ზალცბურგი);

თავდამსხმელები: ტონი პოლსტერი (კიოლნი, გერმანია), ჰარალდ ჩერნი (მიუნხენ 1860, გერმანია), მარიო ჰაასი (შტურმი).

# დაუნდობელი ვიკინგები

## ამხანაგური მატჩები

### შვედეთი 3:0 დანია

შვედეთი: ჰედმანი, ნილსონი, პ. ანდერსონი, მიოლბი, კამარკი, შვარცი (ბლომკვისტი 74), მილდი (ერლინგმარკი 74), ლარსონი, ლიუნგბერგი, ა. ანდერსონი (კ. ანდერსონი 62), პეტერსონი
დანია: შმეიხელი, შიონბერგი (იორგენსენი 45), რიპერი, ჰოგი, ჰაინცე, ჰელვეგი (ლაურსენი 72), ნილსენი (ვიეჰორსტი 69), ფრენდსენი (ტოფტინგი 35), მოლნარი (მიოლერი 54), მ. ლაუდრუპი, ბ. ლაუდრუპი
1:0 ლარსონი (22), 2:0, 3:0 პეტერსონი (333, 49)

დანიის ნაკრებისათვის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი მატჩი შვედების წინააღმდეგ ნამდვილ კოშმარად იქცა. შეხვედრის შემდეგ სტუმართა შვედი მწვრთნელი ბო იოჰანსონი თავისი გუნდის სუსტი თამაშით აღშფოთებული იყო და ამის დამალვა არც უცდია.

— ჩვენ საშინლად ვითამაშეთ. ფეხბურთელები ზედიზედ ორ ნორმალურ პასსაც ვერ აწოდებდნენ, ასე კი დღეს ვერავის მოუგებ — განაცხადა დანიელთა მწვრთნელმა, რომელსაც დიდი თავსატეხი გაუჩნდა, რადგან დღე-დღეზე გუნდის საბოლოო, 22 კაციანი შემადგენლობა უნდა დაადგინოს. ახლა დანიის ნაკრებს თავისი გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაციის ბოლო შანსი აქვს. საფრანგეთში გამგზავრებამდე ისინი 5 ივნისს კოპენჰაგენში კამერუნელებს შეხვდებიან ამხანაგურად.


REUTERS ჰელსინკიდან
ფინეთი — გერმანია. ლიტმანენმა ჰამანი გახედნა

### ნორვეგია 6:0 საუდეთი

ნორვეგია: გროდასი, ჰალანდი, იონსენი (ბერგი 90), ეგენი (ჰოფტუნი 46), ბიორნებიუ, ჰ. ფლო (ოსტენსტადი 78), რისეტი, რეკდალი, მიკლანდი (სტრანდი 57), სოლსკიაერი, ტ. ფლო
საუდეთი: ალ დაიე, ალ იანი, ალ ხლაივი, ზებრამავი, ალ შაჰრანი (ალ ზაჰრანი 61), ალ ჯაბერი (ალ სადიკი 19), ალ ტემიატი (სალეჰი 46), ს. ალ ოვაირანი (ალ მეჰალალი 71), სოლაიმანი, ალ მუვალიდი, ჰ. ალ ოვაირანი
1:0 რეკდალი (203), 2:0, 3:0 სოლსკიაერი (30, 41), 4:0 ოსტენსტადი (82), 5:0 ტ. ფლო (85), 6:0 სტრანდი (87)

ნორვეგია — აი, ვისი უნდა ეშინოდეთ საფრანგეთში პირველობისთვის მებრძოლ გუნდებს. ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენმა მომავალმა მეტოქემ პირდაპირ გაანადგურა არაბები. ისე, უნდა აღინიშნოს, რომ ნორვეგიელებმა სტუმრების განადგურება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეს, რაც მე-19 წუთზე დანიელმა მსაჯმა არაბთა მეკარე მოედნიდან მიაბრძანა, ხოლო მისი გუნდი თერთმეტმეტრიანით დასაჯა. ამას პირველივე ნახევარში მუხამედ ალ ხლაივის გაძევება დაემატა და ალბათ, ამიტომაც იყო, მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე სკანდინაველთა მთავარი მწვრთნელი ეგილ ოლსენი მეტად თავშეკავებულად რომ ესაუბრებოდა ჟურნალისტებს.

— გამარჯვებამ კი გამახარა, მაგრამ დამეთანხმებით, ცხრაკაციანი საუდეთის დაჩოქება დიდი ვერაფერი საგმირო საქმეაო — თქვა ოსენმა. ეს მატჩი ნორვეგიელთათვის უკანასკნელი იყო წინასაჩემპიონატო მზადების ციკლში, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი საფრანგეთში 1997 წლის იანვრიდან დაუმარცხებელი ნაკრების სახელით გაემგზავრებიან. კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი — ამ გუნდს შინ 1991 წლის შემდეგ არ წაუგია.

### ჰოლანდია 0:0 კამერუნი

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიცინგერი, სტამი, ფ. დე ბური, ნუმანი, ზეედორფი, დავიდსი (ზენდენი 70), კოკუ, ოვერმარსი (ვინტერი 61), რ. დე ბური, კლუივერტი (ჰიმი 61)
კამერუნი: სონგოო, კალა, სონგი, ბეაკა, მბომა, ვომე, ოლემბე (ჯობი 45, ეტოო 86), სიმო, ნდო (მაუვე 90), იპუა (ანგიბოდი 45), ბიიკი (ჩამი 67)

— ფეხბურთში მთავარი გოლის გატანაა და არა სახიფათო მომენტების შექმნა. ჩვენ კი რვა-ცხრა ასეთი შესაძლებლობიდან ერთიც ვერ გამოვიყენეთ. ამას მსოფლიოს ჩემპიონატზე არავინ გვაპატიებს — ჰოლანდიელთა მთავარი მწვრთნელი გუს ჰიდინკი სრულიად მართალი იყო, როცა მატჩის შემდეგ თავის ფეხბურთელებს უსაყვედურა, მიზანსწრაფვა და შემართება გაკლიათო. ამას მხოლოდ უბედობას ვერ უწოდებ. დღევანდელ ჰოლანდიის ნაკრებს „არსენალის" დენის ბერხკამპის გარდა არ ჰყავს ისეთი ფორვარდი, მარტოს რომ შეეძლოს თამაშის ბედის გადაწყვეტა. ამ ბოლო დროს მუხლქვეშა მყესის ტრავმით გატანჯული დენისი კი ოთხშაბათის შეხვედრას ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს და კლუივერტის ცოდვილობის შემხედვარე, ალბათ, მოედანზე ყოფნას ნატრობდა. სონგის წინამძღოლობით დარაზმულმა კამერუნელთა დაცვამ კაცისმკვლელსა და ქალების გამბახებელ კლუივერტს ფეხი არ გაანძრევინა. ჰოლანდიელებს საკუთარი თამაშის საპოვნელად კიდევ ორი შანსი აქვთ. ისინი ორშაბათს პარაგვაელებთან, ხოლო 5 ივნისს ნიგერიელებთან ამხანაგურად გაჯიბრებას გეგმავენ.

### ავსტრია 2:1 ტუნისი

ავსტრია: ვოლფარტი, ფაიერზინგერი (ჰიდენი 67), შოტელი, პფეფერი, ჩერნი, ჰერცოგი (კუჰბაუერი 68), მელიში, პფაიფენბერგერი (მერაფი 45), ვეტლი (ამერჰაუზერი 69), პოლსტერი (ჰაასი 68), ვასტიჩი
ტუნისი: ელ ოუაერი, ბადრა (ჯაბალაჰი 45), ჩუჩანე, ბენ იუნესი (ჯელასი 45), ტრაბელსი, კლეიტონი, გუდბანე, ბეია, სუაია, ჩიჰი, სელიმი
1:0 ჩერნი (11), 2:0 ვეტლი (17), 2:1 ბადრა (23)

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვით ადრე ორ საშინაო ამხანაგურ მატჩში განცდილმა მარცხმა (ავსტრიელებმა უნგრეთის ნაკრებთან 2:3 წააგეს, ხოლო აშშ-ს გუნდთან 0:3 შერცხვნენ) ავსტრიელ გულშემატკივრებს ეროვნულ ნაკრებზე გული აუცრუა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ისიც კი განაცხადა, თამაშით საფრანგეთში ქულასაც ვერ მოვიპოვებთო. ფეხბურთელებმაც მშვენივრად იცოდნენ, ტუნისთან წაფორხილების შემთხვევაში კარგი დღე არ დაადგებოდათ და ყველაფერი გაიღეს შეხვედრის მოსაგებად. ავსტრიელებმა თავიდანვე ისე შეუტიეს მომხვდურთ, უკვე მე-20 წუთისთვის ჰარალდ ჩერნისა და არნოლდ ვეტლის გოლების შემდეგ ანგარიში 2:0 გახადეს. ამის შემდეგ მასპინძლები მოდუნდნენ, ტუნისელებმაც კარგად ისარგებლეს მეტოქის შეცდომით და სამიოდ წუთში ერთი საპასუხო ბურთი გაიტანეს. აქედან მოყოლებული მოედანზე კვლავ ავსტრალიელები გაბატონდნენ და არაერთხელ შეუქმნეს ხიფათი სტუმრებს, მაგრამ უპირატესობის ანგარიშში ასახვა ვერ შეძლეს.

### ფინეთი 0:0 გერმანია

გერმანია: კეპკე (კანი 46), ვიორნსი, მატეუსი, კოლერი (ბაბელი 46), ჰაინრიხი (ერემაისი 68), ფრიოინდი, ჰესლერი, ჰამანი (ტონი 73), ტარნატი, კირსტენი (მარშალი 46), ბირჰოფი

— როგორ უნდა ვიყო კმაყოფილი ასეთი თამაშით? დღეს ჩვენ მინდორზე ნახევარდაცვა არ გვყავდა — გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ბერტი ფოგტსის სიტყვები ყველაზე კარგად ასახავს ოთხშაბათის შეხვედრაში განვითარებულ მოვლენებს. სადღა იყო ცნობილი გერმანული სიმტკიცე და ფეხბურთელთა ურთიერთშეთამაშება. ტომას ჰესლერმა, რომელსაც მოედნის ცენტრში თამაშის აწყობა ევალებოდა, ვერც ამ საქმეს გაართვა თავი და კარსაც ერთადერთხელ დაემუქრა, მაგრამ მე-18 წუთზე კარლსრუელის საჯარიმო დარტყმამ მიზანს ვერ მიაღწია. დიდი ხნის შემდეგ გერმანელთა შორის კვლავ გამოჩნდა ლიბერო მატეუსი, თუმცა სამახსოვრო მას არაფერი გაუკეთებია.

### პოლონეთი 3:1 რუსეთი

რუსეთი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, გერასიმენკო, ჩუგაინოვი, სემაკი, რადიმოვი, პაგაევი, ალეინიჩევი (სიმუტენკოვი 70), ვარლამოვი, ტიხონოვი, ბესჩასტნიხი (ზუბკო 46)
1:0 ტრეჩოკი (4), 1:1 გერასიმენკო (8), 2:1, 3:1 ჰაიტო (57, 90)

პირველ ნახევარში სტუმრებმა ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და მეტოქე საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს. ამ პერიოდში მასპინძელთა მეკარე ირჯებოდა საუცხოოდ. თუმცა ორჯერ პოლონელთა ბედად, მას ძელი დაეხმარა. მეორე ტაიმში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. პოლონელები სრულიად დაეპატრონნენ მოედანს და რუსთა დაცვაც ქაოსურად იგერიებდა მათ შეტევებს. შეხვედრის გმირად, ალბათ, მაინც ორი გოლის გამტანი ტომაშ ჰაიტო უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც 57-ე და 90-ე წუთებზე ორჯერ ატკინა გული ფილიმონოვს და რუსეთის ნაკრები საქართველოში მეტად ცუდ გუნებაზე გამოამგზავრა.

### ხორვატია 1:2 სლოვაკეთი

0:1 რანკულა (4), 1:1 ვლაოვიჩი (45), 1:2 მაიორაში (59)

### ჰასან მეორის თასი

### მაროკო 0:1 ინგლისი

მაროკო: ბენზერკი, საბერი, როსი, ნეგრუზი, ელ ჰადრუი, ჩიბა (ამზიმი 63), ტაჰარი, ჩიპო, ბასირი, ოაკილი (რედარი 73), როკი (ელხატაბი 63)
ინგლისი: ფლაუერსი, კეონი, ლე სო, კემპბელი, საუთგეიტი, ინსი, ანდერტონი, მაკმანამანი, გასკოინი, რაიტი (ოუენი 26), დაბლინი (ფერდინანდი 79)

ჰასან II-ის თასის წლევანდელ გათამაშებაში გამარჯვება ერთობ საპატიოა, რადგან აქ კუნძულელთა გარდა მსოფლიოს ჩემპიონატის სამი მონაწილე ასპარეზობს. დიდი ამბიციების მიუხედავად, ინგლისელებმა ტურნირის პირველ მატჩში მასპინძლებთან საკმაოდ უსუსური ფეხბურთი აჩვენეს და რომ არა 18 წლის ახალბედა მაიკ ოუენის თითქმის არაფრისგან შექმნილი გოლი, შერცხვენას ვერ გადაურჩებოდნენ.

ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვაზე, ამ წარმატების შემდეგ ოუენმა საფრანგეთში წამსვლელ 22 საუკეთესოს შორის მოხვედრა ხომ არ გაინაღდაო, ინგლისელთა თავკაცმა გლენ ჰოდლმა უპასუხა, იგი გუნდიდან არც არავის გაურიცხავს და მსოფლიოს ჩემპიონატზეც უეჭველად ითამაშებსო. საგულისხმოა, რომ 26-ე წუთზე დაშავებული იან რაიტის ნაცვლად მინდორზე შესულმა ოუენმა ნაკრებში თავისი პირველი გოლი გაიტანა და ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა, რომელსაც ამ საუკუნეში ინგლისის ეროვნული გუნდის მაისურით მეტოქის კარი დაულაშქრავს. ვეტერან რაიტის ტრავმა კი იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ შესაძლოა, ფეხბურთელმა მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვოს.

### საფრანგეთი 1:0 ბელგია

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზუ, დეშამპი, პეტი, ზიდანი, პირესი (ჰენრი 61), ჯორკაეფი (დუგარი 46), გივარში
ბელგია: დევილდე, კრასონი, ვიდოვიჩი, ლეონარდი, სტალენსი, ვან დერ ელსტი, ოლივეირა, კლემენტი (დეფლანდრე 88), ვან კერკჰოვენი, ნილისი (ბოფინი 74), ვილმოტსი
1:0 ზიდანი (64)

ერთადერთი გოლი მეორე ნახევრის შუაწელში ზიდანმა გაიტანა, რომელმაც წინ დაუფიქრებლად გამოსულ დევილდეს დაასწრო და ბურთს ფაქტობრივად დაუცველ კარში გაგზავნა არ გასჭირვებია. ამით საფრანგეთის ნაკრებმა შეწყვიტა ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია. „მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა. პირველ ტაიმში ცოტას ვმოძრაობდით და ამიტომაც გაგვიჭირდა, თუმცა მეორე ნახევარში ბიჭები საგრძნობლად გამოცოცხლდნენ და რამდენიმე რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, რადგან საუკეთესო შემადგენლობით მხოლოდ პირველ შეხვედრას ვატარებდით" — განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა ემე ჟაკემ.

**ირაკლი ხმელიძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** პრესის ცნობით, რომის „ლაციოს" თავდამსხმელი პიერლუიჯი კაზირაგი 5,4 მილიონ ფუნტ სტერლინგად (8,8 მლნ დოლარი) თასების თასის წლევანდელ მფლობელ ლონდონის „ჩელსიში" გადავიდა. „დარწმუნებული ვარ, „ჩელსის" ფანები ბედნიერები არიან. ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელი გუნდს ძლიერ გამოადგება და, ალბათ, კაზირაგი არც ჩვენ და არც გულშემატკივრებს იმედებს არ გაგვიცრუებს" — განაცხადა ინგლისური კლუბის მენეჯერმა კოლინ ჰათჩინსონმა. კმაყოფილია თავად კაზირაგიც: „მოხარული ვარ, რომ ლონდონის „ჩელსიში" გადავედი. მომავალს დიდი იმედით ვუყურებ". იტალიელი ფეხბურთელი წარსულში ლონდონელთა მოთამაშე-მწვრთნელ ჯანლუკა ვიალისთან ერთად „იუვენტუსში" გამოდიოდა და „ჩელსის" შემადგენლობაში მეოთხე აპენინელი იქნება. მათ, შესაძლოა, პრემიერლიგიდან გავარდნილი „კრისტალ პალასის" ვეტერანი ატილიო ლომბარდოც დაემატოს.

**არგენტინელი** მცველი ხოსე შამოტი, შესაძლოა, „ლაციოდან" მადრიდის „ატლეტიკოში" გადავიდეს. 28 წლის ფეხბურთელმა, რომელიც წლეულს ტრავმებმა დატანჯა, მადრიდული კლუბის თავკაცთა ყურადღება მას შემდეგ მიიქცია, რაც „ლაციომ" უეფას თასის გათამაშების ნახევარფინალში „ატლეტიკოს" სძლია. ესპანელთა ექსცენტრიულმა პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილმა თურმე რომაული კლუბის მეორე ლეგიონერის, იუგოსლაველ ნახევარმცველ ვლადიმერ იუგოვიჩსაც დაადგა თვალი და გაზეთ „მარკას" ცნობით, მზად არის, ორივეში ერთად 2,500 მილიონი პესეტა (16,6 მლნ დოლარი) გადაიხადოს. „ატლეტიკოს" „ბარსელონამაც" მიმართა წინადადებით, კიკო ნარვაესის შესყიდვის თაობაზე. როგორც ცნობილი გახდა, კატალონიური კლუბი ყაბულსაა, იგი 20 მილიონ დოლარად იყიდოს ან გაცვალოს ივან დელა პენიაში.

**გერმანელმა** სპეციალისტმა, მადრიდის „რეალის" თავკაცმა იუპ ჰაინკესმა კლუბის პრეზიდენტ ლორენცო სანზთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ტოვებს თავის პოსტს. იგი გუნდს ერთი წლის განმავლობაში, ფაბიო კაპელოს წასვლის შემდეგ წვრთნიდა და ჩემპიონთა ლიგაზე გამარჯვებაც მოაპოვებინა. თუმცა, ამ წარმატების მიუხედავად, მას გამუდმებით აკრიტიკებდნენ როგორც გულშემატკივრები, ასევე „რეალის" ფეხბურთელები. ამის მიზეზი, ალბათ, ქვეყნის ჩემპიონატში მუდმივ კონკრენტ „ბარსელონასთან" ნაწვნევი ორი სამარცხვინო წაგება და საბოლოო მეოთხე ადგილი იყო. ჰაინკესის შემცვლელთა შორის ასახელებენ მადრიდის „რეალის" ყოფილ ფეხბურთელ და ამჟამად „ესპანიოლის" მწვრთნელ ხოსე ანტონიო კამაჩოს, ამსტერდამის „აიაქსის" თავკაც მორტენ ოლსენს და შვედ სპეციალისტ სვენ გორან ერიქსონს.

**სამხრეთ** აფრიკის ნაკრები, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების ბოლო ეტაპს გერმანიაში გადის, 7 ივნისამდე, ანუ საფრანგეთში გამგზავრებამდე ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს — დღეს გერმანიის მეორე დივიზიონის „შტუტგარტ კიკერსთან" და 2 ივნისს ბუნდესლიგის ბინადარ „VFB შტუტგარტის" სარეზერვო გუნდთან. შესაძლოა, სამხრეთაფრიკელებმა 5 ივნისს ისლანდიელებთანაც ითამაშონ, ამის შესახებ გუნდების თავკაცები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას. აფრიკელთა მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ განაცხადა, რომ ნაკრების საბოლოო შემადგენლობას კვირას, 31 მაისს დაასახელებს და ოპტიმისტურად დასძინა, ჩემი გუნდი საფრანგეთში ბევრ სიურპრიზს მოგვიტანსო.

**აზერბაიჯანის** თასის მფლობელი ფინალში ყარაბაღის „აღდამის" მლევის შემდეგ განჯის „კეპაზი" გახდა. მატჩი 2:0 დასრულდა, ხოლო გოლები 21-ე წუთზე ქართველმა ლეგიონერმა ბადრი კვარაცხელიამ და 52-ეზე ვაგიფ ალიევმა გაიტანეს.

**ინგლისური** „ნიუკასლ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ, კერძოდ, ფრედი ფლეთჩერმა განაცხადა, რომ ალან შირერი არანაირ ფასად არ გაიყიდება. როგორც ცნობილია, მას საკლუბო ფეხბურთის ორი გრანდი — ტურინის „იუვენტუსი" და „ბარსელონა" ეპატიჟება. პირველი მზადაა, შირერში 22 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადოს, მაგრამ კლუბის თავკაცები სასტიკ უარზე არიან. „უპირველეს ყოვლისა, ყველამ იცოდეს — შირერი არ იყიდება. იგი კლუბის უმთავრესი ფიგურა და მისი წარმატებული მომავლის გარანტიაა. ვინც მისი სხვადასხვა გზებითა და თანხებით გადაბირებას ცდილობს, იცოდეს, რომ დროს ტყუილად კარგავს" — თქვა ფლეთჩერმა და დაამატა, ჩვენი მიზანია, „ნიუკასლი" ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად ვაქციოთ, ამისთვის კი შირერი და მისი დონის ფეხბურთელები მეტად გვესაჭიროებაო.

**იტალიელი** თავდამსხმელი ანდრეა პირლო, რომელიც შარშან „ბრეშაში" თამაშობდა, მილანის „ინტერში" გადავიდა. კონტრაქტი 2003 წლამდე გაფორმდა. პირლო 19 წლისაა და იტალიის 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებში ირიცხება.

**გერმანიის** ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა მაურიციო გაუდინიომ „ბოხუმთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აქამდე 31 წლის ფეხბურთელი ფრანკფურტის „აინტრახტში" და შვეიცარიის „ბაზელში" გამოდიოდა. იგი ერთი თვის წინ ბერლინის „ჰერტაში" გადასულ დარიუს ვოშს შეცვლის.

**მოლდოვის** თასის ფინალში ერთმანეთს „ზიმბრუ" და „კონსტრუქტორული" შეხვდნენ. ვალერი კატინსუსის მიერ 29-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით ქვეყნის თასს „ზიმბრუ" დაეუფლა.

**სლოვენიის** თასის გათამაშების პირველ შეხვედრაში „აიდოვშინამ" 2:1 მოუგო „ველენიეს".

**დანიის** ჩემპიონატი: აალბორგი — სილკებორგი 0:0, აარჰუსი — FC კოპენჰაგენი 2:6, AB კოპენჰაგენი — ოდენსე 1:3, ბრონდბიუ — ჰერფოლგე 0:0, იკასტი — AGF აარჰუსი 3:1, ვეილე — ლიგბიუ 3:0. 32-ე ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ბრონდბიუ (ჩემპიონი) — 73 ქულა, FC კოპენჰაგენი — 61, სილკებორგი — 60.

**ფრანგი** ნახევარმცველი დანიელ ბრავო „ლიონიდან" მარსელის „ოლიმპიკში" გადავიდა. „პსჟ"-ს და „პარმას" ყოფილმა ფეხბურთელმა, რომელმაც გასულ სეზონში „ლიონის" შემადგენლობაში ექვსი გოლი გაიტანა, თავის ახალ კლუბთან ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

**ინგლისის** წლევანდელი ჩემპიონის, ლონდონის „არსენალის" 32 წლის ფრანგმა ლეგიონერმა რემი გარდემ კლუბთან კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი. „არსენალში" გადმოსვლამდე იგი „ლიონსა" და „სტრასბურში" თამაშობდა.

**ინგლისური** „ასტონ ვილას" ირლანდიელმა ლეგიონერმა სტივ სტაუნტონმა, რომელიც თავისუფალ ტრანსფერზე იყო, გუნდის მენეჯერ ჯონ გრეგორის აცნობა, რომ კლუბში რჩება. სტაუნტონმა, რომელიც ადრე „ლივერპულში" თამაშობდა, „ასტონ ვილასთან" ახალ, ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ ხნის განმავლობაში იგი კვირაში 20000 ფუნტს (32700 დოლარი) მიიღებს.

**ესპანური** „დეპორტივო ლა კორუნიას" პრეზიდენტმა აუგუსტო სეზარ ლენდოირომ განაცხადა, რომ მის კლუბს გაისად „სელტას" მთავარი მწვრთნელი ხავიერ ირურეტა ჩაუდგება სათავეში. მისი ხელმძღვანელობით წლეულს ესპანეთის ჩემპიონატში „სელტა" მეექვსე ადგილზე გავიდა და თავის 65-წლიან ისტორიაში მეორედ მოიპოვა ევროპულ ტურნირში მონაწილეობის უფლება. კონტრაქტი ახალ კლუბთან, ალბათ, ორწლიანი იქნება და ირურეტა წელიწადში 1 მილიონ დოლარს მიიღებს.

# ხაბარელი დამჯერ ბიჭებს ირჩევს

## „ჯლანა“ კი ვაზაგაშვილს არსად გაურბის

ქართველი ძიუდოისტებისგან ყოველთვის წარმატებებს ველით. ესპანეთის ქალაქ ოვიედოში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატიდანაც ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ ჩვენი ბიჭები. 60 კგ წონით კატეგორიაში ნესტორ ხერგიანმა ოქრო მოიპოვა, ხოლო გიორგი რევაზიშვილი მესამე ადგილზე გავიდა. ძიუდოს დარბაზსაც იმიტომ ვესტუმრეთ, რომ ნესტორ ხერგიანს გავსაუბრებოდით და უფრო ახლოს გაგვეცნო იგი „სარბიელის“ მკითხველისთვის, მაგრამ მითხრეს, ევროპის ჩემპიონი მშობლიურ მესტიაში გაემგზავრა და მხოლოდ პირველი ივნისიდან განაახლებს ვარჯიშსო. იმედგაცრუებულმა ტატამთან ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, შოთა ხაბარელი დავლანდე და მასთან გასაუბრების შესაძლებლობას ხელიდან როგორ გავუშვებდი.



შოთა ხაბარელი

**— ბატონო შოთა, როგორ შეაფასებდით ჩვენი ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლას?**

— ესპანეთში ბიჭებმა კარგად იჭიდავეს და მთლიანობაში გუნდის გამოსვლას დადებითად ვაფასებ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართულ ძიუდოში ახალი სახელები გამოჩნდა — ნესტორ ხერგიანი და ჯონდო მუზაშვილი. ჯონდომ საპრიზო სამეულში მოხვედრა ვერ შეძლო. რომ არა მსაჯების გაუგონარი არაობიექტურობა, იგი მედალს აუცილებლად აიღებდა. და არა მარტო იგი, არბიტრებმა დაჩაგრეს გია გუგავაც, ხოლო გიორგი რევაზიშვილს ფინალისკენ მიმავალი გზა სრულიად აშკარად გადაუკეტეს.

**— ხერგიანის გამარჯვება ერთგვარი მოულოდნელობა გახლდათ...**

— ნესტორის ოქროს მედალს მე კანონზომიერად მივიჩნევ, მასავით შრომისმოყვარე და თავდაუზოგავი სპორტსმენი იშვიათად შემხვედრია. ხერგიანმა ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელი ციკლი წარმატებით გაიარა და ესპანეთში მისმა სპორტულმა ფორმამ პიკს მიაღწია. გეხსომებათ, კონტინენტის პირველობამდე ჩვენი ნაკრები საფრანგეთის, გერმანიისა და ავსტრიის პრესტიჟულ ტურნირებში მონაწილეობდა. 60 კგ წონით კატეგორიაში ხერგიანი ამ ტურნირების ფავორიტი იყო და ავსტრიაში მეორე ადგილიც დაიკავა. თუ ნესტორი ვარჯიშს იმავე შემართებით გააგრძელებს, მჯერა, უფრო მაღალ მწვერვალებსაც დაიპყრობს.

**— ესპანეთში გიორგი ვაზაგაშვილი და დავით ხახალეიშვილი არ წაგიყვანიათ, არადა, ისინი ოქროს მედლების რეალური კანდიდატები იყვნენ.**

— როგორც იცით, 66 კგ წონით კატეგორიაში ორი თანაბარი ძალის ძიუდოისტი გვყავს — ვაზაგაშვილი და რევაზიშვილი. საერთაშორისო სარბიელზე ერთ წონაში ორივეს გამოყვანის უფლება არ გვაქვს, რომელიმემ წონა უნდა შეიცვალოს. გასულ წელს ევროპის ჩემპიონატზე ვაზაგაშვილმა ჩემი რჩევით მაღალ წონაში იჭიდავა და ოქროც მოიპოვა. მაგრამ მას შემდეგ აღარ გაითვალისწინა ჩემი მოსაზრებები და ერთი წლის განმავლობაში არც ერთ ტურნირზე არ გამოსულა. მე კი ისეთ ძიუდოისტს, რომელიც მწვრთნელს არ ემორჩილება და მისი სპორტული ფორმაც სასურველისგან შორსაა, ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ წარსული დამსახურების გამო ვერ წავიყვან. იგივეს ვიტყვი დათო ხახალეიშვილზეც. იგი ძალიან ნიჭიერი ძიუდოისტია, მაგრამ დიდი შედეგების მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ თავდაუზოგავი შრომითაა შესაძლებელი. რამდენიმე დღის წინ ხახალეიშვილის მწვრთნელმა ომარ მერაბიშვილმა დათოს სურვილი გადმომცა, მას ვარჯიშის განახლება და ტურნირებში მონაწილეობა განუზრახავს. ძალიანაც კარგი. ასეთ შემთხვევაში ნაკრების კარი დათოსთვის ყოველთვის ღია იქნება.

**— სამომავლოდ რომელ ტურნირებში აპირებთ მონაწილეობას?**

— 27-30 ივნისს საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდება. 18 ივლისს კი თბილისს იაპონიის ნაკრები ეწვევა, ამომავალი მზის ქვეყნიდან უძლიერესი ძიუდოისტები გვესტუმრებიან. გვინდა, მოვიწვიოთ სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების სპორტსმენებიც და მათთან ერთად საწვრთნელი ვარჯიშები ჩავატაროთ. დამეთანხმებით, ასეთი სახის შეკრებები დიდად წაადგებათ ქართველ ძიუდოისტებს. სექტემბერში თურქეთის ქალაქი ტრაპზონი შავიზღვისპირეთის ქვეყნების ტურნირს უმასპინძლებს. ავსტრიაში კი ევროპის გუნდური პირველობა გაიმართება. 31 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე ჩვენს ტრადიციულ თბილისის საერთაშორისო ტურნირს ჩავატარებთ. ამ შეხვედრების შემდეგ გამოიკვეთება ნაკრების ძირითადი ბირთვი, რომელიც 1999 წელს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე დაიცავენ ქვეყნის ღირსებას და შეეცდებიან, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები მოიპოვონ.



**გიორგი რევაზიშვილი**
იგივე „ჯლანა“

დაიბადა 1974 წლის 16 ნოემბერს, საგარეჯოში

ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი

მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის

მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი

მწვრთნელი ამირან ტოტიკაშვილი

**— ესპანეთში ფავორიტად ითვლებოდი, თუმც მსაჯებს ფინალში გადასასვლელ ბრძოლაში ფრანგი ძიუდოისტისთვის მიუციათ უპირატესობა.**

— მანამდე სამი შეხვედრა ჩავატარე და სამივეში სუფთა გამარჯვება მოვიპოვე. შემდეგი მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანი ფრანგი ლარბი ბენბოდაუდი გახლდათ. თანაბრად ვიბრძოდით. ერთ მომენტში ფრანგმა გდება გამიკეთა, რომელიც წესით მხოლოდ იუკოთი უნდა შეფასებულიყო, მაგრამ მსაჯებმა ილეთი იპონით შეაფასეს და ბენბოდაუდი ფინალში გაიყვანეს, სადაც მან რუსი ვაციევი დაამარცხა. ბრინჯაოსთვის კი გერმანელ ევროპის ჩემპიონს სუფთად მოვუგე.

**— 66 კგ-ში გამოსვლაზე გიორგი ვაზაგაშვილსაც აქვს პრეტენზია?**

— კი, ბატონო, ჰქონდეს, ოღონდ ეს საქმით უნდა დაამტკიცოს. თუ მაჯობებს, ნაკრების ხელმძღვანელებიც მას აჭიდავებენ. დღესდღეისობით მე საუკეთესო ფორმაში ვარ, მრავალ ტურნირში მივიღე მონაწილეობა და წარმატებებსაც მივაღწიე. ჩემი ოცნება ოლიმპიური ოქროა. ოცნების ასრულებაში ვაზაგაშვილი ხელს ვერ შემიშლის.

**— მჯობნის მჯობნი არ დაილევა... ვინ მიგაჩნია შენს ღირსეულ მოწინააღმდეგედ?**

— 66 კგ-ში ბევრი კარგი ძიუდოისტია, ტიტულოვანიც და ახალგაზრდებიც. არავისი მეშინია და ყველასთან გამარჯვებისთვის ვიბრძვი.

**სოსო ქოტორეიშვილი**

### ტექნიკური შედეგები

კაცები:

მძიმე: ტამერლან ტმენოვი (რუსეთი)
100 კგ: დანიელ გიურშნერი (გერმანია)
90 კგ: მარკ ჰუზინგა (ჰოლანდია); ... 9. გია გუგავა (საქართველო)
81 კგ ბერტლან ჰაიტოში (უნგრეთი); ... 3. ირაკლი უზნაძე (თურქეთი)
73 კგ: ჯუზეპე მადალონი (იტალია); ... 3. ილია ჩიმჩიური (უკრაინა); ... 7. ჯონდო მუზაშვილი (საქართველო)
66 კგ: ლარბი ბენბოდაუდი (საფრანგეთი); ... 3. გიორგი რევაზიშვილი (საქართველო)
60 კგ: ნესტორ ხერგიანი (საქართველო)
აბსოლუტური: სელიმ თათაროღლუ (თურქეთი); ... 9. რამაზ ჩოჩიშვილი (საქართველო)

ქალები:

მძიმე: კარინა ბრაიანტი (დიდი ბრიტანეთი)
78 კგ: ესტერ სან მიგელი (ესპანეთი)
70 კგ: ულა ვერბრუკი (ბელგია)
63 კგ: გელა ვანდეკავეი (ბელგია)
57 კგ: იზაბელ ფერნანდესი (ესპანეთი)
52 კგ: რაფაელა იმბრაინი (გერმანია)
48 კგ: სარა ნიშილო (საფრანგეთი)
აბსოლუტური: ფრანსუაზ ჰარტეფელდი (ჰოლანდია)



# ნონას „ტუზი“ და „კირსანჩიკის პრაზდნიკი“

ვინ მოსთვლის, რამდენი ცხენი მოუგია ნონა გაფრინდაშვილს? ზოგჯერ ჩვენს მოჭადრაკეს იძულებული გაუხდია მეტოქე, რათა მისთვის ცხენი დაეთმო, ზოგჯერ კი ჯიქურ წაურთმევია. წაურთმევია თეთრი ცხენიცა და შავიც, ნებით კი იგი არავის დაუთმია და არც ნონა გაფრინდაშვილს უთხოვია.

რა თქმა უნდა, ლაპარაკია საჭადრაკო ფიგურაზე, თორემ ნამდვილ ცოცხალ ცხენთა კოლექციის ინტერესი გაფრინდაშვილს ალბათ არც ჰქონია, ახლა კი შესაძლოა გაუჩნდეს, რადგან იგი უკვე ნამდვილი, ოქროსფერი ცხენის მფლობელია.

ეს ცხენი ნონა გაფრინადაშვილს არც საჭადრაკო დაფაზე გამართულ ბრძოლაში წაურთმევია ვინმესთვის, არც მისთვის საყვარელ კაზინოში მოუგია, არც უყიდია და არც არავისთვის უთხოვია. უბრალოდ აღნენ და ულრმესი პატივისცემის ნიშნად აჩუქეს.

— ულაყი ყალმუხეთში მაჩუქს, — გვიამბობს ქალბატონი ნონა. — იქ რუსეთის ჩემპიონატში სათამაშოდ ვიყავი. ვმონაწილეობდი რუსეთის ჩემპიონთა ტურნირშიც. ყალმუხეთის ერთ-ერთი რაიონის იაშალტის ტურნირის დღეებში საგანგებოდ დასვენების დღე გამოაცხადეს, რათა ბუნებაში გავსულიყავით. ერთ-ერთ სოფლის შესასვლელთან ცხენსაშენის კომერციული დირექტორი დაგვხვდა. მან ცხენსაშენზე და ცხენებზე ყველაფერი გვიამბო. ბოლოს მომიბრუნდა და მეუბნება, წამობრძანდით, ცხენი ამოვარჩიოთ, უნდა გაჩუქოთო. ვიფიქრე, ხუმრობს-მეთქი. როცა მის განზრახვაში დავრწმუნდი, მისივე რჩევით ულაყი ცხენებიდან ერთი სამი წლის ულამაზესი, ოქროსფერი შევარჩიე. ცხენებისა მე რა გამეგება, მაგრამ არჩევანი ყველამ მომიწონა. საბუთების გასაფორმებლად ცხენის სახელის შერჩევაც მე მომანდეს და „ტუზი“ ვუწოდე.

**— რატომ მაინცდამაინც „ტუზი“?**

— მითხრეს, სახელის პირველი ასო უთუოდ „ტ“ უნდა იყოს, ბოლო კი „ზ“-ო, უმალ „ტუზი“ მომივიდა თავში და მეტი აღარც მიფიქრია. ეს სახელი მომიწონეს.

**— ახლა სადა გყავთ „ტუზი“?**

— ისევ იმ ცხენსაშენში. ფორმალური მხარეა მოსაგვარებელი, ქაღალდომანია, სექტემბერში კი თბილისში მეყოლება.

**— მერე და რა უნდა უყოთ იმ ცხენს? ჭავჭავაძის პროსპექტზე, თქვენი ბინის მახლობლად ხომ არ აჭირითებთ?**

— რატომ პროსპექტზე, იპოდრომზე მივაბარებ. მაჩუქეს თუ არა, აღტაცებულმა შევძახე, ამ ცხენს შვილიშვილს ვაჩუქებ-მეთქი. წარმოგიდგენიათ, რომ ნახავს, როგორ გაიხარებს?



ნონა გაფრინდაშვილი

**— ალბათ მართლაც ძალზე გაიხარებს, მაგრამ ახლა საინტერესო ისაა, რუსეთის ჩემპიონატში გამოსვლა რამ გაფიქრებინათ?**

— როცა დამირეკეს და იქ გამოსვლა შემომთავაზეს, უმალ დავთანხმდი, რადგან მაინტერესებდა ყალმუხეთის გაცნობა, რომლის პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტიცაა. ამასთან, ყალმუხეთმა წლეულს უნდა უმასპინძლოს საჭადრაკო ოლიმპიადას. ამდენად, მისი გაცნობა ამ მხრივაც საინტერესო იქნებოდა. როცა კირსან ილიუმჟინოვი ფიდე-ს პრეზიდენტობას აპირებდა, წინასაარჩევნო კამპანიაში მრავალ დაპირებას იძლეოდა. ვფიქრობდი, თუ ამ კაცმა დანაპირების მესამედი შეასრულა, ჩათვალეთ, რომ საქმე იდეალურად აეწყობა-მეთქი და ჩემი იქ ჩასვლა ამ ინტერესმაც დიდად განაპირობა. გამგზავრებამდე კიდევ ერთხელ დამირეკეს, რუსეთის ჩემპიონატის მერე რუსეთის ჩემპიონთა ტურნირი გვინდა ჩავატაროთ ოთხ მოჭადრაკეს შორის და იქაც ხომ არ გამოხვალთო. რატომაც არ დავთანხმდებოდი, როცა მაინც მივემგზავრებოდი. თანაც ტურნირი ორ რაიონში იგეგმებოდა და ვფიქრობდი, ნეტა იქ რა პირობები შექმნეს, ტურნირს რომ ატარებენ-მეთქი.

ამდენი ნგრევის მერე პირველად ვნახე ასეთი აღმშენებლობა. შენდება გზები, აეროპორტი, სასტუმროები, სპორტული ბაზები და საჭადრაკო ქალაქი... ეს საჭადრაკო ქალაქი ჩვეულებრივი ქალაქია თავისი ადმინისტრაციული ცენტრით, მაგრამ თქვენ დონე უნდა ნახოთ. შესაშური მშენებლობის, მოპირკეთების, აღჭურვის დონე და ხარისხი აქვთ. რასაც აკეთებენ, ყველაფერს უკლებლივ კოხტად და ლაზათიანად აკეთებენ... ახლა ხალხს აღარ იკითხავთ? მათ ძალზე შემაყვარეს თავი.

სხვათა შორის, სადაც მივდიოდი, დიდებულ ბილიარდსა და მშვენიერ მეტოქებს მახვედრებდნენ, რადგან კარგად სცოდნიათ ჩემი ამ თამაშით გატაცების ამბავი. ყველგან ჩემი სურათებით მხვდებოდნენ და ზედ ავტოგრაფებს მაწერინებდნენ. თურმე დიდებულ პოლიგრაფიულ დონეზე დაუბეჭდავთ მოჭადრაკეთა ალბომი. მასში ჩაწყობილი იყო ფიდე-ს ყველა პრეზიდენტის ფოტო, ქალთა და ვაჟთა შორის ყველა მსოფლიო ჩემპიონის პორტრეტი, მათ შორის ჩემიც, რა თქმა უნდა. ილიუმჟინოვს მთელი ყალმუხეთი ჭადრაკით გადაურევია. იქ უამრავ ტურნირს აწყობენ, ყოველთვე ატარებენ მოსწავლეთა ტურნირსაც, რომლის პრიზიორებს სიგელებთან და თასებთან ერთად ფასიან საჩუქრებსაც გადასცემენ. ერთი ასეთი ტურნირის პრიზიორთა დასაჯილდოებლად მეც მიმიწვიეს.

მოკლედ, ყალმუხეთში ვნახე ჭადრაკისადმი ფანტასტიკური დამოკიდებულება, ხალხის ისეთი დამოკიდებულება, რომელმაც გამახსენა ჩემი ახალგაზრდობის წლები, როცა საქართველოში საერთაშორისო ტურნირები ტარდებოდა. მაშინ თელავიდან სოხუმამდე იყო ზღაპრული მიღებები, აჟიოტაჟი, სტუმართმოყვარეობის საოცარი გამოვლინება...

ასე რომ, დარწმუნებული ვარ, ყალმუხეთი დიდებულად გაართმევს თავს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას.

მაგრამ ილიუმჟინოვი მხოლოდ ჭადრაკზე როდი ფიქრობს. უნდა ნახოთ მათი სტადიონი...

ჩვენმა ფეხბურთელთა გუნდმა „ურალანმა“ უახლოეს წლებში რუსეთის ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოსო, მითხრა ილიუმჟინოვმა. არ გამიკვირდება, ეს გუნდი მართლაც ჩემპიონი რომ გახდეს.

**— კი მაგრამ, ეს ყველაფერი როგორ მოახერხა ილიუმჟინოვმა?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ საგადასახადო სისტემაში რაღაც ხვრელისთვის მიუგნია, სამუშაოდ მოუწვევია ორგანიზაციები, რომლებისთვისაც ყალმუხეთში მუშაობა ხელსაყრელი გამოდგა და მათ მიერ დატოვებული ფული ახლა ქალაქს ხმარდება. მრავლად მოიზიდა ინვესტიციებიც და იქაურობას აყვავებს.

**— მაია ჩიბურდანიძის ავტოკატასტროფაში მოყოლის დეტალები ჩვენს პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით ფართოდ გაშუქდა. ამიტომ ამაზე აღარც გეკითხებით, მაგრამ საინტერესოა, ამ შემთხვევამ როგორ იმოქმედა ტურნირზე, მის მონაწილეებზე?**

— მისი გადარჩენა ნამდვილად აღარავის ეგონა, მაგრამ გონს რომ მოვიდა, უმალ მიცნო. ეგ კი არა, შოკიდან გამოსული ცოტა ხუმრობის ხასიათზე დადგა. ილიუმჟინოვს ნახევრადხუმრობით, ნახევრადსევდიანად უთხრა, „კირსანჩიკ, კაკოი ია ვამ პრაზდნიკ ისპორტილა“-ო. საჭადრაკო ტურნირს გულისხმობდა, რომელშიც კირსან ილიუმჟინოვს ათასობით დოლარი ჰქონდა ჩადებული. მადლობა ღმერთს, მაია გადარჩა. ილიუმჟინოვი მართლაც გადაჰყვა მაიას. თბილისშიც ის ჩამოიყვანს. ყალმუხეთში ხალხიც ფრიად შეწუხებული იყო. მაიას მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინა ელისტაში მოღვაწე ჩვენი თანამემამულის, არქიტექტორ გილაშვილის ოჯახმა. სხვათა შორის, ამ კაცის შვილი მოჭადრაკეა და ეტყობა, იგი ყალმუხეთის სახელით იასპარეზებს.

**— „კულისებს მიღმა“ თემებზე საუბარმა გაგვიტაცა, შეჯიბრებებში თქვენი გამოსვლა კი დაგვავიწყდა...**

— მართალს ბრძანებთ, მაგრამ საჭადრაკო დაფის მიღმა იმდენად საინტერესო, ლამაზი და სისხლსავსე ცხოვრება იყო, რომ ეს ბუნებრივიცაა. რაც შეეხება უშუალოდ პაექრობებს, ჩემპიონატში 32 მონაწილე იყო. ერთადერთი უცხოელი იქ მე აღმოვჩნდი. არ გამიმართლა იმ თვალსაზრისით, რომ ტურნირის რაღაც უცნაური სისტემა მოიფიქრეს. რეიტინგი კი არ გაითვალისწინეს, რაღაც ბადეები გააკეთეს და ისე გამოვიდა, რომ ჩემს ჯგუფში ყველა ჩემპიონმა მოიყარა თავი. მეორე ჯგუფში ცნობილთაგან მხოლოდ გალიამოვა და ახალგაზრდები, მესამეში — საშუალო დონის მოჭადრაკეები მოხვდნენ. პირველ ტურში შევხვდი რუსეთის ჩემპიონ დიომინას და ტურნირიდან გამოვთიშე. მეორე ტურში მეორე ჩემპიონი სტიოპოვა გავუყენე მის გზას. მანამდე სტიოპოვამ სხვა ჩემპიონი — მატვეევა გამოაგდო ტურნირიდან. მესამეში ჩემი მეტოქე იყო კოვალევსკაია, რომელიც შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა. მასთან, შეიძლება ითქვას, შემთხვევით წავაგე. ელექტრონულმა საათმა მომატყუა და ისარი ჩამოვარდა მაშინ, როცა ცოტა უკეთესი მდგომარეობა მქონდა. მომდევნო პარტია სტრატეგიულად აუცილებლად უნდა მომეგო. ჰოდა, მოსაგები პოზიცია... ყაიმამდე მივიყვანე და ტურნირს გამოვეთიშე. ამის მიუხედავად ვთვლი, რომ ჩემპიონატში კარგად გამოვედი. მით უმეტეს, ყველა ძლიერ მოჭადრაკეს ვეთამაშე.

ამის მერე იყო ის ჩემპიონთა ტურნირი, სადაც მე და რუსეთის სამმა ჩემპიონმა ვითამაშეთ. ტურნირის პირველ ნახევარში მე 1,5 ქულით წინ უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ საოცარი პოზიციები გავაფუჭე იგივე კოვალევსკაიასთან, დიომინასთან. ამიტომ ტურნირის მეორე ნაწილში დანაკარგებით შევედი. აქ კარგად დავიწყე — ქულანახევარი ავიღე, მეტოქეებმა კი თითო ქულა დააგროვეს. ამ დროს ზაიცევასთან მანამდე ორი პარტია მოგებული რომ მქონდა, მასთან მანამდეც ბევრჯერ მითამაშია და ჩემთან არასოდეს გაუმარჯვია, წავაგე. საშინლად ცუდად ვითამაშე. სისულელე მომივიდა. შეგიძლიათ პირდაპირ ასე დაწეროთ.

იმ ტურში კოვალევსკაიამ მოიგო და 0,5 ქულით დაწინაურდა. ამიტომ მასთან მოგება ჰაერივით მჭირდებოდა. მასთან კლასიკურ ვარიანტში ვთამაშობდი. შავებით ჩემს ვარიანტებზე რაღაც ინტერპრეტაციებით მივდიოდი, რადგან მეტოქეზე ინფორმაცია არ მქონდა. ფაქტობრივად გამოვიცანი, თუ რა წყობას გააკეთებდა მეტოქე. მერე პოზიცია შევცვალე და ერთი გაგრძელება ვამჯობინე. კოვალევსკაიამ უზუსტესი სვლები გააკეთა. მერე ისე შეტრიალდა საქმე, რომ მოგებაზე კი არა, პარტიის გათანაბრებაზე მომიწია ფიქრი, მაგრამ ველარ შევძელი. საბოლოოდ პირველი ადგილი კოვალევსკაიამ მოიპოვა. მე მეორე ვიყავი, დიომინა — მესამე. ზაიცევა კი ბოლო ადგილზე დარჩა.

აღსანიშნავია, რომ სამივე საჭადრაკო ოლიმპიადებზე მოსახვედრად იბრძოდა. ზაიცევა შარშანდელი ოლიმპიური გუნდის წევრი იყო, დიომინა მანამდე იყო ნაკრებში, კოვალევსკაია კი ალბათ წლევანდელ გუნდში მოხვდება.

**— საბოლოოდ კმაყოფილი ხართ?**

— როგორ გითხრათ, ერთის მხრივ შეიძლება კმაყოფილი ვიყო, მეორეს მხრივ — არა, მაგრამ მთლიანობაში იქიდან ფრიად ნასიამოვნები დავბრუნდი.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი მეთოთხმეტე

# როკი V
# მოკრივის ნაამბობი

იყო ასეთ დრო, არცთუ დიდი ხნის წინათ. სლაი, ამერიკის თეთრი ლეგენდას ქმნიდა. ის ქმნიდა ისტორიას თეთრკანიანი მოკრივის, როკი ბალბოას შესახებ. სლაი, იგივე სილვესტერ სტალონე, თითქოს სარინგო ვაჟკაცობის უკანასკნელ დიდ მითს თხზავდა მსოფლიოსთვის.



სტალონე და მორისონი ერთად ვარჯიშობენ

ამბავი ფილადელფიის, მარადიული სიყვარულის ქალაქის ჭუჭყიან ქუჩებში იწყებოდა. მერე კი როკი ბალბოას ამერიკის დროშის ფერებით გაწყობილი ტრუსები ეცვა. მერე როკი ბალბოას ძეგლს ქალაქის შუაგულში დგამდნენ. ეს იყო საოცრად მეტყველი, საუცხოოდ გათამაშებული საკრივო ისტორია. ამბობდნენ, რომ როკი ბილბოას შორეული პროტოტიპი როკი მარჩიანოა, მის მოწინააღმდეგესა და მეგობარს აპოლო კრიკს კი მუჰამედ ალის თვისებები შეუძენია. აქ არის ფილადელფიის საკრივო სარდაფები, აქ არის სათნო მეუღლე და მხიარული შვილი, ბრძენი მოხუცი მწვრთნელი (რომელიც, ასევე დიდ საკრივო მოძღვართა სახელებს გაგვახსენებს და აქ



სლაი და ტომი „როკი V“-ის გადაღებაზე

არის ნაძველბიჭარი მასაჟისტი. ეს ძველი, თბილი და ამაღელვებელი ისტორიაა.

„როკის“ პირველ სამ ფილმს, მეოთხე, ანტისაბჭოურიც მოჰყვა და თითქოს ისტორიაც დასრულდა, გამარჯვებულმა ბილბაომ რინგი მიატოვა და მშობლიურ ქალაქში დაიდო ბინა ოჯახთან ერთად. მაგრამ განა მოკრივეს შეუძლია ადამიანურად იცხოვროს? განა შეუძლია თავის მილიონებს გაუფრთხილდეს? კვლავ ფილადელფიის ჭუჭყიან გარეუბანს ვხედავთ. ტყავის ქურთუკსა და შავ შლაპაში გამოწყობილი როკი ღარიბ მოქალაქედ ქცეულა. ვერავინ გააიგივებს როკი კაცსა და როკი ქანდაკებას. გადამდგარი ჩემპიონი კი თავისავით თეთრ ბიჭს იპოვნის და ჩემპიონად აქცევს. მაგრამ ჰეი, განა კრივს მხოლოდ ოსტატობა ჰყოფნის? მოწაფე, რომელსაც ტომი განი ჰქვია, მოძღვარს შრომას არ უფასებს და როკიც ქუჩაში არკვევს ურთიერთობას სულმდაბალ შეგირდთან. როკი ბალბოა, დიდი თეთრი მითი, ღარიბი, მაგრამ გამარჯვებული რჩება...

ასეთია მეხუთე „როკის“ შინაარსი. ჩვენთვის კი ის უნდა იყოს საინტერესო, რომ როკის შეგირდს ნაღდი და პოპულარული მოკრივე ტომი მორისონი ასახიერებს. ტომი მორისონი ტომი განის როლში.

ეს მოგონებაც ტომიმ დაწერა.

ალბათ, საინტერესოა, როგორ თამაშობენ მოკრივენი მოკრივეებს.

### მე, როკის წინააღმდეგ

„ჯეკსანვილში უნდა მეჩხუბა დეივ ჯეკოუს წინააღმდეგ. ეს იყო 1989 წლის სექტემბერში, ფლორიდის საუცხოო ამინდების ჟამს. ჩემმა ერთ-ერთმა მენეჯერმა ბილ კეიტონმა სასტუმროში დამირეკა და მითხრა, რომ სერიოზული საქმე აქვს. დაბლა, ბარში ჩაველი და ბილმა ის წერილი ააფრიალა „ემჯიემ“-ის სტუდიიდან რომ მიეღო. მე არც ვიცოდი და ჰოლივულის ხალხთან დაახლოებულ ბილს ჯერ კიდევ ზაფხულში შეეტყო, რომ სილვესტერ სტალონე „როკის“ მეხუთე ფილმს იღებს და მოკრივეს ეძებს ერთ-ერთი მთავარი როლისთვის. ბილს ჩემი ბრძოლები და ინტერვიუები ერთ კასეტაზე გადაეწერა და „ემჯიემში“ გაეგზავნა. ახლა კი პასუხი მოსულიყო — ეგ ბიჭი ჩვენსა ჩამოვიდეს გასინჯვაზეო.

არც კი ვიცოდი რა მეფიქრა. ძალიან ამაღელვა ამ ამბავმა. ეგეც არ იყოს და, არანაირი სამსახიობო გამოცდილება არ გამაჩნდა. რად მინდოდა იმ ჰოლივუდელ ხალხთან შერცხვენა და უაზრო ბლუკუნი?

ბილმა ისიც მითხრა, რომ როლზე 850 კაცი გასინჯესო და ყველა დაიწუნეს. ამის შემდეგღა გადაწყვიტეს, რომ ნამდვილი მოკრივე ეპოვნათ. კულტურისტები, ბერძნულ ღმერთებს დამგვანებული ხალხი, ნამდვილი მსახიობები დაიწუნეს და ბურდღუნა ტომი მოეწონებოდათ?

ჯეკოუსთან ბრძოლის შემდეგ შინ, კანზას-სიტიში დაბრუნება მქონდა განზრახული, მაგრამ დილითვე დამირეკეს ჯექსონვილში და გამომიცხადეს ლოს ანჯელესში უნდა ჩამოფრინდე სალაპარაკოდო. ამან მთლად ამათრთოლა, მაგრამ ტლინკების ყრას ხომ არ დავიწყებდი?

იქ რომ ჩავფრინდი „ბევერლი ჰილს ჰოტელში“ მომცეს ბინა და „როკის“ რეჟისორი ჯონ ევილდსენი მეწვია. სტალონე „ტანგო და კეშის“ გადაღებებს ასრულებდა და არ ეცალა. ევილდსენმა არც აცია, არც აცხელა, დიდი რვეული მომაჩეჩა და მიბრძანა, ხმამაღლა წაიკითხეო.

მერჩივნა მოვმკვდარიყავი.

კითხვა დავიწყე და მერე რეჟისორმა მითხრა, აბა ახლა გამოთქმით წაიკითხეო.

„კარგი, კარგი“, წავიბურტყუნე მე და რაღაც სულელური ინტონაციით დავიწყე კითხვა. ბევრი სიტყვის მნიშვნელობა არც კი მესმოდა.

მეგონა, რომ რაღაც გამომივიდა. მაგრამ კანზას-სიტიში რომ მოვფრინავდი, მტკიცედ მჯეროდა, რომ არ ამიყვანდნენ. თუმცა, ჰოი საკვირველებავ და ორ კვირაში სამსახიობო ოსტატობის მასწავლებელი არ გამომიგზავნეს? კიდევ ორ კვირას ოფლი ვღვარეთ, მეც და იმანაც. თუმცა, ეს კაცი კმაყოფილი დარჩა.

ოქტომბრის თვეში ფინიქსში ვიბრძოლე ჰარი ტერელის წინააღმდეგ. ოფლი არც შემშრობოდა, რომ უკვე თვითმფრინავში ვიჯექი და ლოს ანჯელესისკენ მივფრინავდი — იქ სასინჯი გადაღებები მელოდა.

იქ პირველად შევხვდი სილვესტერს, პირველად ვითამაშე მასთან ერთად და პირველად ვიდექი კამერების და ილუმინატორების წინ. ერთი სცენა გავითამაშეთ და ვიფიქრე რომ ურიგოდ არ გამომივიდა. ორ კვირაში დამირეკეს, მილოცვით დაიწყეს და მითხრეს: „თქვენ სამუშაო მიიღეთ“.

მსახიობობა კრივს ჰგავს, რაც უფრო მეტს თამაშობ, მით უფრო მოგდის მუღამი.

პირველი სცენა, რომელიც გადავიღეთ დიდი საჩემპიონო ჩხუბისა იყო. დარბაზში 15 ათასი კაცი შეეყარათ და ისინიც ბღაოდნენ, წიოდნენ და კიოდნენ. მე უპირატესობას ვგრძნობდი სხვებთან შედარებით, რადგან ეს დადგმული გარემო ჩემთვის ჩვეული იყო. ხალხთან გაჩვევამ ხელ-ფეხი გამიხსნა და კარგადაც გავისარჯე.



კვლავ ერთად, ფილადელფიაში ბალბოას ძეგლის წინ

სტალონე ნაღდი ჯენტლმენი გამოდგა. „ტანგო და კეშის“ სტუდიის დასათვალიერებლად წამიყვანა და თან ჩემს ორთაბრძოლებზე მიამბობდა. ძალიან გამიკვირდა — თურმე რამდენიმე მათგანი ნანახი ჰქონდა.

მე ვუთხარი, რომ ბიჭობაში მისი ფან კლუბის წევრი გახლდით და „როკის“-ის ცნობილი, შვიდდოლარიანი პლაკატი საწოლთან მქონდა გაკრული. მან არ დაიჯერა, არადა, მართლა უცნაური იყო, ცხოვრებაში ხომ ბევრი საინტერესო რამ ხდება?

როკი სახალხო ჩემპიონი იყო. ის უსწავლელი ფილადელფიელი ბიჭი გახლდათ, ერთი — მილიონიდან. ისეთი, უბანში რომ ჰყვებიან, თავისით გაიტანა თავიო. როცა ის იგებდა, მეგონა, რომ მეც ვიმარჯვებდი. სასაცილოა, მაგრამ კრივში ვარჯიში რომ დავიწყე ათი წლისა ვიყავი. ერთ თვეში კი „როკის“ პირველი ფილმი გამოვიდა. ამ ფილმის ნახვის შემდეგ მოსვენება დავკარგე. „როკი IV“ რომ ვნახე კინოთეატრში, გულს ველური განცდები შემომეჯარა. მომინდა, მეც ასევე მევაჟკაცა ვილაცის წინააღმდეგ. გამიმართლა.

მე ტომი განის როლს ვთამაშობდი. ეს არ იყო საძნელო საქმე. თავიდანვე მითხრეს, შენი თავი ითამაშე, თუმცა ამაზე ძნელი არაფერიაო. არადა, მე პირიქით მომეჩვენა. ჩემი გმირი ოკლაჰომელი იყო, ჩემსავით ტომი ერქვა, ღარიბ უბანში იყო გაზრდილი და მთელი თავისი დანაზოგით ფილადელფიაში მიმქროლავი თვითმფრინავის ბილეთი ეყიდა, რათა იქ თავის კერპს, როკი ბალბოას შეხვედროდა. მე შევედრებოდი მას. კოლეჯის გუნდში ფეხბურთს ვამაშობდი, როცა ჩემმა მენეჯერმა ჯონ ბრაუნმა ძალით წამიყვანა კანზას-სიტის „ოქროს თათმანის“ ტურნირზე.

მაგრამ ფილმის ბოლოს ტომი განი თავხედი ხდებოდა. ყოვლისშემძლე პრომუტერის ფულმა ცხვირი ააწევინა და ლიმუზინებისა და მეძავების სამყაროში გადაისროლა. ამ შემთხვევაში მე მას არ ვგავდი.

ფილმის შინაარსით მძიმე წონის ჩემპიონი ვხდებოდი და ეშმაკმა წამილოს, ეს ძალიან მსიამოვნებდა. მაგრამ საკუთარ თავს იმასაც ვეუბნებოდი, რომ ამას ვერასოდეს მოვახერხებდი. განა სურვილი არ მქონდა? მაგრამ გარშემო ძალიან ბევრი მაგალითია, ცუდ ხასიათზე რომ დაგაყენებს. ტაისონი — განა მის შესახებ არ იყო ჩვენი ფილმი? განა მე ტაისონს არ ვასახირებდი? არ უნდა გაექცე იმ ხალხს ვინც ოლიმპზე აგიყვანა.

მე თუ მკითხავთ, ტაისონმა სახეში შეაფურთხა იმ ხალხს ვინც ის კაცად აქცია. 13 წლისა იყო როცა გზაზე დააყენეს და ჩემპიონობისაკენ გაუძღვნენ. მან კი ყველას მოშორება გადაწყვიტა. „როკი V“ ნამდვილ ცხოვრებაზე გვიამბობდა.

მე და სტალონეს არ გვიჩხუბია ამ ფილმში. მას არ უნდოდა თავისი მონაწილეობით სარინგო სცენის გადაღება. ოთხი „როკის“ შემდეგ ოფლიან კაცებთან ჭიდაობა აღარ შემიძლიაო, ხუმრობდა.

საკრივო სცენები ძნელი არ იყო. დარტყმით მხოლოდ ჰაერს ვურტყამდი. ჩემი მეწყვილე ძველი მოკრივე მაიკ უილიამსი იყო. მაიკს ბასტერ დუგლასთანაც კი ჰქონდა გადახდილი ომი და რა პრობლემა უნდა გვქონოდა. მის გმირს იუნიონ კეინი ერქვა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს სწორედ მას ვართმევდი. საკრივო სცენებს ჰოლივუდელი ბიძები დგამდნენ. მათ ერთხელაც არ ეკრივათ ცხოვრებაში, მაგრამ თავიანთი საქმე კარგად იცოდნენ. ჩვენ შეხმატკბილებით ვმუშაობდით. მათი მთავარი ამოცანა ის იყო, რომ ჩვენთვის ტყუილი დარტყმების ნაღდ დარტყმებად მოჩვენების საიდუმლო ესწავლებინათ. ფილმი გაიხსენეთ, მგონი, კარგი მოსწავლეები ვიყავით.



ახლა ტომი მორისონი ასეთია

სწრაფი დარტყმების სცენებს რომ ვიღებდით, რვაათი სპარინგი გვყავდა. ამ ბიჭებს დაჯავშნულ სხეულში ვცემდით მუშტებს, ოღონდ, მესამედი ძალით ვიქნევდით. როგორც კი ამ ბიჭებს მოვცხებდით, იმწამსვე იატაკზე გაიშხლართებოდნენ, აქაოდა, ძალიან გვეტკინაო. მხოლოდ ორი მათგანი იყო ისეთი, თავიც რომ არ გაუნძრევია დარტყმის შემდეგ. ვფიქრობ, მათ უფრო სტკიოდათ. სხვები კი ამბობდნენ, ყბები დაგვემტვრაო. გადაღებები რომ დასრულდა, ტრაბახსაც კი მოჰყვნენ, მორისონი და უილიამსი გავლახეთო. ღმერთმა გაუმარჯოთ! მე ვცდილობდი არაფერი სტკენოდათ და თურმე პირიქით უნდა მოვქცეულიყავი.

მე ვფიქრობ, რომ სილვესტერმა საუცხოო სიუჟეტი მოიფიქრა. ის ძალიან ცხოვრებისეული იყო და მაიკ ტაისონის ამბავზე გახლდათ დაფუძნებული. აქ გულლია, ალალი კაცის ამბავია მოთხრობილი. იმას, ვინც საკრივო სამზარეულოს იცნობს, ეს ფილმი ბევრ რამეს მიახვედრებს. დონ კინგი და ტაისონი მშვენივრად მიხვდებიან ქვეტექსტს. ფილმი გვიჩვენებს რას უშვრება ჯიბესქელი კაცი სუსტი ხასიათის კაცს. კრივის ხალხს სახელები არ სჭირდება.



ასე იბრძოდა ტომი განი

კრვის ხალხი ისედაც ხვდება ამას.

სტალონე მახვილგონიერი კაცია. ის მხოლოდ მსახიობად იყო ფილმში და იმდენი რამ მოიფიქრა, რომ ვფიქრობდი რეჟისორი რაღა საჭიროა-მეთქი. ის და ჯონ ევილდსენი საოცრად უგებდნენ ერთმანეთს. ეს მათი ერთობლივი საქმე იყო. სტალონემ თამამ კაცად მაქცია გადასაღებ მოედანზე. თუკი რაიმე გამიჭირდებოდა, ის გვერდით იყო.

მოუღლელად მუშაობდა და არც მიკვირს მისი სიმდიდრისა.

გადაღებები რომ დასრულდა რინგს დავუბრუნდი. ატლანტიკ სიტიში უნდა მეკრივა ჯონ მორტონის წინააღმდეგ.

რინგზე გასულმა აღმოვაჩინე, რომ ხალხს დავავიწყდი. უფრო სწორად, მათ ეგონათ, რომ რინგს არასოდეს დავუბრუნდებოდი და ვიტყოდი: „შემეშვით ამ თქვენი მუშტებით, ჰოლივუდში მივდივარ“. სიმართლე ითქვას და ეს ბევრი მძიმეწონოსნის ოცნებაა. მაგრამ როცა კრივის სიყვარული სისხლში გაქვს, ეს საქმე არ გამოვა. მე მიყვარს ბრძოლა, მე თავს კარგად ვგრძნობ რინგზე.

ფილმი კი ძალიან დამეხმარა რინგზე. რაღაც შინაგანი ძალა შემმატა. თანაც, მავანნი გააბრაზა, უეჭველად უნდა ვცემოთ ეს მსახიობიო. ჩემი ყოველი ჩხუბი საჩემპიონოს ემსგავსება.

თუკი ოდესმე მომიწევს საჩემპიონო ბრძოლა, დარწმუნებული ვარ, „როკი“ გამახსენდება. ყოველთვის, როცა მუშტებს შევკრავ ხოლმე ვფიქრობ: „არ წაიქცე ტომი“ და დამიჯერეთ, მხოლოდ ჩხუბს არ ვგულისხმობ“...

* * *

ეს მოგონება ტომი მორისონმა 1991 წელს დაწერა. მისი საკრივო წინსლვა არ იყო ეფექტური და არც ტიტულისთვის უბრძოლია, მაგრამ ერთხანს საუკეთესო მძიმეწონოსანთა ათეულში ირიცხებოდა და ორიოდე ყოფილ, თუ მომავალ ჩემპიონსაც კი შეხვდა.

სადღეისოდ კი ტომი მორისონს რინგზე გასვლა აკრძალული აქვს, რადგან მას შიდსის ვირუსი აღმოაჩნდა სისხლში და ეს მოგონებაც უფრო ამიტომ იძენს გამორჩეულ ელფერს.

# '98 NHL Playoffs

## ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ. ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

**ბუფალო 1 ვაშინგტონი 2**

28 მაისი

**ბუფალო — ვაშინგტონი 3:4**

**(1:2, 2:1, 0:0, 0:1)**

**შაიბები: ბონდრა 4 (ნიკოლიშინი, ზედნიკი 5) (0:1), ზედნიკი 5 (ბონდრა, ნიკოლიშინი 11) (0:2), ოდეტი 5 (ვული, პრიმო 15) (1:2), ბარნაბი 7 (გროშეკი, შმეჰლიკი 22), ჰოლცინგერი 4 (სანდერსონი, ოდეტი 33) (3:2), ზედნიკი (ნოკოლიშინი, იოჰანსონი 37) (3:3), ბონდრა 5 (ტინორდი 70) (3:4)**

ვაშინგტონის სლოვაკი ფორვარდი პეტერ ბონდრა გარდა იმისა, რომ ბრწყინვალე სნაიპერია, დიდი ფსიქოლოგიც ყოფილა — მესამე მატჩის წინ მან თავის ახალგაზრდა პარტნიორსა და თანამემამულეს რიხარდ ზედნიკს უთხრა, რომ განსაკუთრებული მონდომება და შემართება მართებდათ, რადგან შეხვედრას მათ სამშობლოში უჩვენებდნენ ტელევიზიით. იქნებ ამანაც განაპირობა, რომ ბონდრა-ზედნიკისა და ანდრეი ნიკოლიშინის სამეულმა მასპინძელთა დაცვას შავი დღე აყარა. სწორედ ბონდრას ზუსტი დარტყმის შემდეგ ვაშინგტონმა ზედიზედ მეორედ მოუგო ბუფალოს ოვერტაიმში და წლევანდელ პლეი ოფში შინ მარცხი პირველად განაცდევინა. საერთოდ, ოთხივე გოლი ამ სამეულმა გაიტანა და 9 ქულა მიითვალა. არადა, „კეპიტალსისთვის" ეს თამაში ერთობ რთული გამოდგა და იყო მომენტები, როცა ვერავინ იფიქრებდა, რომ შეხვედრა მათთვის ასე იღბლიანად დასრულდებოდა. ბუფალოელებმა მატჩის დასაწყისშივე სცადეს, მეტოქე თავისივე ზონაში ჩაეკეტათ, მაგრამ დაცვაში ორი უხეში შეცდომა დაუშვეს (ერთხელ ჰაშეკიც შეცდა). სტუმრებმა ამით ისარგებლეს და მოულოდნელად კიდეც დაწინაურდნენ 2:0, მაგრამ „ხმლებმა" სიმშვიდე შეინარჩუნეს და ვაშინგტონელთა შევიწროება განაგრძეს. განსაკუთრებით პლეი ოფის აღმოჩენა — ბარნაბი გამოირჩეოდა, რომელიც ოლაფ კოლციგის კარსაც უტევდა და ჩხუბსაც გვარიანად ახერხებდა. საბოლოოდ მეორე პერიოდის დასაწყისშივე სწორედ მან გაათანაბრა ანგარიში და ბუფალოელების იმედსაც ფრთა შეესხა. რაღაც ათიოდ წუთში ჰოლცინგერს წინ გაჰყავს თავისიანები და სტუმრები თითქოს მარცხს უნდა შეეგუონ, მაგრამ მასპინძლებს ძალა აღარ ეყოთ. გამოცდილმა ვაშინგტონელებმა თანდათან ხელთ იგდეს უპირატესობა. მათ ჯერ კიდევ მესამე პერიოდში შეეძლოთ, მატჩის ბედი გადაეწყვიტათ, მაგრამ ჩინებულად თამაშობდა ჰაშეკი. და მაინც ჩეხმა ვერ გაუძლო სლოვაკთა დუეტის შეტევას.

**ᲡᲐᲛᲕᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ**

## ᲚᲔᲛᲔᲠᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ნიუჯერსელთა ზედიზედ მეორე საპლეიოფო კატასტროფის შემდეგ „ეშმაკთა" სათამაშო კონცეფციის, უგრეთ წოდებული „ტრეპ-სისტემის" სულისჩამდგმელმა, ცნობილმა სპეციალისტმა ჟაკ ლემერმა მწვრთნელობიდან განთავისუფლება მოითხოვა. გუნდს მისი მთავარი ასისტენტი რობ ფტორეკი გაუძღვება, რომელიც 1987-89 წლებში ლოს ანჯელესს თავკაცობდა.

ოლიმპიზმი

# ᲮᲣᲗᲘ ᲠᲒᲝᲚᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲯᲐᲭᲕᲣᲚᲜᲘ



ჯანო ბაგრატიონი, დიორდ ნანოვსკი, სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი და იოჟეფ ოლჩვარი

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს სტუმრობდა უნგრეთის ელჩი რუსეთსა და საქართველოში ბატონი დიორდ ნანოვსკი. სეოკ-ის პრეზიდენტს ჯანო ბაგრატიონსა და დიორდ ნანოვსკის შორის გაიმართა საუბარი, რომლის ძირითადი თემა იყო ორი ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტებსა და სპორტულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის საკითხები. კერძოდ, გამოიკვეთა სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის უნრგელი და ქართველი სპორტსმენების ერთობლივი მზადების, სპორტსმენთა ეკიპირების, საინფორმაციო ბუკლეტისა თუ ოლიმპიურ თემატიკაზე პოპულარული წიგნების გამოცემის შესაძლებლობანი და სხვა საკითხები. გამოითქვა სურვილი სპორტული ბიზნესსა და სპორტულ მარკეტინგში უნგრელთა გამოცდილების საქართველოში გავრცელების თაობაზე.

საქართველოსა და უნგრეთის ოლიმპიურ და საერთოდ სპორტული სფეროს წარმომადგენლებს ამგვარი ურთიერთთანამშრომლობის მეტ-ნაკლები გამოცდილება აქვთ. ამ მხრივ საქართველოს ეოკ-ი მადლიერია ჩვენი სტუმრებისა. ამის დასტური გახლდათ ისიც, რომ ბატონ დიორდ ნანოვსკისა და იოჟეფ ოლჩვარს, რომელიც ეკონომიკურ საკითხებში ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მრჩეველია და საელჩოს თანამშრომლებთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობდა, ჯანო ბაგრატიონმა გადასცა სეოკ-ის სიგელები უნგრეთისა და საქართველოს სპორტულ და ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისთვის.

ასე რომ, ორი ქვეყნის ოლიმპიური თანამშრომლობა ამ ხუთრგოლიანმა სიგელებმაც გადაჯაჭვა.


PLASPAN
ლასპანი
მეტალოპლასტიკის
კარ-ფანჯრები,
ტიხრები, ვიტრაჟები
მისამართი: თბილისი, მექანიზაციის ქ. №1 (სს „ავტომშენებლის" ტერიტორიაზე)
ტ. 66-21-60
8-77-40-17-01




# ᲡᲣᲞᲔᲠᲛᲐᲠᲘᲝ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

ნჰლ-ის „დიდების დარბაზის" წევრი, პიტსბურგის სუპერფორვარდი მარიო ლემიე ერთწლიანი შესვენების შემდეგ, შესაძლოა, კვლავ დაუბრუნდეს ყინულს. ამის მიზეზი 35 მილიონი დოლარი გახლავთ, რომლის გადახდაც მარიოს წასვლის გამო დაგვიანდა. კანადური გაზეთის, „Toronto Sun"-ის თქმით, ამ თანხას პიტსბურგის ყოფილი მფლობელის ჰოვარდ ბოლდუინის და ლემიეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა, მაგრამ ბოლდუინი წავიდა, მის ადგილას მისულმა როჯერ მარინომ კი პასუხისმგებლობას თავი აარიდა. ამასობაში საქმე სასამართლოს გადაეცა, რომლის შესაძლო გადაწყვეტილებადაც მარიოს უფრო მდიდარ კლუბში გადასვლას მიიჩნევენ. უმთავრეს კანდიდატად „ნიუ იორკ რეინჯერსს" ასახელებენ.

თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ინფორმაცია მცდარია. მართალია, მარიო ლემიემ უჩივლა ნჰლ-ის მოთამაშეთა ასოციაციას იმის გამო, რომ მას შეპირებულ თანხას არ უხდიან, მაგრამ საუბარია არა 35, არამედ 5 მილიონ დოლარზე. გარდა ამისა, პიტსბურგის ამჟამინდელი მფლობელი როჯე მარინო თავს სულაც არ არიდებს პასუხისმგებლობას, იგი მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ ფულის გადახდის ვადა გაგრძელდეს. ამიტომ ლემიეს აგენტის, ტომ რაიხის თქმით, მის კლიენტსა და პიტსბურგის ყოფილ მფლობელს არანაირი საიდუმლო მოლაპარაკება არ გაუმართავთ, ხოლო „THE TORONTO SUN"-ის ცნობა იმის თაობაზე თითქოს სუპერმარიო აგრძელებს კარიერას, სრულიად უსაფუძვლოა.

შეგახსენებთ, რომ ლემიე ნჰლ-ის ისტორიაში მეექვსე მოთამაშეა, რომელსაც ჰოკეისთან დამშვიდობებისთანავე ერგო „დიდების დარბაზში" არჩევის პატივი.

ველოსპორტი

# ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘᲐ

მე-12 ეტაპი სან მარინოდან კაპრიმდე. 202 კმ.

მეთორმეტე ეტაპზე დიდი ამბები დატრიალდა: ოციოდ მრბოლი პელეტონს დასაწყისშივე გაექცა და მდევართა არაერთი ცდის მიუხედავად, უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. ჰოდა, ამათ შორის რამდენიმე არცთუ წყალწაღებულიც აღმოჩნდა და ძველ ლიდერთათვის მოგებული 2 წუთი და 22 წამი საერთო ჩათვლაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მოსახდენად სრულიად საკმარისი გამოდგა. 202 კილომეტრიანი ეტაპის საფინიშო სპურტზე „მუდმივ მეორეადგილოსნად" ცნობილმა ფრანგმა ლორან რუმ რუს სერგეი სმეტანინსა და იტალიელ ჯერმანო პიერდომენიკოს აჯობა, 12-წამიანი „ბონუსიც" გაახერხა და, თავისდა გასაკვირად, ლიდერის ვარდისფერი მაისურიც მოიზომა. მეორე ადგილზე საერთო ჩათვლაში იტალიელი ანდრეა ნოე გადაბრაგდა, შვეიცარიელი ალექს ცულე კი პირველიდან მესამეზე დაეშვა.

**მე-12 ეტაპი: 1. ლორან რუ — 4:37,08; 2. სერგეი სმეტანინი — იგივე დრო; 3. ჯერმანო პიერდომენიკო +2; 4. მარტინ ჰვასტია (სლოვენია) +6; 5. პაოლო ლაფრანჩი (იტალია) — იგივე დრო.**

მე-13 ეტაპი. კაპრიდან შიომდე. 166 კმ.

ცვლილებებისა და მოულოდნელობების გარეშე არც თარს მე-13 ეტაპს ჩაუვლია. ბოლო კილომეტრებზე ერთ-ერთ მოსახვევში ჯერ ჯიროს ერთი ფავორიტი — იტალიელი მარკო პანტანი გადაეშვა ბუჩქებში, მას კი მალე ალექს ცულეც მიჰყვა. ტრასაზე დაბრუნება და რბოლის გაგრძელება მათაც მოახერხეს და სრიალა გზის კიდევ ერთმა მსხვერპლმა, ჯიროს შარშანდელმა გამარჯვებულმა ივან გოტიმაც. საერთო ჩათვლაში კი ლიდერი ისევ შეიცვალა — ვარდისფერებში ამჯერად ანდრეა ნოე გამოეწყო.

**მე-13 ეტაპი: 1. მიქელე ბარტოლი (იტალია) — 3:58,02; 2. ჯუზეპე გერინი (იტალია); 3. პაოლო ბეტინი (იტალია) - იგივე დრო; 4. ნოე +3 5. დავიდე რებელინი (იტალია) +16.**

**საერთო ჩათვლა: 1. ნოე — 62:38,14; 2. ბარტოლი +6; 3. ცულე +37; 4. ოსკარ კამენზინდი (იტალია) +37; 5. ხოსე რუის რუბიერა (ესპანეთი) +43.**

**ᲚᲔᲨᲐ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐ**

ავტორბოლა

# ᲫᲐᲜᲐᲠᲓᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ

მედისონში (ილინოისის შტატი), „გეიტუეი ინტერნეშნალ რეისვეის" ტრეკზე გამართულ „ფედექს კარტის" სერიის მე-6 ეტაპი იტალიელი ალექს ძანარდის გამარჯვებით დასრულდა.

საკვალიფიკაციო რბოლა წვიმის გამო (წლეულს უკვე მეორედ) არ შედგა და პილოტები სტარტზე ხუთშაბათს ჩატარებული ვარჯიშის შედეგების მიხედვით განლაგდნენ. ამის გამო პირველი სასტარტო პოზიციისთვის გრეგ მურმა ვერც კუთვნილი ერთი ქულა მიიღო და ვერც პოულის მფლობელისთვის განკუთვნილი „მარლბოროს" პრიზი — 10 ათასი დოლარი. ამ თანხამ მომდევნო ეტაპზე გადაინაცვლა, სადაც პოულის მფლობელი გამარჯვებისთვის 230 ათას დოლარსაც დაისაკუთრებს.

მედისონში კი სტარტზე პილოტები ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ:

1. *მური* (რეინარდ მერსედესი); 2. *ვასერი* (რეინარდ ჰონდა); 3. *კანაანი* (რეინარდ ჰონდა); 4. *ლეჰტო* (რეინარდ მერსედესი); 5. *ფრანკიტი* (რეინარდ ჰონდა); 6. *ანდრეტი* (სვიფტ-ფორდი); 7. *ჰერტა* (რეინარდ ფორდი); 8. *კასტრო ნევეში* (რეინარდ მერსედესი); 9. *ანსერი* (პენსკე მერსედესი); 10. *ფერნანდესი* (რეინარდ ფორდი); 11. *ძანარდი* (რეინარდ ჰონდა); 12. *დე ფერანი* (რეინარდ ჰონდა); 13. *გორდონი* (რეინარდ ტოიოტა); 14. *ფიტიპალდი* (სვიფტ ფორდი); 15. *ტრეისი* (რეინარდ ჰონდა); 16. *კარპენტიე* (რეინარდ მერსედესი); 17. *პრუეტი* (რეინარდ ფორდი); 18. *ბლანდელი* (რეინარდ მერსედესი); 19. *ჰერნი* (სვიფტ ფორდი); 20. *რაჰალი* (რეინარდ ფორდი); 21. *ჯონსი* (რეინარდ ტოიოტა); 22. *ბარონი* (რეინარდ ტოიოტა); 23. *გუგელმინი* (რეინარდ მერსედესი); 24. *პაპისი* (რეინარდ ტოიოტა); 25. *ჟურდენი* (რეინარდ ფორდი); 26. *მაიერი* (ლოლა ფორდი); 27. *რიბეირო* (პენსკე მერსედესი); 28. *ვიტოლო* (რეინარდ ფორდი).

სტარტიდან ვასერი დაწინაურდა. პილოტებს ერთი წრეც არ გაევლოთ, რომ მსაჯებს ჰერნისა და ფრანკიტის ავარიის გამო ყვითელი ალმების გამოფენა მოუხდათ. რესტარტის შემდეგ 43-ე წრემდე ვასერი ლიდერობდა, შემდეგ კი ანდრეტიმ შეძლო მისი გასწრება და 133 წრის განმავლობაში არავისთვის დაუთმია პირველობა. ამ პერიოდში მომხდარმა ავარიებმა მსაჯები აიძულა, კიდევ სამჯერ (სულ 35 წრით) შეენელებინათ რბოლა. ასპარეზობის შუაგულში ანდრეტი 12 წამს უგებდა უახლოეს მდევარს და სიტუაციასაც მშვენივრად აკონტროლებდა, სანამ 172-ე წრეზე ალ ანსერის ბარიერთან შეჯახებას კვლავ ყვითელი ალმების აფრიალება არ მოჰყვა. ამით ისარგებლეს პილოტებმა და ბოქსებს ესტუმრნენ. 175-ე წრეზე ანდრეტი და ძანარდი ერთდროულად შევიდნენ პიტ-სტოპზე, აქ კი იტალიელის მექანიკოსებმა ივაჟკაცეს და თავიანთი პილოტი პირველ ადგილზე დააბრუნეს, ამანაც თავი არ შეირცხვინა და პირველმა გადაკვეთა ფინიში. ანდრეტი მეორე იყო, მური — მესამე. რბოლის შემდეგ გამარჯვებული მეტად ემადლიერებოდა მექანიკოსებს: „მათ შეძლეს ტრასაზე ჩემი ანდრეტის წინ დაბრუნება და სწორედ ამან გადაწყვიტა რბოლის ბედი. ეს მთლად გუნდის გამარჯვება გახლავთ".



ალექს ძანარდი

ძანარდიმ წლეულს მე-2, კარიერაში კი მე-10 გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონატის პირად ჩათვლაშიც 2 ქულით დაწინაურდა.

ეს რბოლა საიუბილეო, მე-100 გახლდათ კანადელი პოლ ტრეისისათვის, მაგრამ მისი „რეინარდ-ჰონდა" მე-2 წრეზევე გამოეთიშა რბოლას. მესამე ადგილზე გასულმა გრეგ მურმა კი წლეულს ყველა რბოლა დაასრულა და ერთადერთი პილოტი გახლავთ, რომელმაც ყველა წრე გაიარა ჩატარებულ 6 ეტაპზე.

**ᲐᲚᲔᲥᲝ ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘ**

### ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

მოტოროლა 300

23 მაისი, მედისონი (ილიონოისი)

გეიტვეი ინტერნეშენალ რეისვეი

დისტანცია

236 წრე — 299,7 მილი

| | | |
|---|---|---|
| 1 | *ძანარდი* (იტალია) 2:32.02,14 (125,725 მილ/სთ) | 20 ქულა |
| 2 | *ანდრეტი* (აშშ) ჩამორჩა 0,573 წმ-ით | 15 |
| 3. | *მური* (კანადა) | 14 |
| 4. | *ვასერი* (აშშ) | 12 |
| 5. | *პრუეტი* (აშშ) | 10 |
| 6 | *დე ფერანი* (ბრაზილია) | 8 |
| 7. | *კასტრო-ნევეში* (ბრაზილია) | 6 |
| 8 | *რაჰალი* (აშშ) | 5 |
| 9. | *ლეჰტო* (ფინეთი) | 4 |
| 10. | *ბლანდელი* (ინგლისი) | 3 |
| 11 | *ფიტიპალდი* (ბრაზილია) | 2 |
| 12. | *ჯონსი* (აშშ) | 1 |

*ანდრეტიმ* 1 ქულა მიიღო ლიდერობისათვის

პირადი პირველობა

1. *ძანარდი* — 87 ქულა; 2. *მური* — 85; 3. *ფერნანდესი* — 55; 4. *ვასერი* — 51; 5. *ანდრეტი* — 49; 6. *დე ფერანი* — 41; 7. *ჰერტა* — 37; 8. *ფრანკიტი* — 26; 9. *კანანი* — 22; 10. *პრუეტი* — 21.

კალათბურთი

## ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ. ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

27 მაისი

**ჩიკაგო 3 ინდიანა 2**

**ჩიკაგო 106:87 ინდიანა**

**ჩიკაგო: ჰარპერი (9), ჯორდანი (29), პიპენი (20), კუკოჩი (19), ლონგლი (7); უენინგტონი (8), ბარელი (4), კერი (4), სიმპკინსი (4), როდმანი (2), ბიუპლერი, ბრაუნი**

**ინდიანა: ჯეკსონი (5), მილერი (14), მულინი (8), დ. დევისი (8), სმიტსი (12); ბესტი (14), ა. დევისი (12), მაკკიი (6), ჰოიბერგი (6), უესტი (2), ფოფი**

ამ სერიაში სტუმარ გუნდს ჯერ არ მოეგო და მატჩსაც ისეთი პირი უჩანდა, ინდიანა დაწინაურებას ვერ შეძლებდა. „მარდებს" იმდენივე თამაში მოეგოთ, რამდენიც წაეგოთ, მაგრამ თუ ხუთგზის ჩემპიონებს შინ ძლივსძლიობით, ბოლო წუთებზე გამოგლიჯეს გამარჯვება, სერიის პირველ, მეორე და მეხუთე თამაშებში ჩიკაგოელთა უპირატესობა აშკარა იყო. ჩემპიონებმა მატჩის სადავეები თავიდანვე ხელთ იგდეს და უკვე ათიოდ წუთში 12 ქულით გავიდნენ წინ. მშვენივრად ირჯებოდა ჯორდან-პიპენის დუეტი — ისინი შეტევაშიც შედეგიანნი იყვნენ და არც დაცვაში გაახარეს სტუმრები. მათი მეცადინეობით ჩიკაგომ პირველი ნახევარი მთელი 25 ქულით მოიგო და მეორეში თავს მოდუნების საშუალება მისცა, მაგრამ ინდიანამ ქულათა ამხელა სხვაობის გაქვითვა ვერ შეძლო, მით უმეტეს, რომ გუნდის ლიდერი, რეჯი მილერი, როგორც ადრე ვწერდით, ფეხის ტრავმას შეუწუხებია. წინა მატჩისაგან განსხვავებით, იგი თავისიანებს ბევრი ვერაფრით დაეხმარა და არც სხვები აღმოჩნდნენ სანაქებონი. ჩიკაგომ ფარიც 46:35 მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ თავჭრელა დენის როდმანმა მისთვის უჩვეულოდ ცოტა, 7 მოხსნა გაახერხა. თამაშის შემდეგ სტუმართა თავკაცმა ლარი ბერდმა დაიჩივლა, ჩვენთვის ძალიან სასარგებლო მოთამაშე ჯალენ როუზი გვაკლდა და მატჩი ამად დავთმეთო. როუზი სათადარიგოს კვალობაზე კარგი მოთამაშე კია, მაგრამ იმ დღეს ჩიკაგოს აწყობილ მანქანას რეჯი მილერმა ვერაფერი დააკლო, როუზი რას შეცვლიდა.

სერიის მეექვსე მატჩი წუხელ ღამით ინდიანაში გაიმართა.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# პაველ ბურე: „ჩემს ძარღვებში ქართული სისხლიც ჩქეფს“

**— და როგორია პირველი შთაბეჭდილებები?**

— ჩინებული. ამას პირფერობით არ გეუბნებით. ასეთ მიღებას და სრულიად უცხო ხალხის მიერ გამოხატულ ასეთ სითბოს რუსეთში, მით უმეტს ამერიკაში ვერ ნახავთ.

არაერთხელ გამეგონა ამის შესახებ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჯობს ერთხელ ნახო, ვიდრე ასჯერ გაიგონო. პირადად ჩემთვის საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა ის, რომ თამაშისას უშიშარი და მეტოქეთა თავს რისხვის დამტეხი პაველ ბურე ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ მორიდებული, უფრო მეტიც, მორცხვი აღმოჩნდა. არ ვიცი, ამას მივაწერო თუ სხვა რამეს, მაგრამ ფაქტია, რომ ცნობილმა ჰოკეისტმა თავისი სტუმრობის მიზანი ბოლომდე არ გაგვანდო, თუმცა ჩვენ იგი სხვა, სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ და მის შესახებ თქვენც მოგახსენებთ: ბურე საქართველოში თავისი ბიზნესის საქმეებზე ჩამოსულა. აი ასე! ცნობისათვის: ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე უკვე იყიდება პაველ ბურეს მიერ გამოშვებული ელიტარული საათები (იგი ცნობილი პაპის საქმიანობას აგრძელებს), რომელთა ფასი 27-დან 40 ათას ამერიკულ დოლარამდე მერყეობს! თუმცა ისე არ გაიგოთ, თითქოს ბურე თბილისშიც ანალოგიური საქმიანობის წამოწყებას აპირებს. მას სხვა გეგმებიც აქვს, რის გამოც ჩვენს სტუმარს უამრავი ქართველი ბიზნესმენი ეწვია. ასეა თუ ისე, პაველ ბურეს ამ საკითხზე არაფერი უთქვამს და არც ჩვენ ჩავძიებივართ.

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თავდაპირველად თქვენ სასტუმრო „შერატონ პალასში“ მიგიყვანეს, მაგრამ იქ დარჩენა არ ისურვეთ. ალბათ, უკეთეს სასტუმროებს ხართ მიჩვეული?**

— სრულებითაც არა. საქმე ამაში არ არის. უბრალოდ, იქ მეტად ხალხმრავალი ადგილი იყო. მე კი ყურადღების ცენტრში ყოფნა არ მსურდა. ხომ გითხარით უკვე, რამდენიმე დღით დასვენება მსურს-მეთქი. თუმცა თქვენ მაინც მომაგენით.

**— მცირე ხნის წინ ბორის ელცინმა ღირსების ორდენით დაგაჯილდოვათ. პირადად თუ გაესაუბრეთ რუსეთის პრეზიდენტს?**



„რუსული რაკეტა“ საქმეში

— იცით, ეხლა ელცინს ბევრი აკრიტიკებს. მე კი მას პატივს ვცემ, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ჩემი ხალხის მიერ არის არჩეული, ამიტომ დაჯილდოების ცერემონიალზე ელცინთან ხანმოკლე გასაუბრებამ ძალიან გამახარა. პრეზიდენტმა მხურვალედ მომილოცა საპატიო ჯილდოს მიღება და მთხოვა, გადამეცა NHL-ში მოთამაშე ყველა რუსი ჰოკეისტისათვის, რომ იგი აღტაცებულია მათი გამოსვლებით და მადლობას უხდის მონდომებისა და თავდადებისთვის.

**— მართალია, შევთანხმდით, რომ ჰოკეიზე არ ვისაუბრებდით, მაგრამ რამდენიმე კითხვას მაინც დაგისვამს. რატომ არ მიიღეთ მონაწილეობა წლეულს შვეიცარიაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

— მართალია, ჩემი კლუბი, „კენაქსი“, პლეი-ოფშიც კი ვერ მოხვდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, შვეიცარიაში მაინც არ წავსულვარ, რადგან გუნდთან მქონდა ასეთი შეთანხმება. პლეი-ოფში მოხვედრის შემთხვევაში კი ორიოდე თამაშის ჩატარება შემეძლო ნაკრებში. ასეთი პირობა დავდე და მისი დარღვევა არ შემეძლო. მსგავსმა პრობლემებმა ბევრ რუს ჰოკეისტს შეუშალა ხელი, თუმცა მიმაჩნია, რომ მომავალი ოლიმპიადისთვის მაინც შევძლებთ ძლიერი გუნდის შეკრებას და რევანშსაც იქ ავიღებთ.

**— როგორი იყო თქვენთვის გასული სეზონი?**

— პირადად ჩემი თამაში დაღონების საბაბს არ მაძლევს, კარგად ითამაშა ნაკრებმაც, რომელმაც ოლიმპიური თამაშების ფინალში გააღწია. რაც შეეხება ჩემს კლუბს, აქ აშკარად დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაქვს. ჩვენ პლეი-ოფს მიღმა დავრჩით. არადა, პირდაპირ ვიტყვი, ჩემთვის კლუბი ყოველთვის პირველ ადგილზე იყო.

**— ვიცი, რომ საქართველოს თასის ფინალს დაესწარით. ეტყობა, ფეხბურთიც გიტაცებთ.**

— იქნებ უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ჰოკეისგან თავისუფალ დროს მე მაინც სპორტით ვარ დაკავებული. ძალიან მიყვარს ფეხბურთი, თუმცა ჩოგბურთს ვამჯობინებ და ძირითადად სწორედ ჩოგბურთს ვთამაშობ.

**— 27 წლის კაცისთვის დაოჯახება ალბათ არ არის ადრე...**

— მართლა? მე კი მიმაჩნია, რომ ამისთვის საუკეთესო ასაკი 30 წელია. ეს საკითხი პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენს და თავის დროზე ალბათ ადვილად გადაიჭრება.

**— როგორ წარმოგიდგენიათ საუკეთესო მეუღლე და რა არ მოგწონთ ქალში?**

— მეუღლე, უპირველეს ყოვლისა, ნამდვილი მეგობარი უნდა იყოს, დანარჩენს დიდ ყურადღებას არ მივაქცევ. ისე კი ძალიან არ მომწონს, როდესაც ქალი სვამს. ლოთ ქალზე ამაზრზენი სანახავი არა მგონია, რამე იყოს.

**— ჰოკეისტის კარიერის დასრულების შემდეგ რას აპირებთ?**

— ამაზე ფიქრი ნაადრევია. მინიმუმ 7-8 წლის განმავლობაში თავისუფლად შევძლებ უმაღლეს დონეზე თამაშს. ეს მინიმალური ვადაა.

ბურე და მისი ახლობლები მეტად ალაშფოთა ამერიკულ ჟურნალ „დიტეილში“ დაბეჭდილმა წერილმა, რომელიც მას და მთელ რიგ ჰოკეისტებს რუსულ მაფიასთან კავშირში ადანაშაულებს. ბურეს განცხადებით, ის ამჟამად ფიქრობს, თუ რა რეაგირება მოახდინოს ამ ფაქტზე.

— ძალიან ამაღელვა ამ ამბავმა. ამას ისიც დაემატა, რომ ერთ-ერთი ტელეარხის გადაცემაში სისხლი ანი სცენების შემდეგ ჩემი ფოტოსურათი აჩვენეს და დიქტორმა დასვა რიტორიკული კითხვა: „იქნებ ამ კაცმა იცის, ვინ ჩაიდინა ეს?“ ალბათ სასამართლოში ვიჩივლებ, როგორც ეს ფეტისოვმა და მოგილნიმ გააკეთა.

**— კიდევ როდის გვესტუმრებით და თუ გვესტუმრებით საერთოდ?**

— რა თქმა უნდა. და თანაც არც ისე შორეულ მომავალში, როგორც შეიძლება თქვენ გგონიათ. არაფერს არ შევცვლი, არც ჩემს მენიუს და არც სასტუმროს. ყოველივე მეტად მომეწონა და შევეჩვიე. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მასპინძლებს და საერთოდ ქართველებს, რომლებმაც ჩინებულად მიმიღეს.

**— თუ არაფრის შეცვლას არ აპირებთ, მაშინ შევთანხმდეთ, რომ მომავალი ვიზიტისას კვლავ გავისაუბრებთ.**

— სიამოვნებით.

საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“



## Roland Garros'98

როდესაც პირველი წრის დაძლევის შემდეგ მსოფლიოს პირველ ჩოგან პიტ სამპრასს თავის მომდევნო მეტოქეზე — პარაგვაელ რამონ დელგადოზე აზრის გამოთქმა სთხოვეს, პიტმა უპასუხა, ვაცნობ მაგ ესპანელს, თიხნარზე მშვენივრად თამაშობსო. ასეთი გულმავიწყობა ძნელი ასახსნელი არ არის, ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში პიტს ათასი ჯურის კაცისთვის მოუგია და რა გასაკვირია, ერთი თვის წინ მის მიერ თუგინდ ორი მძიმე ტაი-ბრეიკით დამარცხებული (11:9 და 9:7) სამხრეთამერიკელის წარმომავლობა არ გახსენებოდა, მაგრამ ამიერიდან დელგადოცა და პარაგვაიც სამპრასს კარგა ხანი აღარ დაავიწყდება.

შეხვედრა პიტმა კარგად დაიწყო, 4:1 დაწინაურდა და ბრეიკ-პოინტებიც ჰქონდა, როდესაც პარიზში გაწვიმდა და მატჩი რამდენიმე საათით გადაიდო. დასველებულ და შესამჩნევად შენელებულ კორტზე ჩოგბურთელები უკვე საღამოს პირს გამოვიდნენ და თამაშმაც სახე იცვალა: სიტუაციის ბატონ-პატრონი დელგადო შეიქნა. პარაგვაელმა მეტოქეს სწრაფადვე გაუთანაბრა ანგარიში, მერე ტაიბრეიკზეც იმარჯვა და უკან აღარც მოუხედავს.

სამპრასმა კი მეორე სეტში წაქცევით და წითელ ტალახში ამოგანგვლით საბოლოოდ წაიხდინა ხასიათი, სულ უფრო და უფრო უკეთ მოთამაშე დელგადოს შემოვლებულებისა და ბადესთან მოულოდნელი გასვლების პასუხს ვერაფრით მიაგნო, ის კი არა, მეტოქესთან ეისებითაც კი დაიჩაგრა — 10:12. ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამარჯვებისთვის პარაგვაელს 2 საათზე ოდნავ მეტი დრო დასჭირდა, 7:6 (8:6), 6:3, 6:4. მერე კი ბადესთან



ევგენი კაფელნიკოვი

ჩაიმუხლა, ტრიბუნებიდან მიწოდებული ეროვნული დროშა შემოიხვია და საპატიო წრეც დაარტყა.

პრესკონფერენციაზე დაბნეულ და სახეამძმარებულ სამპრასს თავისი იმედგაცრუება არ დაუმალავს: „დიდი სლემის ამ ტურნირის მოგება ყველაზე მეტად მსურს, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფრით გამომდის. მე ცდას არც მომდევნო წლებში დავაკლებ, ახლა კი საკუთარი ცუდი თამაშის გამოსწორებაზე უფრო ვფიქრობ, კარს უიმბლდონია მომდგარი“. ამრიგად, დიდი სლემის ერთადერთი მოუგებელი ტიტულით თავის სხვაფრივ სრულყოფილი კოლექციის შესავსებად პიტს ერთწლიანი ლოდინი მაინც მოუწევს.

მეორე წრე არც სხვა ფავორიტებისთვის გამოდგა წარმატებული.

# ფრანგი თუ ამერიკელი?



პიტ სამპრასის ყველა მარცხი როლან გაროსზე

1989 მეორე წრე
**მაიკლ ჩანგთან 1:6, 1:6, 1:6**
1991 მეორე წრე
**ტიერი შამპიონთან 3:6, 1:6, 1:6**
1992 მეოთხედფინალი
**ანდრე აგასისთან 6:7, 2:6, 1:6**
1993 მეოთხედფინალი
**სერხი ბრუგერასთან 3:6, 6:4, 1:6, 4:6**
1994 მეოთხედფინალი
**ჯიმ კურიესთან 4:6, 7:5, 4:6, 4:6**
1995 პირველი წრე
**გილბერტ შალერთან 6:7, 6:4, 7:6, 2:6, 4:6**
1996 ნახევარფინალი
**ევგენი კაფელნიკოვთან 6:7, 0:6, 2:6**
1997 მესამე წრე
**მაგნუს ნორმანთან 2:6, 4:6, 6:2, 4:6**
1998 მეორე წრე
**რამონ დელგადოსთან 6:7, 3:6, 4:6**

როლან გაროსის 1996 წლის ჩემპიონმა ევგენი კაფელნიკოვმა (6) შვედ ტომას ენკვისტს პირველი ხელი მოუგო და მეორეშიც 5:3 იყო წინ, მაგრამ უპირატესობა გაანიავა, ზედიზედ ორი სეტი ტაი-ბრეიკზე დათმო და მეოთხე პარტიაში მოვალეობის მოხდის მიზნითაც კი აღარ ირჯებოდა — 6:4, 6:7 (10:12), 6:7 (4:7), 1:6. „ამჟამად მძიმე დრო მიდგას. წესით, ამდენი შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გამეშვა, მაგრამ საკუთარი ძალების რწმენა როცა გაკლია, არც კი აქვს მნიშვნელობა, ვის ხვდები“ — განაცხადა ჟენიამ.

სამაგიეროდ, კაფელნიკოვის თანამემამულე, აგასის მძლეველი მარატ საფინი, ეტყობა, მადაზე მოვიდა. 18 წლის რუსმა ერთ სენსაციას მეორეც მოუმატა და ამჯერად როლან გაროსის შარშანდელი გამარჯვებული, ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი გაამწარა, თანაც ისიც ხუთ სეტში — 3:6, 7:6 (7:5), 2:6, 6:1, 6:4. „აგასისთან მისი თამაში ვნახე და ვიცოდი, რომ მძიმე მატჩი მელოდა. ძალიან დამწუხრებული ვარ, მაგრამ მას წარმატებას ვუსურვებ ტურნირზე“ — განაცხადა გუგამ.

ვერ გააღწია მესამე წრეში ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულმა პატრიკ რაფტერმაც (4), რომელსაც თანამემამულე ჯეისონ სტოლტენბერგმა აჯობა 6:4, 3:6, 6:3, 6:2.

**მეორე წრე: მარსელო რიოსი (3, ჩილე) — ემილიო ალვარესი (ესპანეთი) 6:4, 6:2, 6:2; ალბერტ კოსტა (13, ესპანეთი) — მარკ-კევინ გელნერი (გერმანია) 6:4, 6:3, 6:1; ტომას მუსტერი (ავსტრია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:2, 6:1, 6:3; ალექს კორეჩა (14, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:3, 6:2, 6:3; მაიკლ ჩანგი (11, აშშ) — იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 7:5, 6:2, 3:0 — ტრავმა. კარლოს მოია (12, ესპანეთი) — პეპე იმასი (ესპანეთი) 6:4, 7:6 (16:14), 6:2.**

ფავორიტი ქალები, ძლიერი სქესის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, დაუბრკოლებლად მიიწევენ წინ. მეორე წრემ გამარჯვების ერთადერთი კანდიდატი — მარი პირსი შეიწირა. წარმოშობით კანადელი, ამერიკაში მცხოვრები ფრანგი (?) ესპანელ მაუი სერნას პირველ სეტში 5:1-ს უგებდა და სეტ-პოინტიც კი ჰქონდა, მაგრამ მერე როგორღაც ზედიზედ შვიდი გეიმის წაგება მოახერხა და 5:7, 2:6 დამარცხების შემდეგ კორტი თავისიანების (?) სტვენაში დატოვა: „ეს ახალი ამბავი არ არის. როდესაც ვიგებ, ფრანგი მარი პირსი ვარ, როდესაც ვაგებ — ამერიკელი ფრანგი. ნებისმიერ სხვა ქვეყანაში უფრო მქომაგობენ, ვიდრე პარიზში, მაგრამ ძნელია, ამასთან რაიმე გააწყო.“

სხვა განთესილთაგან მეორე წრეში მონიკა სელეშის გარდა ერთი სეტიც კი არავის წაუგია და მასაც კარგი გასამართლებელი მიზეზი ჰქონდა: „მეგონა, რომ მატჩი დღეს აღარც შედგებოდა (წვიმის გამო თამაშების უმრავლესობა რამდენიმე საათით გადაიდო), დასვენება გადავწყვიტე და ნახევარი საათიც წავუძინე. როდესაც კორტზე გამომიძახეს, გამოფხიზლებული ჯერაც არ ვიყავი, თავიდან ისეთი ბურთები ავაცილე, ვარჯიშზე თვალდახუჭული რომ ჩავაგდებდი.“ მონიკა გონს მეორე სეტის დასაწყისში, საკუთარი მოწოდების წაგების შემდეგ მოვიდა და ავსტრიელ მარიონ მარუშკას ზედიზედ თორმეტი გეიმიც მოუგო 2:6, 6:1, 6:0.

**მეორე წრე: მარტინი ჰინგისი (1, შვეიცარია) — მაიკე ბაბელი (გერმანია) 6:1, 6:2; ვინუს უილიამსი (8, აშშ) — აი სუგიამა (იაპონია) 6:0, 6:2; ანა კურნიკოვა (13, რუსეთი) — კატარინა სტუდენიკოვა (სლოვაკეთი) 6:2, 7:6 (7:2); სერენა უილიამსი (აშშ) — კარინა მორარიუ (აშშ) 6:1, 6:0; ივა მაიოლი (10, ხორვატია) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:3, 6:4.**

ავთანდილ სვანიძე

მარსელო რიოსი იქნებ არც ჟურნალისტებს უყვარდეთ და არც თავის კოლეგებს, მაგრამ როლან გაროსზე მას ერთი დამცველი მაინც გამოუჩნდა, მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი. „იგი ჩემს მიმართ კარგადაა განწყობილი — ჩვენ ვსაუბრობთ კიდეც (!). არა მგონია, იგი ისეთი მონსტრი იყოს, როგორც ყველას ჰგონია. ჯერჯერობით ჩემთან ცუდი არაფერი გაუკეთებია“ — განაცხადა ჰინგისმა.

* * *

მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატს ფეხბურთში ჩოგბურთელებისგანაც ბევრი გულშემატკივარი ეყოლება. გუსტავო კუერტენი როლან გაროსზე ეროვნული გუნდის ფერებში გამოწყობილი ვარჯიშობს, ისევე როგორც ტურნირის ორგზის გამარჯვებული ჯიმ კურიე. არგენტინელმა მარიანო ზაბალეტამ პეტერ კორდას დამარცხება ეროვნული ნაკრების თავდამსხმელის — კლაუდიო ლოპესის 7-ნომრიანი მაისურის მორგებით აღნიშნა.

„ნაიკის“ სპონსორობით გამართულ მინი-მატჩში ერთი, „პარი სენ ჟერმენის“ მაისური მარსელო რიოსსაც ერგო, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, ჩილელს დიდი ენთუზიაზმი არ გამოუმჟღავნებია. „მე არ მიყვარს პსჟ“ — განაცხადა მარსელომ, რომელსაც მანამდე არც ის დაუმალავს, რომ ფრანგებიც არ ეხატება მაინცდამაინც გულზე.

* * *

გუსტავო კუერტენი იმიჯის შეცვლაზე ფიქრობს. ბრაზილიელი, რომელმაც შარშან როლან გაროსზე თამაშისას „თხის წვერი“ მოიზარდა, წლეულს ბობ მარლის მსგავსად აპირებდა თმის დაწნას, მაგრამ ახლობელ-მეგობრებმა ამაზე ტურნირის დამთავრებამდე მაინც აალებინეს ხელი.

* * *

როლან გაროსზე კვალიფიკაციით მოხვედრილმა ჩოგბურთელებმა ტურნირის რეკორდი დაამყარეს — აქამდე მეორე წრისთვის ერთბაშად 11 მათგანს (16-დან) არასოდეს მიუღწევია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიოს 213-ე ჩოგნის, მარიანო ზაბალეტას ხუთსეტიანი გამარჯვება კლასიფიკაციაში მეორე პეტერ კორდასთან.

კიდევ ერთ გამორჩეულ კვალიფიკაციაგავლილს, მარატ საფინს კი ცხოვრებაში პირველად ჩამოართვეს ავტოგრაფი: „ყურებს არ დავუჯერე, როდესაც მატჩის შემდეგ ერთმა ბურთის მომტანმა გოგონამ სურათზე ხელის მოწერა მთხოვა.“


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
სხვა სახეობათა განყოფილება: გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29